146
1949 /3

63 149/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 1

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 1 იანვარი 1949

გამომცემლობა
„კომუნისტი"

წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

მ ა ვ ზ ო ლ ე უ მ შ ი

გგონია, აი გაახელს თვალებს,
ფიქრებში წასულს მისძინებია...
შუბლს რომ ჰფენია, მისივე ხელით
ამოყვანილი მზის სხივებია.

გგონია: აი, ასწევს მარჯვენას
და მოწოდება შეარხევს კედლებს.
ადგება ლენინ, ღიმით გაჰხედავს
საშობლოს ძლიერს, საშობლოს — ედემს...

...ირგვლივ სიჩუმე, ირგვლივ დუმილი
და მარმარილოს კედლების შუქი;
დიადი გრძნობით, დიადი კრძალვით
აღელვებული ყოველი წუთი...

ჩაუვლი ჩუმად, გულის ხმაც გესმის.
რომ ელვარებენ, მზის სხივებია...
გგონია, აი, გაახელს თვალებს,—
ფიქრებით დაღლილს მისძინებია...

მზეონა კუპრავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

~~7292~~
6292.



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის დროშით

მეოთხედი საუკუნის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, გარდაიცვალა უდიდესი ადამიანი, მშრომელი კაცობრიობის ბელადი, კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ვის სახელსაც თქვენ — ნორჩი პიონერები ატარებთ.

ლენინის მთელი ცხოვრება იყო დიადი, დაუცხრომელი შრომითა და ბრძოლით გაპრწყინებული, მისაბაძი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მოღვაწისათვის, მეცნიერისათვის, კულტურის მუშაკისათვის, მანათობელი შუქურა თავისუფლებისმოყვარე ყველა მშრომელისა და მბრძოლისათვის.

თქვენ ნორჩი ლენინელები ხართ. ეს საამაყო სახელი გაიალებთ იყოთ ბეჯითნი და შრომისმოყვარენი, ზრდილობიანნი, მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელნი. დაუზარელნი და გულისხმიერნი, როგორიც იყო თქვენს ასაკში ვლადიმირ ულიანოვი-ლენინი. დიდი ლენინის ანდერძი — სწავლა, სწავლა და სწავლა — მუდამ უნდა ვახსოვდეთ და ისწავლოთ წარმატებით თქვენ მშობლების, თქვენი ხალხისა და სამშობლოს ასაიხარულოდ.

როცა თქვენ ლენინური ბეჯითობითა და თავდადებით დაეუფლებით მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის საუკეთესო მიღწევებს, როცა შეისწავლით მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომებს, მაშინ შეგიძლიათ წარმატებით აკეთოთ ის საქმე, რომლისთვისაც მთელი თავისა გენიალური შორსმჭვრეტელობითა და ტატნტური შესაძლებლობით იბრძოდა და იღვწოდა დიდი ლენინი. ეს საქმე არის კომუნიზმის აშენება. არ არსებობს ქვეყნად უკეთესი სახელი, ვიდრე კომუნიზმის კაცი მშენებლისა.

25 წელია, რაც შეწყდა დიდი ლენინის გულისცემა. 25 წელია, რაც ულენინოდ, ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ლენინის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში ბოლშევიკური პარტიის სახელით ამხანაგმა სტალინმა ისტორიული ფიცი დადო, რომ დაეკისრებინა და განვამტკიცებთ ყველა ის ანდერძთა, რაც დიდმა ლენინმა გვიანდერძა.

ლენინი გვასწავლიდა: მუშებდათ შეეინახოთ პარტიის წევრის დიადი სახელი; თვალისჩინივით გავეფრთხილდეთ ჩვენი პარტიის ერთიანობას.

განვლილი 25 წლის მანძილზე ლენინ-სტალინის პარტია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განმტკიცდა და ძლიანი გახდა. სოციალიზმის მშენებლობა სწრაფი ტემპით წავიდა წინ.

ლენინი ზრუნავდა და ოცნებობდა იმაზე, რომ შექმნილიყო საბჭოთა მძლავრი მძიმე ინდუსტრია, ჩვენი ქვეყნის ცაზე იფრინა უთვალავ თვითმფრინავებს და სოფელს ჭკონდა ტრაქტორები. დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით შეიქმნა დიადი სტალინური ხუთწლეულები, რომელთა შედეგად შეიქმნა საბჭოთა მძლავრი ინდუსტრია, სოფლად გაიძარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, შეიქმნა ათასობით ტრაქტორები... საბჭოთა თვითმფრინავები მოედვნენ ჩვენი ქვეყნის ნათელ ცას, როგორც ტყეს გაზაფხულზე ფრინველები.

ლენინი ზრუნავდა და ოცნებობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში განვითარებულიყო ელექტროფიკაცია და ყველა მშრომელის ბინა ელექტრონის შუქით განათებულიყო.

დიადი სტალინური ხუთწლეულების მეოხებით ჩვენი ქვეყანა მოიფინა მრავალი დიდი და პატარა ელექტროსადგურით, ქალაქები და სოფლები გაბრწყინდნენ ილიჩის ნათურებით; ელექტროენერგიით ამოძრავდნენ ქარხნები, რკინიგზებზე აგუგუნდნენ მძლავრი ელმავლები.

ლენინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძი იყო კულტურული რევოლუციის განხორციელება. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შუნელებელი ზრუნვის შედეგად საბჭოთა კავშირი მსოფლიოში განათლებისა და კულტურის მოწინავე ქვეყნად იქცა.

უკვდავი ლენინის ანდერძისამებრ, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს მრავალრიცხ ქვეყანაში განმტკიცდა და გაძლიერდა ხალხთა სტალინური მეგობრობა, კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა ჩვენი სამშობლოს ერთგული გუშაგი, მსოფლიოს ჩაგრულთა იმედი—საბჭოთა არ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურათზე: ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პირდაპირ მავთულთან, ოქტომბრის დღეებში.

ძა, მთელი საბჭოთა სახელმწიფო. ეს ძლიერება დიდ სამამულო ომში მთელი სიდიადით გამოჩნდა და ვერაგი მტერი განადგურებულ იქნა.

სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, ლენინიზმით გზაგაბრწყინებული საბჭოთა სახელმწიფო ომის შემოგომ კიდეკ უფრო ძლიერი და მტკიცე შეიქნა.

მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედლთან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიან ათასობით ადამიანები, მოდიან, რათა ლენინის მავზოლეუმში იხილონ და თავი ოაჰსარონ იმ დიდი ადამიანის წინაშე, ვინც მარქსიზმის დიადი მოძღვრებით აღჭურვილი, ათეული წლების მანძილზე შეუპოვრად აღვწოდა მშრომელთა თავისუფლებისათვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის — კომუნიზმისათვის, ვინც 25 წლის წინათ წავიდა ჩვენგან, ვინც დაგვიტოვა უკვდავი მოძღვრება— ლენინიზმი.

წითელ მოედანთან, მაღალი კედლის იქით — კრემლში ორის ადამიანი, ვინც დღედაღამ ხალხის ბედნიერებაზე ფიქრობს და ზრუნავს, ვისი ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა წარმატებებს წარმატებებზე აღწევს. ეს არის ჩვენი მამა და მასწავლებელი, ლენინის დიადი საქმის გენიალური განმგრძობი მშობლიური სტალინი.

სტალინი — ლენინია დღეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ლენინმა გვიანდერძა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ჩვენ ლენინის შვილები ვართ,
შვილები ვართ სტალინისა,
ჩვენს ცას შუქი მოემატა,
მტრების ზეცა დაინისლა.

ყელსახვევთა ღიმილს ვესვრით
სამშობლოს ცის მზიან ფერსა,
ჩვენ ლენინმა მშობელ ქვეყნის
ერთგულება გვიანდერძა.

მშობელ ქვეყნის სიყვარულით
გამთბარ გულს რა გაგვინელებს? —
ლენინის მზის შუქი გვათბობს
ჩვენ, პატარა სტალინელებს.

რა ჩააქრობს ჩვენს სიხარულს,
მამულის ცის მზიან ფერსა!
ჩვენ ლენინმა სწავლა, სწავლა
და სულ სწავლა გვიანდერძა.

დიდ სტალინის სახელს ვფიცავთ,
სიბრძნეს ვფიცავთ ლენინისას —
ღირსეულნი ვიყოთ მარად
ჩვენი მიწის, ჩვენი ცისა.

ყელსახვევთა ღიმილს ვესვრით
სამშობლოს ცის მზიან ფერსა,
ჩვენ ლენინმა მშობელ ხალხის
სამსახური გვიანდერძა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინის ხსოვნის სკოლა

მოსკოვიდან ოცდახუთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მთელი ქვეყნისათვის ცნობილი გორკა.

გორკაში ყოველივე ინახავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

აი, მუზა რომლის ქვეშ ლენინს უყვარდა დასვენება.

აი ხეივნები, სადაც ლენინი სეირნობდა. მაღალი ხეებით შემოვლებული დგას სვეტებიანი სახლი, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა. აქ არის ოთახები, სადაც ილიჩი მასთან მოსულ სტალინს ესაუბრებოდა ხოლმე. კაბინეტში საპუშაო მაგიდაზე დევს კალამი, რითაც ლენინი წერდა. აი, წიგნები, რომლებსაც კითხულობდა ვლადიმერ ილიას-ძე. კალენდარზე ჩამოუხეველი ფურცელია: თარიღით 21 იანვარი 1924 წელი. ამ დღეს გარდაცვალა ლენინი...

სვეტებიანი სახლის ახლოს დგას დიდი, ლამაზი შენობა. მის ფასადზე ოქროს ასოებით სწერია: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნის სკოლა".

სკოლა გორკაში დგას, როგორც ლენინის ნათელი ხსოვნის აღსანიშნავი ძეგლი. ყოველდღე ახლობელი კოლმეურნეობებიდან შარაგზებით, ბილიკებით და დიდი, დათოვლილი ბაღის ხეივნებით მოიჩქარის ამ სკოლისაკენ 525 ბავშვი. აქ, ფართო და ნათელ კლასებში ისინი ანხორციელებენ ლენინის ერთ-ერთ დიად ანდერძს — ისინი ცოდნას ეუფლებიან.

მიმდინარეობს გაკვეთილები

სკოლის დერეფნებში სიჩუმეა. კლასებიდან ხელი ზუზეხი მოისმის. — გაკვეთილები მიმდინარეობს!

შესანიშნავი ტრადიციაა დამკვიდრებული სკოლაში: თითოეული კლასი ისწრაფვის ძეტი ხუთიანები მიიღოს. აკადემიურ მოსწრებაში პირველი იყოს.

თითოეული ხუთიანი, მიღებული ერთი მოსწავლის მიერ, — სასიხარულოა მთელი კლასისათვის; თითოეული ცუდი ნიშანი თანაბრად აღონებს, როგორც მის მიმდებ მოსწავლეს, ასევე ყველა თანაკლასელს.

ამიტომ ხშირად პიონერთა შეკრებებზე კარგ მოსწავლეებს დასახმარებლად ამაგრებენ ჩამორჩენილებზე, რაც საუკეთესო შედეგებს იძლევა. ასეთი ურთიერთდახმარება და ხამდვილი პიონერული მეგობრობა ყველა მოსწავლეს შველის კარგად ისწავლოს.

თავიანთი მასწავლებლების ხელმძღვანელობით, მოსწავლეები იყენებენ მათთვის შექმნილ შესანიშნავ პირობებს, რათა დაეუფლონ მრავალფეროვან ღრმა ცოდნას და დიდი ხნით განიმტკიცონ იგი თავიანთ მეხსიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც სახელმძღვანელოებში არ არის

საღამოს ბინდში თოვლი მოლურჯოდ ქათქათებს, ხეები კენწეროები კი დაკბილულ კედლად ამართულან საღამოს მოწყენილ ცაზე; ლაჟვარდში ზედიზედ ენთებიან ვარსკვლავები. კაპკამებს ჩრდილოეთის ვარსკვლავი და მის გასწვრივ მსუბუქ ნისლად ჩნდება დიდი ნისლედი.

— ისე დაიყენე, ანდრომედა გამოჩნდეს, ის დიდი ნისლედისაგან ოდნავ დაბლაა და მარცხნივ! — ეუბნება ლევა კოლიას; კოლიაც დარწმუნებით ამრუნებს ტელესკოპს და კაპკამა ვარსკვლავს უმიზნებს.

— ვიპოვე! დღეს ძალიან გარკვევით მოჩანს და ცხადად იგრძნობა, რომ იგი ორმაგი ვარსკვლავია, აი, გაჰხედე! — სთქვა კოლიამ და ტელესკოპთან ლევას ადგილი დუთმო.

ტელესკოპის ოკულარში რიგ-რიგად იხედებიან მის გარშემო მოგროვილი ბავშვები.

— აბა, როგორი მდგომარეობაა მსოფლიოს სფეროში? — ეკითხება ნორჩ ასტრონომებს ფიზიკის მასწავლებელი ÷ თანასე ვასილის-ძე.

— ყოველივე თავის ადგილზეა, ოღონდ მარიხი დაგვეკარგა!

ათანასე ვასილის-ძე შველას ბავშვებს მარიხის პოვნაში. ნორჩი ასტრონომები მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეები არიან; ისინი ჯერ არ სწავლობენ ასტრონომიას,



მაგრამ ბავშვებს ასტრონომიის ცოდნის ეს ისეთი ძლიერი მისწრაფება აქვთ, რომ ამ ქმის ყოველ ვარსკვლავიან ღამეს ბინდ-ბინდ ცის მნათობებს.

ასე აქვს შემოღებული ვ. ი. ლენინს ხსოვნის სკოლას; გარკვეულ დღეებში, ბავშვები მრავალ საინტერესო წრეში მუშაობით ცდილობენ უკეთ აითვისონ განვლილი სასკოლო მასალა და, აგრეთვე, გაიგონ ის, რაც სახელმძღვანელოებში არ არის.

ნორჩი ლიტერატორები მოდიან იმისათვის, რომ ახალი წიგნების შესახებ იმსჯელონ, ან რეფერატი მოისმინონ; ნორჩი მიჩურინელები ბიოლოგიურ კაბინეტში სამუშაოდ მოისწრაფიან; ნორჩი ფიზიკოსები კი იმისათვის, რომ რადიომიმღებები თავის ხელით აეწყონ და ვარსკვლავები შეისწავლონ; მუსიკოსები სწავლობენ ცნობილ კომპოზიტორთა პიესებს; სპორტსმენები მოიჩქარიან კუნთების გასავარჯიშებლად და ნორჩი მხატვრები მშვენიერი მიდამოს დასახატავად, რომელიც სკოლას გარს არტყია.

ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ

დღეს, ლიტერატურულ წრეში ვალოდია სინიცინი კითხულობს რეფერატს ბ. პოლევოის მოთხრობის „ეპოსის დაბადების“ გმირების შესახებ.

ვალოდია აუჩქარებლად კითხულობს, მისი თითოეული სიტყვა გარკვევით ისმის; შესავალ სიტყვაში მოკლედ დაახასიათა მწერალს ბ. პოლევოის შემოქმედება და შემდეგ „ეპოსის დაბადების“ გმირი მალიკ გაბდულინი. წერა-კითხვის უცოდინარი კოლმეურნე ყაზახის ეაქიშვილი მალიკი სწავლული შეიქნა, მიიღო საფუძვლიანი ცოდნა, და როდესაც ჩვენს ქვეყანას მტერი თავს დაესხა, მალიკი თავგანწირულად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად.

ლიტერატურულ წრეში ხშირად კითხულობენ რეფერატებს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებზე. წრის წევრები რეფერატის წინ ათობით წიგნებსა და ნარკვევებს ეცნობიან, საუბრობენ, — ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს.

მიჩურინელები

სკოლის ახლოს მდებარეობს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის საექსპერიმენტო ბაზა, რომელსაც აკადემიკოსი ტ. ლისენკო ხელმძღვანელობს. საექსპერიმენტო ბაზაში ტარდება მრავალი ცდა ახალი, უხვმოსავლიანი მცენარეების გამოსაზრდელად. აქ იზრდება ცხობილი დატტეული ხორბლის თავთავი. მის ლონიერ ღერის თავთავების მთელი კონა ასხია.

ბოსწავლეები — ნორჩი მიჩურინელების წრის წევრები მრავალჯერ მივიდნენ მეცნიერებთან და ისმენდნენ მათ საუბრებს. ყოველი ასეთი მისვლის შემდეგ რაიმე ახალი მცენარე ჩნდებოდა სასკოლო ნაკვეთზე.

ერთხელ, პიონერებმა აკადემიის ბაზაში ნახეს, თუ როგორი ხერხით ხდება ერთწლიანი მცენარეების მყნობა და მოისმინეს ასეთი მყნობის შედეგად, როგორ იცვლებიან მცენარეები; რამდენიმე დღის შემდეგ სკოლის ნაკვეთის კვლებშიაც გაჩნდა 30 ბეჩქი კარტოფილზე დამყნილი პომიდორისა.

სკოლის კარადაში ინახება ასეთი უცნაური მცენარე: მის გამხმარ ტოტებზე პომიდორები ასხია, ხოლო ფესვებზე კი კარტოფილი. გაზაფხულზე ამ პომიდორის თესლს დათესენ ბავშვები და თვალყურს ადევნებენ, თუ მყნობა როგორ გავლენას მოახდენს ახალ მოსავალზე.

მიჩურინელების კარადაში, შუშების ქვეშ მოთავსებულ უჯრებში წესრიგზე აწყვია ნორჩი ნატურალისტების პირველი მეცნიერული ნაშრომები, ერთს მათგანს აწერია: „მცენარის შეცვლა ძოლის შედეგად", და ზედ ორი დატოტვილი თავთავის ღეროა მოთავსებული. ერთი მათგანი სუსტია და დაბერავებული — მას ცუდი მოვლა ჰქონდა, ხოლო მეორე დიდია და სავსე, თავთავებით დახუნძლული — მას კი კარგად უვლიდნენ.

მიჩურინელები ცხადად უჩვენებენ, თუ მცენარეები, ფესვებზე მიწის შემოყრა-გაფხვერებით როგორ იძლევიან დამატებით განტოტებას და როგორ დიდდება მოსავალი თესლის გაადრეულებით.

ბავშვებმა ახლომახლო მიდამოებში [illegible] ველს წინარები ბადის იმ [illegible] ლებიც ადამიანის ზემოქმ[illegible] ლით მინდვრის სარეველა მცენარეებიდან უმშვენიერეს მცენარეებად გარდაიქმნენ.

დიდ კლასში

სკოლაში არის კიდევ ერთი წრე, რომელიც აერთიანებს ნორჩ მიჩურინელებს, ფიზიკოსებს, სპორტსმენებს და ლიტერატორებსაც, — ეს მუსიკის წრეა. მუსიკა ყველა მათგანს უყვარს. დიდი კლასი, სადაც როიალი დგას, ყოველთვის სავსეა ბავშვებით; აქ სწავლობენ დაკვრას, სიმღერას და ემზადებიან თვითშემოქმედებითი კონცერტებისათვის და პიონერულ კოცონზე შეკრებისათვის.

აქ არის არც ერთი სადამო, სადაც არ მონაწილეობდნენ პატარა პიანისტი, მეოთხე კლასის საუკეთესო მოსწავლე გალია, მეხუთეკლასელი რიტა, მეშვიდეკლასელი ლევა და ბევრი სხვა მუსიკოსი და მომღერალი.

კოლმეურნეთა შვილები ასრულებენ სეარიოზულ და რთულ პიესებს ჩაიკოვსკის, გლინკას, მოცარტის, ბეთჰოვენისა და გრიგის ნაწარმოებებიდან.

* * *

ასე, დღითი დღე, გაკვეთილიდან გაკვეთილამდე და წრეებში მეცადინეობით, როგორც კიბის საფეხურებზე, მიიწევიან ზევით, ცოდნის მწვერვალებისაკენ ცნობისმოყვარე მოსწავლეები. ეს მწვერვალი ჯერ შორს არის. საჭიროა დიდი შრომა და ბეჯითობა, რომ მას მიაღწიონ, მაგრამ სიძნელეები არ აშინებთ ჭეშმარიტ ლენინელებს.

ს. ივანოვი.

ნახ. ბ. ვინოკუროვისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი ქოხში

1917 წელს, დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში (ივლისი—აგვისტო) დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისაგან დევნის გამო ლენინი სადგურ რაზლივის მახლობლად ფარულად ცხოვრობდა ქოხში.

ი, ის ქოხი პატარა
გადახურული ისლით...
მინდვრებზე ზანტად ჩამოწვა
შებინდება და ნისლი.

გზა საშიშარი დალია,
ამოიყარა ჯავრი,
ტყეს მიეფარა ნაღვლიანს
ფრთხილად მოსული მგზავრი...

უკვე დაღამდა... ქოხის წინ,
სადაც შუქსა ჰფენს მთვარე,
ზის „მთის არწივი“ მდუმარედ,
გასცქერის უცხო მხარეს.

ზის „მთის არწივი“... ოცნებით
კვეთს მთვარით მოცულ სივრცეს.
ხან დაიხრება ხის ჯირკვზე,
აზრებს ფურცლებზე იწერს.

ხან გაზეთს შეაშრიალებს,
წიგნებს გადაშლის წამით;
სტალინის ბარათს უღიმის
გაბრწყინებული თვალით!

ხან სახე გაუნათდება,
ხან აენთება გული...
ბრძნული ფიქრების ნათელში
არ ეკარება რული...

და თეთრ ქაღალდზე ერთდება,
ინთება ბრძოლის ხანძრად—
მილიონების ოცნება,
მილიონების განცდა!

გათენდა... ნისლში გაბრწყინდნენ
ლაჟვარდისფერი ტბები.
მზემ ასაფრენად გაშალა
შეშოკეული ფრთები!

ქოხში სხივები შეიჭრნენ—
განათდა ქოხი მცირე.
მიმოიხედეს, გაოცდნენ,
საწოლს დაეცნენ მძიმედ.

მათ სურდათ ქოხში ენახათ
ღამენათევი ბრძენი,
მისთვის მიეძღვნათ ამბორი
უწმინდესი და წრფელი.

მაგრამ იქ არვინ დაუხვდათ,
ნახეს წიგნები მხოლოდ...
— ეაჰმე!—შეესძახეს და ტყისკენ
უმალ გაფრინდნენ ბოლოს.

ეძებენ! და სად ეძებენ?!
— ეჰე, დაბრუნდით ჩქარა!
მინდვრებს გახედეთ ნაშიანს,
ნახეთ სიცოცხლის ძალა!

დაგასწროთ!.. მარჯვე გლეხივით
უყვარს შრომა და გარჯა.
ხორბალი დაამბინავა,
ახლა სათიბი დარჩა.

თიბავს და თიბავს მთელი დღე,
უნდა დასწროს ავდარს.
შუბლს შეიკმუხნის ხანდახან...
შემდეგ ცელს იქნევს მარდად!..

მერე რა, დღეს რომ აქ არის,
ისევნებს ამ დიდ ხესთან!
ხვალ ისევ ცეცხლად გაჩნდება
ბრძოლის გრიგალურ ცეცხლთან!

გაჩნდება... წინ გაუძღვება
დარაზმულ რიგებს ელვად
და ჩაიხუტებს კვლავ ხალხი
თავის საყვარელ ბელადს!

აკაკი თოფურია

საქართველოს ალკა XVII ყრილობის საქმიანი პრეზიდიუმი (მარცხნიდან) მ. მეგრელიშვილი, ა. შელეგინი, კ. ჩარკეიანი, მ. ბარამია, ი. ზოდელავა, დ. რომელაშვილი, კ. გურგენიძე, ნ. ქვანია, ა. აირაპეტიანი, მ. კარპოვი.

საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობა

ძველი და ახალი წლის მიჯნაზე

დიდი ხნით ადრე დაწყო საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობისათვის მზადება. ეს გასაგებიცაა — ყრილობა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის, მისი მოწინავე რაზმის — კომკავშირის ცხოვრებაში მეტად თვალსაჩინო მოვლენა იყო. საქართველოს კომკავშირმა ყრილობით შეაჯამა მეოთხე სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის მის მიერ, მთელ ხალხთან ერთად, სამი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა. ამ ყრილობითვე გადადგა მან გაბედული ნაბიჯი თავისი მუშაობის ახალ პერიოდში.

ამ ყრილობის წარუშლელი შთაბეჭდილებებით შეეგებნენ ახალ, სტალინური ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტ წელს რესპუბლიკის კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლები — ყრილობის დელეგატები.

ყრილობა ხომ 28 დეკემბერს დამთავრდა, სამი დღით ადრე, ვიდრე სკოლებში, კლუბებში, თეატრებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ოჯახებში საახალწლო ნაძვის ხეებს აჩირაღდნებდნენ.

ის, რაც კომკავშირის XVII ყრილობაზე ითქვა, — მარტო 1949 წლის სახელმძღვანელო როდია; ყრილობაზე თქმულიდან ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაგიგიათებთ თქვენი ნაყოფიერი ცხოვრების, სწავლისა და შემოქმედების მთელ მომავალ გზას.

ყრილობაზე თქმული, ყრილობის გადაწყვეტილებანი მთელი საქართველოს კომკავშირის საბრძოლო პროგრამაა.

როცა ჯერ კიდევ ზარბაზნები ჰქუხდნენ

ბევრი თქვენგანი სასკოლო ასაკისაც არ იყო, ბევრიც პირველად ეწაფებოდა სკოლებში ცოდნას, სწავლას. მაშინ თქვენი მამები, უფროსი ძმები ფრონტებზე იყვნენ—მტერს ანადგურებდნენ, საბჭოთა ხალხი ზურგში თავდადებით შრომობდა ფრონტის საჭირო-

ებისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის. დასასრულს უახლოვდებოდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

სწორედ იმ ხანებში — 1945 წლის თებერვალში, შეიკრიბა საქართველოს კომკავშირის XVI ყრილობა, — წინამორბედი ახლანდელი ყრილობისა. სამი წელი და ათი თვე გაეყოფა ყრილობიდან ყრილობამდე.

სწორედ ამ ხანებ განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიში ჩაბარა წინანდელი — XVI ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობას და მისი სახით რესპუბლიკის კომკავშირს.

რამდენი რამ მოხდა საანგარიშო პერიოდში, რამდენი დიდი ისტორიული მოვლენის შემოქმედი და მოწმე შეიქნა ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხალხი, მისი გმირი ახალგაზრდობა!

მეთექვსმეტე ყრილობაზედაც მიესალმა საქართველოს კომკავშირს პიონერთა დელეგაცია. ერთი ფიქრი, ერთი აზრი და ოცნება ამოძრავებდა მაშინ მთელ ხალხს, და პიონერებმაც ეს ფიქრი და ოცნება გამოხატეს თავიანთ მისალმებაში — ომის ჩქარა დამთავრება. მტრის განადგურება და მოსპობა!

ახდა მილიონთა ნატვრა. საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის სარდლობით დაამარცხეს ჰიტლერული გერმანია, იზეიმეს გამარჯვება. კიდევ ცოტა ხანი და დაამარცხეს მეორე აგრესიული სახელმწიფო აღმოსავლეთში, — ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე — იმპერიალისტური იაპონია. დამყარდა ქვეყნად მშვიდობა.

მშობლიურმა სტალინმა მოგვიტანა ესოდენ დიდი სიხარული და ბედნიერება — ომის დამთავრება ტრიუმფზე ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვებით.

მტერზე გამარჯვების ისტორიულ საქმეში საბჭოთა ხალხთან, მთელს ახალგაზრდობასთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კომკავშირმა.

ახალი პერიოდი რომ დაგვა

დადგა ახალი ისტორიული პერიოდი — ომით მოყენებული ჭრილობების მოშუშების, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პერიოდი. ხალხმ ძიერი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა. ისე, როგორც წინა სამი ხუთწლედისა, ამ გეგმის შემოქმედიც დიდი სტალინია. ამიტომ ხალხმ ამ გეგმაც სტალინური ხუთწლეული უწოდა.

საქართველოს კომკავშირის, [illegible] გაზრდობის საქმიანობა [illegible] წარმართა, რათა კეთილსინდისიერად ესახლებინა თავი, პარტიის ხელმძღვანელობით აღმავალ ინდუსტრიულ სახელოვანი ფიქრებში ჩაეწერა გმირული შრომის, სწავლისა და შემოქმედების დიადი წიგნში.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ივლიანე სამსონიძის ზოდიაკის მოხსენებაში რესპუბლიკის ახალგაზრდობის, კომკავშირის ამ თვალდებული შემოქმედებითი შრომისა და სწავლის ღირსშესანიშნავი მაგალითებია მოყვანილი.

მარტო შარშან. ოცი ნოემბრისათვის, ცხრაათასამდე ახალგაზრდა მეშამ შეასრულა წლიური გეგმა, 650-მა კი — ხუთი და მეტი წლის გეგმა. ბევრმა ახალგაზრდამ ზღაბრულად გადააჭარბა დაწესებულ ნორმას — 6-9 წლის დავალება შეასრულა.

თქვენ იცით ხუთწლედის ისეთი დიდი ობიექტების შშენებლობის შესახებ, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული გიგანტი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, სამტორის სარწყავი სისტემა და სხვ. რუსთავი წელს უნდა ჩაგვეს მწყობრში. მალე ქუთაისიც მოგვცემს ავტომანქანას; სამგორის სარწყავი სისტემა ბაღად აქცევს თვალუწვდენ შიშველ ველებს. ეინ მოსთვლის ხუთწლედის სხვა დიდმნიშვნელოვან ობიექტებს! ზოგიერთი მათგანი უკვე ჩადგა მწყობრში. მათ შორის ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ სიმამყის წარმოადგენენ.

საქართველოს კომკავშირმა შეიფინა აიღო რუსთავის მეტალურგიული გიგანტის შშენებლობაზე. დიდი პატრიოტიზმის გამოხატვილია თუნდაც ის, რომ რუსთავის ახალგაზრდა მეშებმა შიფობის წელიწადნახევრის განმავლობაში საჩუქრად მიიღეს 31.000-ზე მეტი წიგნი და ბროშურა, 10.000 ძირი ნერგი ქარხნის ტერიტორიის გასაშენებლად, 70 ტონაზე მეტი ხილ-ბოსტნეული.

საქართველოს მუშა-ახალგაზრდებმა სამშობლოს მისცეს ათ მილიონზე მეტი მანეთის ეკონომია სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვათა მოშკონრეობის რეჟიმით.

რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობამ მამაცური შრომის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს. მარტო 1947 წლის სასოფლო-სამეურნეო საშუმათოთა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულთა შორის მრავალი ახალგაზრდაცაა. 25 ახალგაზრდას სოციალის-

ტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, მათგან 22 — კომკავშირელია. ყრილობის დელეგატთა შორისაც იყვნენ კომკავშირელები, რომელთაც მკერდზე უბრწყინავთ სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, ბევრი იყო საყოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული შრომისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული კომკავშირელი.

რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების ახალგაზრდებმა ოც მილიონ კილოგრამამდე ჩაის მწვანე ფოთოლი მოჭიმეს.

სწავლა მოსწავლის უპირველესი მოვალეობაა

ნორჩი თაობისათვის დიდი ხანია გმირობისა და მამაცობის საქმედ გახდა ხუთიანზე სწავლა. ჩვენს ახალგაზრდობას მუდამ ახსოვს დიდი ლენინის სიტყვები:

„კომუნისტი შეიძლება გახდე მხოლოდ მაშინ, როცა გაამდიდრებ შენს გონებას ყველა იმ სიმდიდრეთა ცოდნით, რომლებიც კაცობრიობამ შეიმუშავა".

ორი უკანასკნელი წლის მანძილზე რესპუბლიკის სკოლებში თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული აკადემიური მოსწრების ამაღლების საქმეში. ორნახევარჯერ გადიდდა 1947 წელს წარჩინებულ მოსწავლეთა რიცხვი.

გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკაში საშუალო სკოლა 354 მოსწავლემ დაამთავრა ოქროს მედალზე, აქედან 328 კომკავშირელია. მოსწავლეთა წარმატებისათვის ბრძოლის საქმეში სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას უდგას მისი რეზერვი და თანაშემწე — ფართოდ გაშლილი ორგანიზაცია. რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციები რომლებიც 311.116 პიონერს აერთიანებენ, წარმატებით იბრძვიან აკადემიური მოსწრებისათვის. ბევრმა პიონერულმა რაზმმა იმას მიაღწია, რომ ყველა მისი წევრი სწავლაში ასწრებს.

ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში, — ყოველწლიურად მზადდება მუშათა კლასის ახალი და ახალი შევსება — ტექნიკას დაუფლებული, შეგნებული ახალგაზრდა მუშათა კადრები.

დედაქალაქის ერთ-ერთი შესანიშნავი კლუბის, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, — ძერჟინსკის სახელობის კლუბის ფოიეში ყურადღებას იპყრობდა ყრილობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი გამოფენა. გამოფენის ექსპონატები ნათლად გვიჩვენებდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის, კომკავშირელების წარმატებებს.

საპროგრამო სიტყვა

ყრილობაზე ვრცელი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, ის, ვინც ათ წელზე მეტია ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას, კომკავშირს, ნორჩ თაობას ზრდის

საქართველოს ალკა XVII ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან) სოციალისტური შრომის გმირი ულფე ზურაფოვი (აბერის ძმა), მეთერთმეტე კლასელი ანა თინიანი (ფოშეთი), სოციალისტური შრომის გმირები გ. ხეცურიელი და ვ. გოგოლაძე (ლაგოდეხი), და საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი სერჟანტი ი. ბალიჩევი.



საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატები — თბილისის ქალთა მე-3 საშუალო სკოლის XI კლასელი **მერი სიხარულიძე** (მარცხნივ) და ამავის ქალთა პირველი საშუალო სკოლის XI კლასელი **ნელი ბუხალეიშვილი** ათანლიერებენ ყრილობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილ ს/ზრაფმაგალი გლისერის მოდელს. ფოთ მოდელზე ახსნა-განმარტავს ალლეგს თბილისის ფოთა №-13 საშუალო სკოლის VIII კლასელი, ბავშვთა ცენტრალური ტექნიკური სადგურის ნორჩი ტექნიკოსი **ბერნინ ზაკომორნინ** (შუაში).

ლ. ბ. ბერიას მიერ დანერგილ სტალინურ ტრადიციებზე, კომუნისტური სულისკვეთებით.

თავის შესანიშნავ სიტყვაში, ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა საქართველოს კომკავშირს დაუსახა ახალგაზრდობის, ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდის შემდგომი ამოცანები. იგი მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად დაწვრილებით შეჩერდა აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებითაც სულ-ოქვენ ჩვენი სკოლა, პედაგოგ-მასწავლებლები, სკოლის კომკავშირული ორგანიზაციები, პიონერ-მოსწავლეები.

მოსწავლემ საშუალო სკოლაში უნდა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა ძირითად საგანმანათლებლო დისციპლინებში, აქვე აირჩიოს მომავალი პროფესია.

მოსწავლის უპირველესი ამოცანა — ესაა წარმატებით სწავლა. ამ საპატიო საქმეს უნდა ემსახურებოდეს სკოლის, კომკავშირი, პიონერთა ორგანიზაცია.

დაგეუფლოთ დიდი რუსი ხალხის ენას

ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი თავის სიტყვაში განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას რუსული ენის სწავლებაზე.

„...რუსული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი ენაა. — ამბობს ამხანაგი კ. ჩარკვიანი,—რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა მოიცავს კაცობრიობის კულტურის ყველა დარგს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ენა ... მარტლად ჩვენს დროში შეუფასებელია. ... მელმა სამეცნიერო დისციპლინის საქართ ... ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

მუდამ ერთად დადიოდნენ
თვალადები, ტანადები,
ქალაქს ერთად მიაშურეს,
ერთად გზავნეს ბარათები,
მოანატრეს სოფელს თავი—
ერთად გახდნენ სანატრელი,
ისევ ერთად მოგვევლინენ
ნაცრისფერი ხალათებით.

ბიჭოს! შეცვლა შეიძლება,
მაგრამ ასე არნახული?!
თურმე ყმაწვილს კაცად გახდის
მანქანების თქარათქური.
სულ სხვა სიტყვა-პასუხი აქვთ,
მიხრა-მოხრა — ვაკკაცური,
მკერდზე ცხრა-ცხრა ნიშანი აქვთ,
ზედ კალამიც ქალაქური...

ეგ კალამი ისეთია—
თავს სამლენე ეხურება,
მაგისთანა კალმისტარი
ჩვენში სულ არ მეგულება.
მხოლოდ ერთი კვირით ჭქონდათ
საახალწლო შვებულება...
მიდიან და მათი წასვლით
გულისკარი გვეხურება.

ჰო და, მთელი ერთი კვირა
ნატვრითა და დანანებით
გარს ვეხვევით და შეეხარით
ჩვენი სოფლის ცანგალები.
შეგვაყვარეს ქალაქივით
მოგრუხუნე მანქანები
და მაღალი, თეთრი ჭერი
სახელოსნო სასწავლებლის.

თურმე, სიტყვა ზეინკალი
არის აბჯრისმკეთებელი;
გორგასალის აბჯარს სჭედდა
ვინმე მგელა ფეთებელი...
აბა გვარიც მას ჭქონია,
მართლაც, მტრის დამფეთებელი!
აბა კაციც ის ყოფილა
ლომთა აბჯრის მკეთებელი!

მაგრამ აგრე ნუ ვამაყობთ
ჩვენთა ძველთა ნამუშევრით:
რაც რუსთავში მხოლოდ ერთ დღეს
რჩება რკინის ნამუსრევი,
ეს წელიწადს ვერ გასცვეთდნენ
ქართული სპის თორ-აბჯარით
დიდი დავით,
დიდი თამარ,
დიდი ვახტანგ გორგასალი...

ახლა ქართველ ზეინკლების
გაგრძელება ჩვენ ვიქნებით;
გავჩარხავთო ისეთ უროს,
ეს წელიწადს გვემსახუროს!
გავჩარხავთო ისეთ გუთანს,
რომ ოსტატი ლოცონ მუდამ!
ისეთ ნამგალს, ისეთ ხანჯალს,
ეს წელიწადს ვერ დახარჯავ...

დაგიწუნეს, ქიტეს, თოხი—
იმიტომ და ამიტომ;
უბის წიგნში უწერიათ
მაგის წონა, მაგის ზომა,—
და საწყენად რომ არ დაგრჩეს,
ტუჩზე ღიმი გადითოვა—
გიგლამ თვისი ნაკეთები
სათუთუნე დაგიტოვა.

მხოლოდ ერთი კვირით ჭქონდათ
საახალწლო შვებულება,—
მიდიან და მათი წასვლით
გულისკარი გვეხურება.
მაგრამ წადით, ძვირფასებო,
გამარჯვების გზაც გქონიათ!
სოფლის ემხი, მიწის მადლი
ქალაქშიაც გაგყოლიათ!
მშობელი არ დაივიწყოთ,
სოფელი არ დაივიწყოთ,
ყანები არ დაივიწყოთ,
ზვარები არ დაივიწყოთ...
რომ ყოველთვის, სადაც იყოთ,
ჯეჯილივით კარგი იყოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქ. მინსკი, მთავრობის სასახლე.

საბჭოთა ბელორუსია

ძველთაგან გადაშლილია ეს ლამაზი მხარე ძდინარე დვინასა და დნეპრზე, ბუგსა და ნემანზე, პრიპიატსა და ბერეზინაზე. ძველთაგან განოქმული იგი არყის ხეების წარმტაცი ტყეებით, მშვენიერი ველებით და ტბორარი, ნოყიერი მინდვრებით.

ბდდარია ბელორუსის ყველა მდინარე. ბდდარია წყალუხვი პრიპიატი. იგი უხმოდ მოედინება პოლესიეს გაუვალ ეურახებში, მის გამქვირვალე წყალში საღამო ყამს გარკვეით ისმის, თუ როგორ ეტლაშენებენ ბოლოებს ვეება ჭანარები.

აღმოსავლეთით ვიტებსკის, სმოლენსკისა და ბრიანსკის თვალუწვდენი სივრცეები, თუ თვალწარმტაცი არყიანები საზღვრავენ ბელორუსიის რესპუბლიკას, სამხრეთით — უკრაინის ბარაქიანი, დაუსრულებელი სტეპები გადაჭიმულან, ჩრდილოეთით კი ლამაზი ბალტიისპირეთი — ლიტეა და ლატვია უდგანან მხარში, ხოლო დასავლეთით —ახალი, დემოკრატიული პოლონეთი ესაზღვრება მას.

განთქმულია ამ მხარის პურადობა. არყიანებში მიმოფანტულია თეთრი სახლები, სადაც სტუმართმოყვარე ბელორუსი ისე ტკბილად შემოგეგებება, გაიღიმებს და გამარჯვებას გისურვებს, რომ ყველაფერი ეს ადამიანს ახალ ძალას შეგმატებს.

მძიმე იყო ბელორუსიის წარსული. პოეტი იაკუბ კოლასი იგონებს მეფის დროის მინსკს, ერთსართულიანი ხის სახლებით მოფენილ ქალაქს. მზესუმზირას ჩენჩით იყო სავსე ალექსანდრეს ბაღი. გუბერნატორის ველოდგინედ მოვლილ ბაღში მხოლოდ სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებს შეხვდებოდით. დაბალ, პატარ-პატარა დუქნებში, ჭუჭყიან დახლზე, ძეხვსა და ლუდს შეეტცეოდნენ მოქალაქენი. სულ ეს იყო დამახასიათებელი მაშინ მინსკისათვის.

— წარმოება?! — იკითხავთ, თუმცა რაღა საკითხავია. მხოლოდ ლეგენდა და გაზიანი წყლების დამზადება სწარმოებდა ძველ მინსკში. ეს იყო ფული.

ისტორიას ჩაბარდა აწუხარე წარსული.

1919 წლის 1 იანვარს ბელორუსიის მეუბრძანა და გლეხებმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მმური დახმარებით, დაიბრძოლეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება და შექმნეს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

საბჭოთა ბელორუსია თავისი არსებობის 30 წლის განმავლობაში სხვა საბჭოთა ხალხებთან მჭიდრო თანამეგობრობით ვითარდებოდა და მტაცებლებოდა. ბელორუსია, რომელიც წინათ მეფის რუსეთის ჩაბრჩენილი განაპირა მხარე იყო, გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც განვითარებული მრეწველობა და მაღალნაყოფიერი საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობა აქვს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ბელორუსმა ხალხმა თავისი ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ნაშდვილ აყვავებას მიაღწია.

1929 წელს მინსკში დაარსდა ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემია. 20 წლის განმავლობაში იგი გადაქცა დიდ სამეცნიერო ცენტრად.

ბელორუსი მწერლები და პოეტები ი. კუპალა, ი. კოლასი, ჯ. ბროვკა, მ. ტანკი, ა. კულეშოვი და სხვები მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი არიან.

დიდი სამამულო ომის წლებში ბელორუსმა ხალხმა გამოიჩინა მაღალი პატრიოტიზმი და თავდადება თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი. ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინის მოწოდებით მთელი ბელორუსი ხალხი აღსდგა თავისი სამშობლოს დასაცავად და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მამაცურად იცავდა თავის ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

დიდი სახელი მოიხვეჭეს ბელორუსმა პარტიზანებმა, რომლებმაც „სალიანდაგო ომი". ასრულებდნენ რა პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბის მითითებებს, პარტიზანებმა აფეთქეს 368 ათასზე მეტი ლიანდაგი. მათ შესძლეს ორი თვით შეეწყვეტათ მოძრაობა ბელორუსიის ყველა რკინიგზაზე.

სამამულო ომის ფრონტზე ერთ მილიონზე მეტი ბელორუსი იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბელორუსი ხალხის სუფეკეთესო შვილებმა გენერალმა დოვატორმა, მფრინავმა ვიქტორ ტალალიხინმა, ტანკისტმა თეოდოსი სმოლიაჩოვმა, პარტიზანმა კონსტანტინე ზასლონოვმა და მრავალ-მრავალმა სხვამ ეკვდნენ დიდებით შემოსილ თავიანთ ... ...

გერმანელთ ფაშისტური ოკუპაციის ძნელ დღეებში ბელორუსიის მშრომელნი იმედით შეპყურებდნენ აღმოსავლეთს. კარგად იცოდნენ, რომ იქიდან დახმარება ჩამოვიდოდა. ბელორუსმა ხალხმა იცოდა, რომ დიდი სტალინი იხსნიდა ქვეყანას ფაშისტური მონობისაგან.

სახელოვანმა საბჭოთა არმიამ, რომელსაც უაღრესად აქტიურ საბრძოლო დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის პარტიზანები და მოსახლეობა, 1944 წლის ივლისის დღეებში გაანთავისუფალა ბელორუსია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

ჰიტლერელებმა ნანგრევებად აქციეს ბელორუსიის ქალაქები და სოფლები, გაძარცვეს სახალხო მეურნეობა. ბელორუსი ხალხი ასეთი საშინელი ნგრევის შემდეგ ვერ შესძლებდა სწრაფად გაძართულიყო წელში, მას რომ არ დახმარებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი. ამკამად არა მარტო მთავრდება დანგრეული სამრეწველო საწარმოების აღდგენა, არამედ მიმდინარეობს ახალი ინდუსტრიელი წინსვლა.

ბელორუსიაში ამაყობენ თავიანთი ქალაქების აღსადგენად ჩატარებული მუშაობით. „შენებლები არა მარტო ხელახლა აშენებენ ქალაქებს, არამედ მათ უფრო ლამაზს, კეთილმოწყობილს ხდიან.

წინათ ეწვრილი და დაქსაქსული ბელორუსიის სოფლის მეურნეობა მსხვილ საკოლმეურნეო და საბჭოთა სოციალისტურ მეურნეობად გარდაიქმნა.

ბელორუსმა კოლმეურნეებმა 1948 წელს სიტყვა მისცეს დიდ სტალინს, რომ უხვ მოსავალს მოიყვანდნენ. მათ წარმატებით შეასრულეს თავიანთი სიტყვა: ისეთი უხვი მოსავალი მიიღეს, რომ ომამდელ პერიოდსაც გადააჭარბეს.

ბელორუსი ხალხი თავის დიდ დღესასწაულს — რესპუბლიკის 30-ე წლისთავს შეხვდა უდიდესი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ბელორუსიის მეშვები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, თავდადებით იბრძვიან ომის შემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ყოველდღიურად ამტკიცებენ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას. ბელორუსი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის გზით.

დავით ზამათაძე

ტყე ქვეყნის მშვენება და სიმდიდრე

ლამაზია ტყე, მარში იყოს ის თუნდ მთაში. ლამაზია თვისი ასწლოვანი ხეებით, მდელოებით, ბალახითა და ყვავილებით, თავისი წყაროებითა და ნაკადულებით. სიცოცხლით სავსეა ტყე ზოგჯერ მყუდრო და ზოგჯერ ხმაურიანი. ტყეში ბინადრობს ირემი, მგელი, კურდღელი, კვერნა და სხვა მრავალი ცხოველი. ფრინველები ხომ ტყის დამამშვენებელი არიან. ტყეში მედამ საამურად გასმის მათი სტვენა და ჭიკჭიკი.

ტყეები აშშვენებენ ბორკომის ხეობას, სვანეთის, იმერეთის, რაჭისა და კახეთის ბევრი მთის კალთებს.

საბჭოთა კავშირში ცნობილია ბრიანსკის, სმოლენსკის მხარის, ბელორუსიის, ციმბირისა და სხვა ტყეები.

ტყე თავის სიმშვენიერით მედამ იზიდავს ადამიანს. ტყეების სიმშვენიერე ყოველ თვის იყო და არის ჩვენი პოეტების, მხატვრებისა და კომპოზიტორების მთავარი წყარო.

ტყე ქვეყნის მშვენება და სიმდიდრეა

ტყე მიწას იცავს გამოშრობისაგან და მოსავლის დამღუპველი მშრალი კლიმატისაგან. ტყე ინარჩუნებს სინესტეს. თოვლი ტყეში, შედარებით, ნელა დნება ვიდრე ველიან ადგილებში. გამდნარი თოვლის წყალი თანდათან ნელა გაიეფონება ნიადაგის სიღრმეში. შემდეგ კი ამ სინესტეს ტყე ნელა და თანდათანობით აძლევს ტყის პირა მინდვრებსა და მდინარეებს. ტყის განადგურება იწვევს ნიადაგის გამოშრობას. ეტყეო. შიშველ მინდვრებში თოვლისა და წვიმის წყალი სწრაფად მიედინება მდინარეებისაკენ და რეცხავს ნაყოფიერ ნიადაგს, რის შედეგად მინდვრებზე რჩება გამოფიტული, უნაყოფო თიხა.

ეტყეო მთიან ადგილებში ნიადაგებისაგან წნდება ღრმა ხრამები, რომლებიც ამცირებენ მინდვრების სივრცეს. ნიადაგებს ხეობებში შეაქვს ტალახად ქცეული თიხა, ცლდეების ნამსხვრევები და ანადგურებს ყანებს, ბაღებს და დიდ ზარალს აყენებს მოსახლეობას. ტყეებს კი შეუძლია საგრძნობლად შეასუსტოს ნიადაგების ძალა და დაიცვას მოსახლეობა მათი დამღუპველი შემოტეხისაგან.

ტყე აკავებს თავისი სეფთა წყლით წყაროებსა და მდინარეებს. ბევრი მდინარე ტყის ტბებიდან და ჭაობებიდან გამოედინარეობს. იმ ადგილებში, სადაც ტყე განადგურებულია, ვარნტის წყალი (ნიადაგქვეშა წყალი) მიწაში ძალიან ღრმად ჩადის და იწყება მდინარეთა დაკნინება, მათი გაშრენება.

მაგრამ ტყე არა მარტო სინესტის შემნახველია, არამედ იგი იცავს მიწას ედაფნოვიდან ქარების მიერ გამოტაცებული მფრინავი სილისაგან.

ეკანასნელი ასი წლის მანძილზე. ტყეების გაჩეხვის გამო, მფრინავი სილა აღმოჩნდა იქ, სადაც არასოდეს არ ყოფილა. მფრინავი სილით დაფარული ფართობები გაიზარდა რამდენჯერმე.

რუსეთის მდიდარი ეკონ სამხრეთაღმოსავლეთით მდებარეობს ყაზაქეთია ედაფნო — ედაფიწის ერთიერთი უნაყოფო ოლქი. ედაფნო საშიშია იმით, რომ ის მუდმივად მოძრაობს; ქარი მის მთელ სივრცეზე ატაცებს ხოლმე ჰაერში სილას, მაღე ბნელდება მეწამული სილის ბურუსით და იწყება სილის ბორიტი და მრისხანე შემოტეხა ნაყოფიერ მიწაზე. გარდა სილისა ქარებს ედაფნოდან მოაქვს გამოშრალი, ცხელი, გაელარეებული ჰაერი, რომელიც აკლონებს ბალახს, ფოთლებს, ყანებს, და სიცხისაგან მიწა სკდება.

ადამიანს შეუძლია და უნდა კიდეკიც შეაჩეროს ედაფნოების ანალი შემოტეხა. ამ საქმეში მას დაეხმარება მხოლოდ ტყე თავისი შემძლე მწვანე კედლებით.

1948 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის მთავრობამ და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნეს ჩვენი დიდი საშობლოს ველიან მხარეებში ტყეების გაშენების გაბედული, ისტორიაში ჯერ არნახული გეგმა. ეს გეგმა ბუნების დიდი გარდამქმნელია. დამდგარ ამ გეგმაზე მოთავსებულ რუკას და ნათლად დანახავთ, როგორ გონიერულად არის მოფენილებული გაღლეების სწორნაკვეთი შეტეხა.

გაიარეს რამდენიმე წელი და გაღლეიან ადგილებში დამკვიდრდებიან ძლიერი ტყის ნაკვეთები, ათასეულობერტრიანი ტყის ფენა ველებში შეაჩერებენ სილასა და ცხელ ჰაერს, მოსპობენ გაღლეებს და გადაარჩენ

6292.

საჯარო
ბიბლიოთეკა

ნენ ნაყოფიერ მიწას გამოხმობისაგან. ქვემო კოლგის ნაპირებზე აზიაურდებიან მეცხვები, თელები და ალეკის ხეები; სტალინგრადიდან ვოლგასის ქედამდე ტრაქტორები დაიფარება მწვანე ნარგავებით, გაფაციცება ალეტლის, ჭერმისა და მსხლის ბაღები; ეკალიპტები და ციტრუსები გაფენენ საქართველოს საზღვრებიდან და დამშვენებენ ყირიმს, ყუბანს, სამხრეთ უკრაინას, შუა აზიას, აზერბაიჯანს, დაღესტანსა და მოლდავეთს.

როდესაც ჩაუფიქრდები ყოველივე ამას, გინდა გოლიათური ძალა მოგეცეს, რომ ბრისი შესაფერი წვლილი შეიტანო ამ დიად, ჯერ არარსებულ, საძეშაოების შესრულებაში.

კრძოდ საქართველოში სამგორის სამეშაოებმა საერთო ხასალხო ხასიათი მიიღო. საქართველოს ყოველ კუთხიდან მოდიან ამ საძეშაოდ ახალგაზრდები და ჯარმაგები და თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ სასიქადულო დიდ მეშაობაში. სამგორის რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი შიშველი ველები, მდინარე იორიდან გამოყვანილი სარწყავი არხების შემწეობით, მალე აყვავებულ წალკოტებად იქცევა — დაიფარება ბაღ-ვენახებითა და ყანებით.

საქართველოს მრავალ კუთხეში [illegible] ებს ახალი ტყეების მოშენება როგორც [illegible] ხელწიფის ისე კოლმეურნეობებ[illegible]

დიდი ტყის ძნშვნელობა, იგი [illegible] ტო მიწას იცავს გამოშრობისაგან, არამედ აჯანსაღებს ჰაერს. ტყეები წარმოადგენენ ჟანგბადის მომცემ ვეებერთელა ლაბორატორიებს, ამავე დროს ისინი შთანთქავენ ჰაერის მტვერსა და მომშხამავ გაზებს. ცნობილია, რომ ქალაქის ჰაერში მეტია მიკრობები ვიდრე ტყის ჰაერში. ეს არის იმაზე უმშვენიერესი და სამკურნალო ჰაერი, როგორც ფიქვნარის რბილი ჰაერი — გაჟღენთილი ფიქის, წიწვის, ბალახისა და ყვავილების სუნით. ამიტომ არის, რომ ასე უფრთხილდებიან ჩვენში ქალაქების გარშემო ტყეებს, რომელთაც „ქალაქის ფილტვებს“ უწოდებენ.

ტყეებზე დამოკიდებულია ჩვენი მოსავლიანობის ბედი, მდინარეების უხვწყლიანობა, ჩვენი ჯანმრთელობა და კულტურის განვითარება.

გაუფრთხილდით და დაიცავით ტყე. მას გასანადგურებლად ერთი დღეც კმარა, მაშენებისათვის მრავალი ათეული წლებია საჭირო.

ბორის გეთანელი

ბაბუა თედო ბავშვებთან

რომ დარბიხართ, რომ ხმაურობთ,
ნუთუ აღარ მოგეწყინათ?
მოდით ახლოს და გიამბობთ,
როგორ იყო სწავლა წინათ.

მე ვხარობდი განა ასე?!
გულს მიესებდა დარდი, სევდა,
ცრემლით მქონდა თვალი სავსე,
მღდელი ყურს რომ ამიწევდა.

სადღა გვქონდა წიგნი, ჩანთა,
გვასწავლიდა ის არაკებს,
ორ ზამთრიდან ისევ დამრჩა,
ქრისტე ჯვარზე რად გააკრეს.

ავუხიდი სკოლის კედლებს,
ვეღარ ვგრძნობდი იქ სიმშვიდეს,
ვინ გეიწვდიდა ხელს გულთბილად
მუშისა და გლეხის შვილებს!

სიხარული მისთვის მმოსავს,
თქვენ რომ დრო გაქვთ ბედნიერი,
გაგიმარჯოთ, მომილოცავს
სიმშვიდის და შრომის წელი.

ჯ. სერგეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომგადახტილი ქაბუკი

ნახ. ვ. ბელეცკაია

ეპიზანგ გორგანელი

1

რა შორი გზები იარა,
გაიმარჯვებდა ვიდრე,
რას იფიქრებდა, თუ უკან
დაბრუნდებოდა კიდევ.
სიხარულისგან, თეძამზე [1]
რომ იშლებოდა ბური,
სამადურებთან [2] ბუდიდან
ლამის ამოხტა გული.
აქ ამოვებდა საქონელს,
აქ ბევრჯერ სცადა მკლავი,
ყოველ წიფლისქვეშ ნათელი
მისი ბავშვობა ჰყავის.
იმ ტკბილ სიმღერებს აგონებს
ხეთა უბრალო ჩქამიც;
იჩქარე, ავტომანქანავ,
გულმა გაგისწროს ლამის.
ხეთი წელია ოჯახის
არ შეუღია კარი,
შინ მოსვლა იყო ყოველთვის
ოცნება სანუკვარი.
ახლოა მისი სოფელი
შემოსალტული მთებით,
სად ხარ, მერცხალო, ათხოვე
შენი შრიალა ფრთები,
წელიწადსა ჰგავს ხანდახან
ამ დროს ყოველი წამი,
იჩქარე, ავტომანქანავ,
გულმა გამისწროს ლამის.
ამაღლდა გორშევარდენზე,
მერე დაეშვა ავტო,
აქა-იქ ვარსკვლავებივით
შუქი გამოკრთის მარტო.
ეზოს კარებთან დროდადრო
ჭყეფენ ძაღლები ფრთხილი
და სძინავს საყარაულოს [3]
დამშვიდებული ძილით.
ავტო შეჩერდა ქვითკირის
ორსართულიან სახლთან,
მაგრამ ჩუ... ეს რა ხმებია,
ნეტავ, იორის წყალთან!

2

შორს, მაღალ მთებში, პირიქით,
მოსულა დიდი წვიმა,
მდინარეებად ქცეულან
ღვარები პაწაწინა.
ადიდებულა იორი
ერთი ელვა და ტეხით,
შორიდან კლდეებს მოსძახის,
როგორც დაჭრილი ვეფხვი.
და უცაბედი შეტევით,
მღვრიე ტალღების ხმალით
საყარაულოს ჯებირი
გაურღვევია ძალით.

[1] მდინარეა

[2] მთაა ერწოში

[3] სოფელია ერწოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

წამოიშალა სოფელი,
ხალხი მოაწყდა იორს.
რა უნდა იყოს ასეთი,
იმათ რომ არა სძლიონ.
„იქით ჩაყარეთ მორები,
აქეთ ამოსდეთ კავი“.
ჰაბუკის გამჭრიახობამ
აქაც იჩინა თავი.
ვერვინ ხვდებოდა ვინ იყო,
ვინ იფიქრებდა ამ დროს...
ზოგს ბრიგადირი ეგონა,
ზოგს თავმჯდომარე სანდრო.

4

სანამ გაიგებს სოფელი,
სულ გადათელავს ყანებს,
ფუძედაძრული ჯიბირი
თუ არ ჩაკეტეს მალე.
რა ქნას ნაბრძოლმა ჰაბუკმა,
რით შეაჩეროს წყალი!
ხან აქ ეცემა, ხან იქა,
გულზე ედება ალი.
მარტო რომ ვერა უშველა,
ქუდზე წაივლო ხელი,
გაიქცა, საბჭოს ეზოში
რკინას შემოჰკრა ძელი.

სხვა სიხარული სად არი,
უკეთესს რაღას ნახავ:
ომში ნაწრთობი ჰაბუკი
მხარში დაუდგათ აქაც.
ხარობდნენ და თან ამბობდნენ
რაღაც უცნაურ ძალით:
წუხელო სიხარულისგან
ალბათ ადიდდა წყალი,
ვერ აიტანა დუმილი
ჯიბირს გადეელო თავზე,
რომ შეხვედროდა ძმასავით
ჰაბუკს პირველი გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. ლიქსანავი

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

1941 წლის უკანასკნელ დღეს ურალზე მიტინგები გაიმართა. მიტინგი მოეწყო ყველგან, სადაც კი ადამიანი შრომას ეწეოდა ფრონტისათვის, — ქარხნებში, მაღაროებში, შახტებში, ტყის სარეწაოებზე, რკინიგზებზე, კოლმეურნეობებში.

ერთერთი ქარხნის საამქროებში ხალხი იკრიბებოდა ტრიბუნებთან, სადაც წითელი დროშები გარსშემოვლებოდა დიდი ადამიანის პორტრეტს. მას იმედითა და სიყვარულით უცქეროდნენ ხნიერნიც და ჯეელნიც. პირველი საამქროს მიტინგის მონაწილენი მოზარდები იყვნენ, და ყველაზე უძაროსი მათ შორის იყო კონსტანტინ მალიშევი, მეტსახელად — ცეროდნა.

საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე — მესამე ბრიგადის ოსტატი — ავიდა ტრიბუნაზე და აყენა ქუდი.

— ამხანაგებო! ყურადღება, ამხანაგებო! — დაიძახა მან. — ნება მომეცით საახალწლო მიტინგი გახსნილად გამოვაცხადო.

ხმაური და ლაპარაკი შეწყდა.

— ამხანაგებო! — განაგრძო მიტინგის თავმჯდომარემ. — ახალ, დამდგ წელს ჩვენ გაცილებით მეტი მანქანები უნდა გავაკეთოთო, ვიდრე აქამდე ვაკეთებდით, რათა, რაც შეიძლება, ძალე დავამარცხოთ გერმანელები. მთელი ურალი ახლავს საახალწლო წერილს ამხანაგ სტალინისადმი, მთელი ურალი წმინდა ფიცს აძლევს ჩვენს ბელადს — თავდადებით იმუშაოს ფრონტისათვის. განვიხილოთ წერილი ჩვენს! წერილს პროექტს წაიკითხავს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხანაგი ზინა სოლოვიოვა. შეიძლება თქვენ გექნეთ რაიმე შესწორება ან დამატებანი.

ზინა სოლოვიოვამ დაიდო წინ დიდი ფურცელი და ასწია ხელი. მან დაიწყო კითხვა, მაგრამ პირველად ძლივს ისმოდა მისი ხმა. ვიღაცამ დაიძახა: „ხმამაღლა!“ ზინოჩკამ ხმას აუწია და აუწკრიალა. ცეროდნასათვის ყოველი სიტყვა გასაგები შეიქნა, თითქოს ყველა ისინი ამოღებული იყო მისი მღელვარე გულიდან.

„ჩვენ, მშრომელები, ვალდებულებას ვიღებთ, ამხანაგო სტალინ, არ დავზოგოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ვიმუშაოთ დღე და ღამე, რათა ახალ, 1942 წელს გავაორეკეცოთ, გავაამეკეცოთ ყველა სახის შეიარაღებისა და საომარი საქონელის გამოშვება, კიდევ უფრო უკეთესად მოვამარაგოთ ყოველივე აუცილებლით ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით ოგვის ღედამიწის ზურგიდან ჰიტლერელთა ბანდას“. — კითხულობდა ზინოჩკა.

მოზარდებმა ტაში დაუკრეს.

— ვის სურს თავისი აზრი გამოსთქვას?— იკითხა მიტინგის თავმჯდომარემ. — ინებეთ სიტყვა, გერასიმ ივანოვიჩ!

კელავ გაისმა ტაში, რადგან პატივს სცემდნენ ყველაზე უკეთესი ბრიგადის მოხუც ოსტატს. იგი ნელა ავიდა ტრიბუნაზე, ძალიანად ქუდი. ყმაწვილებს გაუკვირდათ, თითქოს პირველად ხედავდნენ, თუ რა თეთრი თმა ჰქონდა მას — თოვლივით თეთრი.

გერასიმ ივანოვიჩი ჩაფიქრდა და ასე უცქერდა ახალგაზრდებს.

ნაწყვეტი მოთხრობიდან „ცეროდნა“, ავტორს ამ მოთხრობაში 1948 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

— აქ გაუგებარი არაფერია, — თქვა მან. — ყველას უნდა ჰქონდეს შეგნებული, თუ რას წარმოადგენს გერმანელი... — მან ოდნავ ხალვალანდ გაიღიმა და განაგრძო: — მინდა ჩემი ერთი, ყველასათვის გასაგები მაგალითი მოგიყვანოთ... მისმინეთ! ვინც აქ ხართ, ყველამ ასწიეთ ხელი, რომ დაგინახოთ.

რასაკვირველია, მიტინგს მონაწილენი ეარ მიხვედრილიყვნენ, თუ რისთვის იყო საჭირო ხმის მიცემა, მაგრამ ხელები მაინც ასწიეს, ერთმა ბიჭუნამ კი, რომელიც ცეროდენას გვერდით იდგა, ორივე ხელი ასწია, თვალი ჩაუკრა მას და ჩასჩურჩულა:

— არ დავიზარებ. კარგი ადამიანისათვის.

ცეროდენა იცნობდა ამ ბიჭს, — იგი ევაკუირებული იყო და მესამე ბრიგადაში მუშაობდა მხეხავად.

მოხუცმა თვითონაც ასწია ხელი.

— აი... ვცხოვრობდით ჩვენ წყნარად, მშვიდად, არავის არაფერს ვუშავებდით, ომი არ გვინდოდა, გერმანელმა ფაშისტმა კი გაიჩაღა ომი, — თქვა მან. — ახლა მისმინეთ ვისაც ძაღლმა ჰიტლერმა დააკარგვინა, მამა და დედა, წაართვა ოჯახი, დაუშვა [illegible] ...ბული

ამას არავინ მოელოდა. აქა-იქ ხელ[illegible] უბედავად დაუშვა. ბიჭუნა, რომელსაც სახეხეზოდ ორივე ხელი ჰქონდა აწეული, ისევ იღიმებოდა, მაგრამ ამ ღიმილს იერი უკვე დაჰკარგოდა.

მან ერთბაშად, მოწყვეტით ამოიხვნეშა და დაუშვა ორივე ხელი.

ბევრმა დაუშვა ხელი, და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი სიჩუმე, რომ ტანში ჟრუანტელმა გაუბრინა ყველას.

— ასე... ხომ ხედავთ, რა ჩაიდინა ბილწმა ფაშისტმა, რამდენი ჩვენი ახალგაზრდა დაობლა! — ნაღვლიანი ხმით თქვა გერასიმ ივანოვიჩმა. — ახლა დაუშვას ხელი იმან, ვისაც მამა, ძმები ფრონტზე ჰყავს, ვინც წერილს ელოდება... ვინც წერილს ღებულობს, და შეიძლება... არც ღებულობს!

კვლავ მრავალი ხელი დაეშვა. დაუშვა ხელი თვით ოსტატმაც. ხელი დაუშვა ცეროდე-

ნამაც. პირველად ახლა ჩაუფიქრდა იგი დანაშადვილებით — „ცოცხალია თუ არა მიტრი, ძმა მისი?“ — და მას სუნთქვა შეეკრა.

— ხედავთ, რა ცოტალა დარჩა აუეული ხელი, — გადააქნია თავი გრანსმ ივანოვიჩმა. — ახლა დაუშვას ხელი იმან, ვისაც უნდოდა ინსტიტუტში, უნივერსიტეტში სწავლა, მაგრამ ფაშისტებმა ბანა აუბნიეს.

თითქოს ქარმა მოიცალო, ყველა ხელი ერთბაშად დაეშვა. სერიოზული, ჩაფიქრებული გრანსმ ივანოვიჩი უცქერდა ყმაწვილებს, და ყმაწვილებიც ჩაფიქრდნენ: ისინი მდუმარედ, თვალჩაშტერებით უცქერდნენ მოხუც ოსტატს.

— გასაგებია ჩემი ნათქვამი? — იკითხა მან. — ფაშისტებისაგან იმდენი მწუხარება: მოყენებული, რომ მეტის ატანა აღარ შეიძლება. — იგი გასწორდა წელში, ამაღლდა, ჩამოკრა ქუდი ტრიბუნის კიდეს და დაიძახა: — თქვენ, როგორც გენებთო, პატარები ალარა ხართ, მე კი ხელს ვაწერ წერილს და სიტყვას ვაძლევ ამხანაგ სტალინს ვიმუშაო ისე, როგორც ამ ძვირფას წერილში წერია! ვაძლევ სიტყვას ამხანაგ სტალინს! — იგი ჩაფიქრდა და წყენარად დაუმატა: — ძვირფას ოსებ ბესარიონის-ძეს!..

— მოვაწეროთ ხელი წერილს! რაღას ვლაპარაკობთ! ყველაფერი ნათელია! — გაისმა ეიოკის ხმა.

— მოვაწეროთ, მოვაწეროთ ხელი წერილს!

გაიძახოდნენ ამ სიტყვებს ყმაწვილები და უცქერდნენ თავის ბელადს. თავის სტალინს ნაკვერცხლივით ელვარე თვალებით.

ბელადის სახელი იყო პირველი, რომელსაც ისინი ბავშვობიდანვე იცნობდნენ, რომლის წარმოთქმა ისწავლეს დედისა და მამის სახელთან ერთად. იგი მუდამ მათთან იყო — მზრუნველი და დაუღალავი, როგორც მამები და დედები არიან, ძლიერი და კეთილი, როგორც არავინ მთელ ქვეყნიერებაზე. იგი ამენებდა სკოლებს, პიონერთა სასახლეებს, პიონერთა ბანაკებს და ტექნიკურ სადგურებს, თავს უყრიდა ბავშვებს პიონერულ კოკონთან, აგზავნიდა მხარემიცოდნეობის ლაშქრობებში, და როდესაც ისინი ბრუნდებოდნენ შინ არტეკიდან, ექსკურსიიდან, ბანაკიდან, ხედავდნენ, რომ მას, დიდ ბელადს, კიდევ უფრო ნათელი, კიდევ უფრო მდიდარი გაუხდია მათი მშობლიური სახლი. და როდესაც ახლა მტერი ლამობდა წაელეკა მშობლიური მხარე ტანჯვით, როდესაც მტერს სურდა წაერთმია მათთვის ბედნიერება, წაერთმია მათი ნათელი მომავალი, — სწორედ მაშინ სტალინი—უშიშარი, ძლიერი, ბრძენი დიდებული,—დილისთ და ღამით ებრძოდა გამარჯვებისათვის.

და ყველამ იცოდა, რომ მშობლიური სტალინთან ერთად გამარჯვება [illegible] ლი იქნებოდა. და კიდევ იცოდნენ [illegible] გამარჯვებისათვის საჭიროა, რათა მშრომელთა ხელებმა იმუშაონ დაუღალავად, ბულს კი შიში არ უნდა შეეპაროს.

— მოვაწეროთ, ხელი მოვაწეროთ წერილს! — გაიძახოდნენ ყმაწვილები, — რაღას ვლაპარაკობთ! მოვაწეროთ ხელი!

— არა, ამხანაგებო, ჯერ კიდევ უნდა ვილაპარაკოთ, — გაიჩერა ისინი მიტინგის თავმჯდომარემ. — ალბა გარკვეული, თუ რას პირდება თითოეული თქვენგანი ამხანაგ სტალინს. ვის სურს სიტყვა? შენ, გალკინ?

კოსტიამ წაიგრძალა კისერი, თითის წვერებზე შედგა, რომ უკეთ დაენახა.

ეატია ალიდა ტრიბუნაზე, გაჭარხალებული, თითქოს ბევრი ურბენიო, და გაშეშდა, თავი ჩაღუნა. კოსტიას ალსაოდეს არ მოსჩენებია ეატია ასეთი პატარა და გამხდარი. ეატიამ ასწია თვალები.

— ფიცს ვაძლევ ამხანაგ სტალინს... ფიცს ვაძლევი ვიმუშაო სტახანოვურად, — თქვა მან. — ყოველთვის გამოვიმუშაო ერთნახევარი ნორმა... სისტემატურად..

— ეს კარგია! — გამოეხმაურა გრანსმ ივანოვიჩი. — მე შენ, გალკინ, სხვა დაზგაზე დაგაყენებ სამუშაოდ. მაშინ რას იტყვი?

— სულ ერთია... სწრაფად დაეიუფლები დაზგას... ეს იმიტომ, რომ ფაშისტები... ისეთი წყეულები... — მან ვერ დაამთავრა სათქმელი, მოიგლიჯა ბერეტი თავიდან და თმები ერთბაშად ღრეტლის ქოლგივით გადმოვიწია, ჩაპალა სახე ბერეტში და ნელა ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

სიტყვებით გამოვიდნენ სხვა მოზარდებიც. მათ პირობა მისცეს ამხანაგ სტალინს, რომ იმუშავებენ კარგად. გაუფრთხილდებიან ინსტრუმენტებს, მოუვლიან დაზგას. ბოლოს ეენეი უყარეს: საჩქაროდ გაგზავნონ წერილი ყოველგვარი გასწორების გარეშე. მოზარდები შეგროვდნენ წითელსუფრაგადაფარებული მაგიდის ირგვლივ, აწოდებდნენ ერთმანეთს ალმისტარს და გულმოდგინედ აწერდნენ წერილის ქვეშ თავიანთ გვარს.

მაგიდასთან მივიდა ეატია, აიღო ალმანი, დაწერა „გალკინა ე. ვ.“. ჩაფიქრდა, გააქნია თავი, გაბედულად გაუსვა ხახი-ტირე და დაწერა „150%“.

— მეც დაწერ! — აფუსფუსდა ჩასუქებული ლენინგრა ტუფიკი და საჩქაროდ გაწმინდა თავისი სათვალეები.

ალმისტარი მას კოსტიამ გამოართვა და გამოიყვანა თავისი გვარის პირველი სამი ასო „ძალ“. სწრაფად ნაუკეთა მოკლე ალმალ ბოსმა, დაწერა „150“, გადასცა ალმის-

ტარი შემდეგს და გაშორდა მაგიდას, შეცბუნებული თავისი სითამამით.

ხელისმოწერა თანდათან მატულობდა. ახლა უკვე ძნელი იყო კოსტიას გვარის დანახვა ამ უამრავ ხელისმოწერათა შორის. ყოველი ხელისმოწერის გვერდით მიწერილი იყო ვალდებულება: 120, 150 და 200 პროცენტიც კი. კოსტია ჩაადფქრა იმან, თუ როგორ გაიგებს ამხანაგი სტალინი — ვის რა ვალდებულება აიღო? მან აიხედა — სტალინი მას ღიმილით უცქერდა, თითქოს ეუბნებოდა: „ნუ სწუხარ, მე ვიცი, რომ შენ ერთანხეკარი ნორმის ვალდებულება აიღე. ყოჩაღ!“.

იმ დღეს მოხუცებმა და ჯეელებმა ქარხნებსა და კოლმეურნეობებში ხელი მოაწერეს წერილს. მილიონზე მეტი ხელისმოწერა დაგროვდა. გაზეთებმა დაბეჭდეს წერილი, და მთელმა სახელწოდამ, ყველა ფრონტმა გაიგო, რომ ურალელებმა ფიცი დადებულნი ზადონ 1942 წელს ორ-სამჯერ ეტლზე იარალი, რაც 1941 წელს დაამზადეს.

თითქოს ყოველი ფრონტიდან გასძახოდნენ ურალს:

„მოგვეცი მეტი იარაღი!“

და ურალის მთებიდან მოისმა გულმშვიდი პასუხი:

„ფიცს ვიძლევ დიდ სტალინს — იარაღს მივცემ იმდენს, რამდენიც საჭიროა!“

ეს მძლავრი ხმა წარმოიშვა მილიონთა ხმებიდან, და მათ შორის იყო ის პატარა, სუსტი ხმაც, რომელიც კონსტანტინე მალიშევს ეკუთვნოდა. მაგრამ ეს ხმა გულის სიღრმიდან მოდიოდა, ამიტომ იყო, რომ დიდმა ბელადმა გაიგონა ის და ცეროდენას გაუღიმა პასასუხოდ.

თარგმნა **შ. გვინჩიძემ**

შეხედეთ, როგორ გაბმულან ცხენებივით ადამიანები ეტლში! ქანცგამოლეულები, ქმნილი მირბიან ძზისაგან გავარვარებულ ქუჩებში. ეტლში კი მძიმედ გაშხლართულან მსუქანი მხეცრები, ზეგრში წინლებს ცემენ და შესძახიან ეტლში შებმულ ადამიანებს: „ჩქარა გარეკე, ჩქარა, თორემ გასამრჯელოს ვერ მიიღებ!“

თუ იცით სადა ხდება ეს?

ეს ხდება ჩინეთში. ეტლში შებმულან მშიერი ჩინელები, მხეცრები კი ამერიკელი ოფიცრებია. აი, ორმა ამერიკელმა სათითაოდ დაიკავა ეტლი, ჩასხდნენ და უბრძანეს ეტლში შებმულ ჩინელებს, ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ რბენაში. მირბიან, მირბიან მშიერი ადამიანები, და კმაყოფილი ამერიკელები კი იცინიან.

* * *

რიქშებს ჩინეთში ღარიბებს ეძახიან, რომლებიც ერთ-ორ კაპიკად თავისი ეტლით მგზავრებს მთელ ქალაქს შემოტარებენ ხოლმე. რიქშა — უცხენებო მეეტლეა, რომელიც ცხენის მაგიერ თვითონ ებმება ეტლში.

განსაკუთრებით ამერიკელებს უყვართ რიქშით სეირნობა. მათ მოსწონთ, რომ სხვის მხარეში ეტლში შებმული ჩინელები შეიარაღებულ „სტუმრებს“ დასასეირნებენ.

და აი, მირბიან, მიაქროლებენ ეტლს მშიერი რიქშები, მაგრამ მოკლეა მათი წუთისოფელი. განწირამები ადამიანები დიდხანს ვერ უძლებენ რბენას, და სულ მოკლე ხანში სირბილის დროს ეცემიან და ფეხზე ვეღარ დგებიან.

და სჯერა დიდ ჩინელ ხალხს, რომ არ ეღირსებათ თავისუფლება და სიხარული მალამდე, ვიდრე მათ სამშობლოში დათარეშობენ უცხო კაპიტალისტები, მდიდარი ჩინელები და ამერიკელი ჯარისკაცები.

მუშები, გლეხები და რიქშები სახალხო არმიაში ეწერებიან. ეს არმია ჩინელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი არმიაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცკევიჩი საქართველო

ადამ მიცკევიჩის (1798-1855) სახელი საქართველოში პოეტის რუსეთში გადასახლებისთანავე გახდა ცნობილი.

იმ დროს პოლონეთი რუსეთის იმპერიაში შედიოდა.

საიდუმლო პოლიტიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის ექვსი თვის პატიმრად ყოფნის შემდეგ, უკვე საკმაოდ ცნობილი პოლონელი პოეტი 1824 წ. სამშობლოდან რუსეთში გადმოასახლეს.

ერთი წლის შემდეგ მიცკევიჩს გზავნიან სამხრეთში, ქ. ოდეასში. ამ პერიოდს ეკუთვნის პოლონური პოეზიის ბრწყინვალე ქმნილებანი მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები“.

1825 წლის დასასრულიდან მიცკევიჩი მოსკოვსა და პეტერბურგში უახლოვდება რუსეთის მოწინავე მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

1826 წელს მიცკევიჩი პირველად შეხვდა პუშკინს. ამ დღიდან საფუძველი დაედო ორი დიდი მწერლის მეგობრობას. პუშკინი მისთვის ჩვეული ოსტატობით თარგმნის მიცკევიჩის პოეტურ ქმნილებებს.

1829 წელს მიცკევიჩი წავიდა ევროპაში. რომში მას მოუსწრო 1830 წლის პოლონეთის ამბოხების ცნობამ. პოეტი მაშინვე გაეშურა თავისი ქვეყნისაკენ.

პოლონეთის ამბოხების ჩახშობის შემდეგ, საქართველოში გადმოასახლეს მრავალი პოლონელი, რომლებსაც პირადი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ინტელიგენციასთან.

თბილისის გიმნაზიის მოწაფეებმა და მათ შორის ნ. ბარათაშვილმა მიცკევიჩის ერთ-ერთი სუფეთესო ნაწარმოების „ფარისის“ სახელი პირველად რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე დემეტრიევისაგან გაიგონეს. „დემეტრიევმა, — წერდა ი. მეუნარგია, — კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა — ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა. მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“. ლექსის თარგმანი ხელიდან ხელში გადადიოდა.

„ფარისი“ პირველი ნაწარმოებია მიცკევიჩისა, რომელიც ქართულად ითარგმნა.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის, ცამეტი თვის პატიმრობის შემდეგ, პოეტი გიორგი ერისთავი 1834 წლის 9 იანვარს პოლონეთში, ვილნოში (ახლანდელი ვილნიუსი) გადასახლეს.

პოლონეთში გადასახლებულმა გ. ერისთავმა მალე საკმაოდ ისწავლა პოლონური ენა. ი. მეუნარგია დადმოგვცემს: „გ. ერისთავმა ისწავლა ენა... შეისწავლა და შეიყვარა მათი პოეტი მიცკევიჩი, რომლისაგან სთარგმნა რამდენიმე ლექსი“.

პოლონეთში ყოფნისას გ. ერისთავს უთარგმნია მიცკევიჩის „არამანის საფლავნი“, „პილიგრიმი“, „პატოცკის საფლავზედ“, „აკერმანის მინდორი“, ხოლო 1839 წლის 4 მაისს, უკვე თბილისში, დაბრუნებული, წერს ლექსს „გაქსუებული“ შემდეგი შენიშვნით: „მიბაძვა მიცკევიჩისა“.

თანამედროვე ქართველი მწერლებიდან მიცკევიჩის ქართული თარგმანები შესრულებული აქვთ პოეტებს გრიგოლ აბაშიძეს, ისაბანს, ვასო გორგაძეს და სხვებს.

ადამ მიცკევიჩის დაბადების 150 წლისთავი, რომელიც 1948 წლის დეკემბერში შესრულდა, ჩვენს დიდ ქვეყანაში პოლონელი ხალხისა და მისი დიდი პოეტისადმი სიყვარულითა და პატივისცემით აღინიშნა.

იაკობ გალახაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი ჭიჭინაძე

ნახ. შ. ცხადაძისა.

სახსოვარი

მოთხრობა

— შვილო ალექსი, ამ ბოლო დროს რა ძილის გუდა გახდი? აი, შენი ამხანაგები სკოლაში მიდიან, შენ კი ისევ ლოგინში გორავ. წინათ ჩვენზე ადრე დგებოდი. ახლა ვეღარაფერი გამიგია: გაზარმაცდი, თუ რა მოგდის?!

ალექსიმ ძლივს გაახილა თვალი, მაგრამ ისევ ეხუჭებოდა.

— დედი, მეც არ ვიცი რა მომდის!

ალექსი ახლაც ძლივს წამოდგა. წინათ ლოგინიდან მერცხალივით უყვარდა ხოლმე წამოფრენა. ზახტად გამოვიდა ოთახიდან. სად იყო და სად არა, წარბამ როგორღა გაიგო? იმ წამსვე წინ შეეგება, მიელაქუცა. აქამდე როგორც კი თვალს მოჰკრავდა თავის კუდქიცინა ძაღლს, მაშინვე წარბა, წარბას ძახილით მიესაყვარულებოდა, ახლა ერთხელაც აღარ დაუძახა, ეს, თავისი გამორჩეული სახელი.

ალექსი პირსაბანთან მივიდა. კარგახანს იდგა იქ, თავზე ხელებმეწყობილი ზარმაცად აზმორებდა. ბოლოს მხოლოდ თითები დასველა და სახეზე მოისვა. დედა თვალს არ აშორებდა.

— შვილო, ეგ რა პირის დაბანაა?

რამდენიმე დღეა ასეთი საუბარი ჩვეულებად გადაქცა დედა-შვილს შორის.

ალექსი დიდი ხალისით აღარც საჭმელს ეტანებოდა. რაც უნდა კარგი სუფრა ჰქონოდა, ერთ-ორ ლუკმას აიღებდა და წავიდოდა სკოლაში.

ამ დილითაც ალექსიმ უხალისოდ ისაუზმა და სკოლისაკენ გაუდგა გზას. დედამ თვალი გააყოლა მერე შინ შევიდა და დიდხანს უცქირა ალექსის კუთხეში დალაგებულ წიგნებს, რვეულებს.

— არ მომსვენია: სახატავი ალბომი მიყიდეო, რაგორ უყვარდა ხატვა! ახლა ესეც შეიძულა. არაფრის ხალისი აღარ აქვს.

დედამ სახატავი ალბომი გადაფურცლა.

— უიღბლო ადამიანი ვყოფილვარ, — წაიდუდუნა თავისთვის, ალბომი მაგიდაზე დადო და დარდის გასაქარვებლად ოთახიდან გარეთ გამოვიდა, — რა ვქნა, როგორ ვუშველო ჩემს ალექსის?“ — ამ სიტყვებით ჩავიდა ეზოში. მოაგონდა შვილის გატაცება მხატვრობით. სკოლაში ყველა გაზეთს ის აფორმებდა. თვალს იტაცებდა მოზრდილ ტილოზე მის მიერ დახატული სურათი — ნორჩი მოგზაურები. ძაღალი მთები, მიმოხვეული მდინარე, ცად აწვდილ მწვერვალზე მოხვეული ბამბის ქულასავით რძისფერი ღრუბლები.

ეს ნახატი ალექსიმ სკოლას მიუძღვნა. მასწავლებლებს ძალიან მოეწონათ. ცოცხალი სურათი უწოდეს. ზოგმა თქვა: სამასწავლებლომი დავკიდოთო, ზოგმა — დირექტორის კაბინეტისათვის სცენა შესაფერად. თვით დირექტორმა კი ამ სურათის დაკიდება საჭიროდ სცნო გრძელი დერეფნის ბოლოში, რადგანაც ყველა მოსწავლე ნახავდა ამხანაგის ნახატს.

დირექტორის წინადადება მასწავლებლებსაც მოეწონათ. ამ ნახატით თითქოს კედელი გაიხსნა, გამოჩნდა სივრცე მშვენიერი ბუნებით.

* * *

— ნეტავ ყველა გაკვეთილზე ცდები ტარდებოდეს! — ინატრა ერთ-ერთ დასვენებაზე ალექსიმ. — ცდები მიტაცებს, თორემ ისე ძალი შერეცა.

— ახლა ფიზიკის გაკვეთილი გვაქვს, სწორედ ცდების გაკვეთილია, — უთხრა ამხანაგმა. — წავიდეთ, კაბინეტი ღია იქნება!

კაბინეტში ზოგიერთი მოსწავლე უკვე შესულიყო. ბავშვები ხელსაწყოებს იღებდნენ, აკვირდებოდნენ. რამდენიმე მოსწავლე თერმომეტრით იყო გატაცებული. ალექსიც მათთან მივიდა. თერმომეტრს ხან ერთი მოსწავლე აკეთებდა იღლიაში, ხან მეორე. ტემპერატურას ისინაკვნდნენ.

— მოდი, მეც გავისინჯავ, — უთხრა ამხანაგებს ალექსიმ. რამდენიმე წუთის შემდეგ თერმომეტრს დახედეს. 37 გრადუსსა და ორ ხაზზე იდგა ვერცხლისწყალი. ბავშვები ახმაურდნენ. სწორედ ამ დროს შემოვიდა ნატო მასწავლებელი.

უცებ ყველამ თავისი ადგილი მონახა.

— რა დიდი ხმაური ისმოდა აქედან. რა ამბავია?

პირველ რიგში ერთი მოსწავლე წამოდგა და მასწავლელს ღიმილით უთხრა:

— პატივცემულო მასწავლებელო, ალექსი გიუნაშვილმა ყველას გვჯობა. ტემპერატურა გავისინჯეთ. ვერცხლისწყალი ყველაზე მაღლა ალექსიმ აიყვანა: ოცდაჩვიდმეტ გრადუსსა და ორ ხაზზე გაჩერა.

— ეგ როგორ შეიძლება?! — გაიკვირვა მასწავლებელმა და ალექსის გადახედა.

ალექსი ფეხზე წამოდგა.

მასწავლებელმა აიღო თერმომეტრი და ბავშვს მიაწოდა.

— აბა, გაიკეთე იღლიაში!

შემდეგ მასწავლებელი მიუჯდა თავის მაგიდას, გაშალა სასკოლო ჟურნალი და მოსწავლეთა სიის ამოკითხვას შეუდგა.

ბავშვებს ეგონათ, მასწავლებელს გადავიწყდა, ალექსს რომ ტემპერატურის საზომი გაკეთებინა. მაგრამ არა. ნატო მივიდა გიუნაშვილთან და როცა თერმომეტრს დახედა, წარბი შეიკუმშნა.

— თავს როგორ გრძნობ? — შეეკითხა მასწავლებელი.

ალექსი შეყოყმანდა.

— არაფერი არ მტკივა, მასწავლებელო, მაგრამ ისეთ კარგ ხასიათზე არა ვარ, როგორც წინათ.

— არა გიშავს, კარგ დროს გავიგებთ! — თქვა მასწავლებელმა და ძალის ახსნას შეუდგა.

* * *

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ნატო მასწავლებელი და ალექსი სკოლის ეზოში, კაბინეტში შევიდნენ. ექიმმა გაკვეთილის სინჯა ალექსი და საჭიროდ სცნო მისი გამუქება რენტგენის სხივებით.

მეორე დღეს რენტგენის სხივებით მიღებული ფოტო ნატო მასწავლებელმა თვითონ დაიტოვა, ხოლო ალექსის დაავალა:

— ხვალ სკოლაში რომ მოხვალ, დედაც მოიყვანე!

* * *

დილით, როცა ალექსის დედა მოვიდა სკოლაში, ნატო მასწავლებელმა უთხრა:

— შენი შვილი ავადაა... მაგრამ ალექსის არაფერი გაგიგებინო. ჩვენ ყველას გვიკვირდა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბავშვს ხასიათი გამოეცვალა, გაკვეთილზე თვლემს, აღარ აქვს ბავშვური სიხალისე.

— დედა, შვილო, ეს რა მესმის! — მწუხარედ წაიდუდუნა დედამ.

— დამშვიდდი, არა უშავს, კიდევ კარგი, რომ ადრე გავიგეთ. მარცხენა ფილტვის დაჩრდილვა აქვს. ახლავე უნდა დაიწყო მკურნალობა. აუცილებლად თბილისში წაყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო. იქ მშვენიერი საავადყოფოა... ჩვენ ყოველმხრივ დგეხმარებით.

— ყავიყვან, გენაცვალე, ყავიყვან. ასეთი მზრუნველობისათვის დიდი მადლობელი ვარ, — მოიბოდიშა დედამ.

— რას ბრძანებ, ჩვენი მოვალეობაა ვიზრუნოთ ბავშვებზე.

— იცოცხლე, გენაცვალე, იცოცხლე! — ამ სიტყვებით გამოეშვიდობა დაღონებული დედა გულითად მზრუნველს.

* * *

მესამე დღეს დედამ ალექსი თბილისში ჩაიყვანა.

ალექსი საავადყოფოში მოათავსეს. გამომშვიდობებისას ბავშვს ცრემლი ქოადგა თვალზე, დედამ გაამხნევა:

— ტირილი როგორ შეიძლება შვილო! ექიმებს დაუჯერე და მალე კარგად იქნები.

ალექსი მალე შეეჩვია ახალ გარემოს. ექიმები გულისხმიერად ეპყრობოდნენ. ერთხელ მორიგე ექიმმა ალექსი გამხიარულებული რომ დაინახა, თვითონაც გაიღიმა და უთხრა:

— კიდევ კარგი, რომ ადრე მოხვედი ჩვენთან, თორემ მერე შენი მორჩენა გაძნელდებოდა.

ალექსის თვალწინ წარმოუდგა ნატო მასწავლებელი—მოსწავლეთა გულითადი მზრუნველი, და უნებლიედ წამოიძახა:

— რომ იმას არა, შეიძლება...

ექიმი დაინტერესდა:

— ვისზე ლაპარაკობ?

— ჩემს მასწავლებელზე. მან მიხსნა, მან გაიგო პირველად ჩემი ავადყოფობა.

ერთხელ, ნასადილევს, კარი გაიღო და დამლაგებული ქალი გამოჩნდა.

— დედაშენი მოვიდა.

— დედა ხომ გუშინწინ იყო?!—გაუკვირდა ალექსს, — არა ის არ იქნება!

ამ ყოყმანში ნატო მასწავლებელი გამოჩნდა.

— ოო, ჩვენი ალექსი, — მორიდებულ თქვა მან.

ბავშვი სიხარულით ისე აირია, [illegible] იცოდა რა ექნა, რა ეთქვა საყვარელი მასწავლებლისათვის.

— ახლა უკვე კარგად ვარ, პატივცემულო მასწავლებელო! — წამოიძახა ბოლოს.

— მომილოცნია, ასეც უნდა ყოფილიყო! ამხანაგებმა მოგიკითხეს, მასწავლებლებმა მოგიკითხეს... გელოდებიან, ჩემო ალექსი!

ბევრი ისაუბრეს, კარგა ხანს იყვნენ ერთად, ბოლოს ნატომ თქვა:

— აი, ეს წიგნი ჩემს სახსოვრად გქონდეს. გაერთე, იკითხე, ხოლო რომ დაბრუნდები, შინაარსი მიამბე!

ალექსმ სიხარულით გამოართვა წიგნი საყვარელ მასწავლებელს. იმ წამსვე გადაფურცლა. პირველ ფურცელს დახედა; მასწავლებელს მოკლე წარწერა გაუკეთებია:

„სახსოვრად ჩემს კარგ მოწაფეს ალექსს ნატო მასწავლებლისაგან".

ეს პატარა წარწერა უხმოდ რამედნჯერმე წაიკითხა. ძალიან გაეხარდა. უცებ დაფიქრდა. მერე მასწავლებელს მიმართა:

— პატივცემულო მასწავლებელო, ეს წარწერა ფანქრით არის... მალე წაიშლება. მე კი მინდა თქვენი სამახსოვრო წარწერა მთელს ჩემს სიცოცხლეში იყოს ამ წიგნზე, სკოლაში რომ დავბრუნდები, მაშინ ხომ შეიძლება მელნით გადამისწოროთ?

ამ სიტყვებმა მასწავლებელს გული აუჩუყა. უხმოდ დაიხარა, სანდომიანი ღიმილით საყვარელ მოწაფეს თავზე ხელი გადაუსვა და აღუთქვა:

— შეიძლება, ჩემო ალექსი, რატომ არ შეიძლება! — და გულითადად გამომშვიდობა.

ალექსმ კარებისაკენ მიმავალ საყვარელ მასწავლებელს თვალი გააყოლა, ხოლო ძვირფასი სახსოვარი გულში მაგრად ჩაიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კინოგადაღების ზოგიერთი საიდუმლოება

კინემატოგრაფიის გამოგონებას პირველ ხანებში ხალხი უნდობლად შეხვდა. მაგრამ კინო მალე საყვარელ სანახაობად გადაიქცა, და მისმა ტექნიკამაც სწრაფად იწყო განვითარება. კინოოპერატორებმა, რომლებიც ზედმიწევნით დაეუფლენ კინოგადაღების ტექნიკას, მთელი რიგი გაუმჯობესებანი შეიტანეს ამ დარგში და მაყურებელი განცვიფრებაში მოჰყავთ. ასე მაგალითად, მყვინთაველის მუშაობა ზღვის სიღრმეში დაღუპული გემის გარშემო, ხალიჩით ადამიანის, ცხენის ჰაერში და ქალაქებზე ფრენა, მიწიდან დაჭრილი შვმის მოფრენა პირდაპირ მსახიობის ხელში და სხვა მრავალი. ყველა ეს მომენტი ბევრს მართალი ჰგონია და ძალიან უკვირთ, თუ როგორ სწარმოებს მისი გადაღება.

სანამ ამ საინტერესო ამბებს მოგითხრობდეთ, გაგაცნობთ ზოგიერთ რამეს კინოს წარსულიდან. კინემატოგრაფი — ბერძნული სიტყვაა. „კინემა“ — მოძრაობა და „გრაფოს“ — წერა. ეს პპარატი კი არ სწერს, არამედ კინოფსკაზე აღბეჭდავს მოძრაობის თითეოეო მკვდარ, სტატიკურ ფაზას, კინოლენტა შედგება ერთი მეორეზე თანმიმდევრობით განლაგებული პატარა ფოტოსურათებისაგან, რომელთაც უწოდებენ „კადრს“. კადრში წარმოდგენილი სტატიკური ცალკეული მომენტი საპროეკციო აპარატის საშუალებით ეკრანზე წარმოგვიდგენს მოძრაობას.

ახლა გამოვაშკაროთ კინოგადაღების ზოგიერთი საიდუმლოებანი. მაგალითად, როგორ არის გადაღებული მყვინთავების მუშაობა ზღვის სიღრმეში ჩაძირულ გემის გარშემო. ასეთი სურათის გადაღებისათვის კინოპავილიონში ანუ ატელიეში, სადაც კინოსურათებს იღებენ, აკეთებენ ზღვის ფსკერის დეკორაციას დაღუპული გემით. მყვინთავი დადის გემის გარშემო, გადაღების დროს კინოოპერატორი იღებს ნორმალური გადაღების ე. ი. წამში 24 კადრის მაგიერ — 35-40 კადრს. ასეთი გადაღებული ეპიზოდი რომ ნახოთ ეკრანზე, მოგეჩვენებათ, თითქოს მყვინთავი დაფრინავს და ზეციდან წყლის დაწოლა იყოს. როდესაც მორჩებიან ამ დეკორაციის გადაღებას, ლაბორატორიებში ამყოფენებენ ნეგატივს და შემდეგ ნეგატივდან ბეჭდავენ პოზიტივს, ე. ი. ნამდვილ დეკორაციის სახეს, რომელიც იქნება გადაღებული. ამ პოზიტივს აჩვენებენ საპროეკციო საჩვენებელი აპარატით გამჭვირვალე ეკრანზე, რომელსაც უწოდებენ რირ-პროექციას. ეკრანის წინ დგამენ შუშის აკვარიუმს, რომელშიაც ჩასხმულია სუფთა წყალი, შიგ დაკურავენ პატარა თევზები და ირხევიან ზღვის მცენარეები. ამ აკვარიუმის წინ მოთავსებულია კინოგადაღებები აპარატი. აკვარიუმი განათებულია პროეკტორებით. ეკრანზე ნაჩვენები მყვინთავის მუშაობას და ამ აკვარიუმს იღებენ ერთად. ბოლოს ეს გადაღებული კადრი ეკრანზე სტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მყვინთავის მუშაობა გადაღებულია ზღვის ფსკერზე.

ალბათ თქვენ გინახავთ ინგლისური ფერადი კინოფილმი „ბაღდადელი ქურდი“.

ამ სურათში არის ერთი ეპიზოდი: ზღვის ტალღები ბაღდადელ ქურდს აბუს გამორიყავს ზღვის პირის ქვიშაზე. იგი უგრძნობლად წევს, გვიან მოვა გონზე. წამოდგება და ზღვის პირს გაუყვება. ამ დროს აბუ შეამჩნევს ქვიშაზე ბოთლს, აიღებს ამ ბოთლს და მოხდის საცობს. ბოთლიდან უცებ ამოვა კვამლი. ბაღდადელ ქურდ აბუს შეეშინდება და ბოთლს გადაკიდებს. შემდეგ კვამლი ნელ-ნელა ქრება და მის მაგიერ თანდათანობით მაყურებლის წინ აღიმართება დეკაკი ჯინი. ასეთ გადაღებას ტექნიკურად უწოდებენ „ნაპლიეს“, ესე იგი, ერთი გამოსახულების თანდათანობითი შეცვლა მეორეთი.

ეს ეპიზოდი გადაღებულია შემდეგნაირად: გადაღების დროს, როდესაც ბაღდადელმა ქურდმა ბოთლი გადაგდო ქვიშაზე და ბოთლიდან კვამლის ამოსვლამ იწყო გაძლიერება, კინოოპერატორმა ავტომატური „ნაპლიეის“ სახელურს, რომელიც აქვს კინოგადამღებ აპარატს, დააჭირა ხელი და აპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატში მოთავსებულმა საკეტმა იწყო თანდათანობით დაკეტვა. ბოლოს სულ დაკეტა. ამის შემდეგ გადაღებული ფირი კინოოპერატორმა უკანვე აიღო მიმწოდებელ კასეტაში. გადაღების გასაგრძელებლად ბოლოთან დააყენეს დეკაკი ჯინის შემსრულებელი ასახიობი და გადაღებულ ფირზევე ხელმეორედ ავტომატურ „ნაპლივის“ სახელურზე ხელის დაკერით გადაიღეს ეს მოძენტი. ამ დროს აპარატის საკეტმა თანდათანობით იწყო გაღება. როცა ჩვენ ამ გადაღებულ კადრს ვუცქერით, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს კვამლი თანდათანობით მეიცალა დეკაკად. კვლავ დეკაკის შეცვლა კვამლად გადაღებულია ამავე ხერხით. უკან ბოთლში კვამლის ჩასვლა კი მოცემულია უკუღმა, შებრუნებითი გადაღებით.

ასეთივე მეთოდით არის გადაღებული ეპიზოდი ბაზარში, როდესაც ჯადოქარი ჯადარი შეულოცავს და ბაღდადელ ქურდს აბუს ძალად აქცევს.

საინტერესოა ეპიზოდი — ჯინის ფრენა, რომელსაც ზურგზე უზის ბაღდადელი ქურდი. ეს გადაღებულია შემდეგნაირად: ჯერ გადაღებულია თვითმფრინავიდან ფრენა, ქალაქები, შემდეგ დეკაკი, ბაღდადელი ქურდი. ეკრანის წინ იგი ისე დგას, თითქოს უნდა გაფრინდესო. ქარის შთაბეჭდილება რომ მიეღოთ. აპარატის მიმძრებით დგას თვითმფრინავის მოტორი, რომლის მუშაობაც იწვევს ქარს, უწევს თმებს დეკაკსა და ბაღდადელ ქურდს. ამ დროს კინოოპერატორი კინოგადამღები აპარატით იდებს ეკრანზე მოძრავ მთებს და ეკრანის წინ მდგარ დეკაკს და ბაღდადელ ქურდს. (იხ. სურათი). ბოლოს კინოსურათის ჩვენების დროს მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს დეკაკი მიფრინავს მთებს შორის.

ამავე მეთოდით გადაღებულია ამ ფილმში მფრინავი ხალიჩა. აფრეთვე ცხენის ფრენა ჰაერში და ქალაქებზე.

აი, კინოგადაღების ზოგიერთი სიდუმლოება.

მ. ნარიმანიშვილი

თბილისის, ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის კინოოპერატორი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სონატა მთვარისადმი

ეს იყო ბონაში. გაზაფხულის ერთ მთვარიან საღამოს ბეთჰოვენს მეგობარი ესტუმრა. შემდეგ მათ ერთად გაისეირნეს. ისინი მიდიოდნენ ბნელსა და ვიწრო ქუჩაზე. უცბად ბეთჰოვენი შეჩერდა. მან გვერდზე მდგომ მეგობარს ხელი მაგრა ჩასჭიდა და მოლოდინიდ მიმართა:

— დაიცა... გესმის? ვიღაც ჩემს სონატას უკრავს. მერე, რა მშვენივრად ასრულებს! ისინი სულგანაბულნი იდგნენ ერთი პატარა სახლის წინ და ცდილობდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მუსიკა შეწყდა.

— მე უკეთესად არ შემიძლია დაკვრა. ასეთ მშვენიერებას ბევრად კარგი შესრულება სჭირდება. — მოესმა მათ. — ოჰ, ნეტავ ისეთი ბედნიერი შეეძლებოდე, რომ ვეღირსო იმ დიდი მუსიკოსის ნახვას.

— გეყოფა, ჩემო დო,—დასძინა მეორე ხმამ. — რად უნდა იოცნებო შეუძლებელზე?

— ვიცი, ეგ შეუძლებელია... მაგრამ რა იქნება, რომ ვინატრო მაინც...

— შეიღეთ, — გადაჭრით თქვა ბეთჰოვენმა და ხმაში კანკალი დაეტყო.

— რისთვის?

— მე უნდა დავუკრა! — მტკიცედ წარმოსთქვა ბეთჰოვენმა და თამამად შეაღო კარი.

მაგიდასთან ყმაწვილი კაცი იჯდა, რომელიც აკრავდა ძველ ფაბრს. ქალბატონი, როიალის წინ კი კლავიშებზე ოდაყვდაყრდნობილი იჯდა ქერათმიანი ქალიშვილი.

— უკაცრავად, — წარმოსთქვა ბეთჰოვენმა, — აქ მუსიკის ხმა გავიგონეთ და იმიტომ შემოვედით, მეც მუსიკოსი ვარ!

ქალიშვილი შეკრთა, ვაკვნა კი გულცივად გადახედა მათ.

— მე გავიგონე თქვენი ლაპარაკი, — გადაგრძო ბეთჰოვენმა, — მე დაუკრავ თქვენთვის.

ალბათ ულცობი ადამიანების მოულოდნელად შეხვედრამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ვაკზე, რომ მან მკვახედ უპასუხა:

— გმადლობთ, ჩვენი ინსტრუმენტი მეტისმეტად ძველია და თანაც ნოტები არა გვაქვს!

ბეთჰოვენმა ყმაწვილ ქალს სახეში შეხედა და ეხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ის ბრმა იყო.

— უკაცრავად,—თქვა მან:—მე ეს არ ვიცოდი. სად მოისმინეთ ის, რასაც ახლა უკრავდით?

— რამდენიმე წლის წინათ ჩვენ გვერდზე ერთი მანდილოსანი ცხოვრობდა, იგი ძალიან კარგად უკრავდა. გაზაფხულზე, როდესაც ფანჯრებს აღებდნენ, მე ვუსმენდი მის დაკვრას და ბევრი რამ ზეპირად დავიხსომე.

ბეთჰოვენს არაფერი უთქვამს, ჩაფიქრებული მიუჯდა როიალს და დაუკრა.

არახოდეს, არავისთან არ დაუკრავს ბეთჰოვენს ასეთი ალმაფრენით, როგორც ამ სალამოს საწყალი ხარაზისა და მისი ბრმა დის ბინაში. და-ძმა სდუმდნენ. ისინი გოცებულნი და აღტაცებულნი იყვნენ.

ერთადერთი სანთელი, რომელიც ოთახს ანათებდა, უცბათ აკანკალდა, უკანასკნელად აციმციმდა და ჩაქრა. ბეთჰოვენი შეჩერდა, მისმა მეგობარმა კი ფანჯარა გააღო. მთვარის შუქი ოთახში შემოიჭრა. ძველი როიალი და დიდი მუსიკოსი მკაფიოდ სჩანდნენ ბნელ კუთხეში. ბეთჰოვენს თავი მკერდზე დაეხარა, ხელები გაეწანქრიელად მოხლებზე ეწყო, ასე რამდენიმე წუთმა გასტანა. ხარაზი წამოდგა და ბეთჰოვენთან მივიდა.

— საკვირველია, — სთქვა მან ჩუმად: — ვინ ხართ თქვენ და საიდან გაჩნდით ჩვენსას?

—ყური დაუგდეთ, — წყნარად და ნელა წარმოსთქვა ბეთჰოვენმა და მან დაუკრა თავისი სონატა, სწორედ ის სონატა, რომელსაც ბრმა ქალიშვილი უკრავდა. აღტაცებაში მო-

ვიდა დაძმა. ორივემ ბეთჰოვენს ხელები დაუკრა.

— ჩვენ მივხედით, თქვენ ბეთჰოვენი ბრძანდებით! — წარმოსთქვეს მათ.

ბეთჰოვენი ადგა და წასვლა დაპირა, მაგრამ მასპინძლებმა შეაჩერეს.

— კიდევ დაუკარით რამე, — შეეხვეწნენ ისინი, მხოლოდ ერთხელ, კიდევ ერთხელ!...

ბეთჰოვენი მიუჯდა როიალს.

წინანდებურად წყნარად და მშვიდად ანათებდა მთვარე ბეთჰოვენის სახეს, მის დიად გამომეტყველებას.

— მე მინდა შევქმნა რამე ახალი, — წარმოსთქვა მან, — დავწერო ახალი სონატა. აი, ამ მთვარეს მინდა მიეძღვნეს იგი — და დაუკრა. ინსტრუმენტი ძველი იყო, მაგრამ ის მაინც ავრცელებდა ნაზსა და დიდებულ ბგერებს, რომელიც ოთახს ავსებდა, როგორც მთვარის შუქი მთელმარე ბუნებას. ნაზსა და მოწყენილ ბგერებს მოჰყვა სწრაფი გამმხიარულებელი და სიცოცხლით სავსე ბგერები. დასასრულ დაიწყო გაუგონარი სიმძაფრით აღსავსე ბგერები, რომელთაც ოდ ვისი მძლავრი ფრთებით სადღაც აფრინეს ყველა.

— ნახვამდის! — წარმოსთქვა ბეთ[illegible] სამი გვერდზე მისდგა და კარებ[illegible] მართა.

— მოხეალთ კიდევ როდისმე? — ჰკითხეს ერთად და-ძმამ. ბეთჰოვენი შეჩერდა. სიბრალულით შეპხედა ბრმა ქალიშვილს.

— დიახ, დიახ, — სწრაფად მიუგო მან.— მე მოვალ და რამდენიმე კაკვეთილს მოგცემთ! შუქზეულად მოვალ!

მეგობრები გაჰპოვიდნენ.

— შინ უნდა წავიდე, — თქვა ბეთჰოვენმა, — უნდა დაეწერო ის სონატა, რომელიც ახლა დაეუკარი, მთვარიანი, ლამის სონატა, სანამ მე ის ჯერ კიდევ ყურში მესმის.

ბეთჰოვენი მთელი ღამე სწერდა.

ამნაირად შეიქმნა მან „სონატა მთვარიანი“, რომლითაც სტუდენტი კაცობრიობა.

მარგარიტა ამირაჯიბი

შინაარსი

	გვ.
ვ. ი. ლენინის პორტრეტი	1
ლენინის ფრონტთან	2
ო. ჯანგუფალშვილი — ჩვენ ლენინმა (ლექსი)	4
ს. ივანოვი — ვ. ი. ლენინის ბსოლინის სკოლა	5
ა. თოფურია — ლენინი ჭიაზში (ლექსი)	8
საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობა	9
ვ. ლებანიძე — ზეინკლობა (ლექსი)	13
დ. ზამთავა — საბჭოთა ბელორუსია	14
ბ. ბეთანელი — ტყე ქვეყნის შვილნენა და სიმდიდრეა	16
კ. სერგეთელი — ბაბუა თეფო ბაკშეტბთან (ლექსი)	18
ვ. გორგანელი — ომგადახდილი ჰაბუკი	19
ი. ლაკსტანოვი — ფიეი (ნაწყვეტი მოთხრობიდან „ცეროდენა“ თარგმანი შ. გვინჩიძისა)	21
რიგშა	24
ი. ბალახაშვილი — მიცკევიჩი და საქართველო	25
ლ. ჭიკინაძე — სახსოვარი (მოთხრობა)	26
ვ. ნარიმანიშვილი — კინოგადაღების ზოგიერთი საიდუმლოება	29
ვ. ამირაჯიბი — სონატა მთვარისადმი (მოთხრობა)	31
ვ. კუპრავა — მაგზოლეუმი (ლექსი)	
გარეკანის მე-2 გვ	

გარეკანის მხატვრობა შესრულებულია მხატ. ვ. ჯაფარიძის მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ზ. ქაბახიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, ზ. გვინჩიძე, ა. გიგოლაშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავზიშვილი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 00954 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეკვ. № 5 სტატის შეკვ. № 35

ლ. ჯ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

კოკლესი

ერთი ახალგაზრდა მხატვარი წვიმიან საღამოს შინ ბრუნდებოდა. მან შეამჩნია, რომ უკან ძაღლი მოსდევდა. შეეცადა, ცხოველი თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ძაღლი ფეხდაფეხ მიყვებოდა მას. მხატვარს შეეცოდა ცხოველი და თავის სახელოსნომი შეიყვანა, თვითონ კი დასაძინებლად დაწვა.

დილით, გაიღვიძა თუ არა, პირველად ძაღლი მოხედა თვალში, რომელიც სკამზე დამჯდარიყო, თავი ახალი პატრონის საწოლისკენ მიებრუნებინა და ელოდა მის შეხედვას.

მიუხედავად ცხოველის ასეთი მეგობრული მოქმედებისა, ყმაწვილმა კაცმა ზიზღი იგრძნო მისდამი. ძაღლი იყო გამხდარი, გონჯი, ნახევრად ბეწვებგაცლილი და, გარდა ამისა, ცალთვალა. მხატვარი კარებისაკენ გაემართა, რათა ეს ძახინჯი სტუმარი გარეთ გაეგდო, მაგრამ ცხოველი ისეთი მავედრებელი და მოწყენილი თვალით შეჰყურებდა მას, რომ მხატვარს გული ეტრიუდა და უთხრა: „დეე, დარჩი, შეგინახავ! შენ სახელად კოკლესი გერქმევა“.

მხატვართან კოკლესი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ძაღლი მხატვარს თავის სტუმართმოყვარეობას უსაზღვრო ერთგულებით უხდიდა — იგი სახლის ფხიზელი დარაჯი იყო. ბოლოს კოკლესი ავად გახდა მოუფრჩენელი სენით — სიბერით. პატრონს არ უნდოდა დასწრებოდა კოკლესის სულთმობრძაობას, რომელიც შეიძლებოდა ხანს გაგრძელებულიყო და გადაწყვიტა მდინარეში ჩაეგდო.

ერთ ბნელ ღამეს მხატვარმა კოკლესი იმ ხიდზე წაიყვანა, სადაც ორი წლის წინ პირველად შეხვდა მას. აქ მაგრად მოხვია ხელი ძაღლს, რომელიც სიცხისაგან ცახცახებდა და დიდი დანანებით მდინარეში გადაისროლა. კოკლესს არც დაუწკმუტყნია საყვედურის ნიშნად. გაისმა მხოლოდ ყრუ ხმაური წყალში ჩავარდნილი სხეულისა. თავის მოქმედებით დარცხვენილი და შეწუხებული ყმაწვილი კაცი გადაიხარა ხიდიდან მდინარეში ჩასახედად. ამ დროს ქარმა ქუდი მოსტაცა, მაგრამ რას იზამდა — მდინარიდან ქუდის ამოღება არ შეეძლო.

ერთი საათის დაწოლილი იქნებოდა, როცა კარზე ფხაკუნი მოესმა. კარი გააღო და გაოცდა: კარის ზღურბლზე კოკლესი იდგა. კბილებით პატრონის ქუდი ეჭირა. კედელს მაყრდნობოდა, წყალი წურწურით კიდევ ჩამოსდიოდა ბალნიდან. თავი გასისხლიანებული ჰქონდა. კაცს შეაშინებდა მისი დანახვა. მხატვარმა ქუდს ხელი სტაცა და ძაღლს გადაეხვია. მაგრამ გვიანდა იყო. კოკლესმა უკანასკნელად შეხედა თავის პატრონს, ერთი დაიწკმუტუნა, ამოისუნთქა და იქვე ჩაიკეცა.

თარგმნა ფრანგულიდან **ნათელა ჯიბლაძემ**



თოვლის ფანტელები

რა სიხარულით მოდიან,
ცას შვენის მათი დაშვება,
ზოგი მარტო ფრენს, ზოგი კი
ერთმანეთს ეთამაშება.
ზოგნი სახლებზე შემოსხდნენ,
ზოგმა ხის ტოტი ინება,
ზოგი კი დაბლა დაეშვა
და მიწას ეყვავილება.
რა სიხარულით მოდიან,
ასე სჩვევიათ ბუნებით—
ორთქლად წავლენ და მოგვივლენ
ღრუბლებში დაბამბულები.

ნუგზინ ჯალიაშვილი
თბილისის ქალთა მე-5 სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

პ ა ს უ ხ ი

ამავე №—ის გარეკანის მეოთხე გვერდზე დახატულია: 1. მაიმუნი, 2. საიგა, 3 ლომის ბოკვერები, 4 წავი, 5. კურდღელი, 6. სპილო, 7. მელა, 8. თახვი, 9. წავული, 10. გრეული თხის (ნიამორის) თიკანი, 11. ტურა, 12. თრითინა, 13. მაჩვ-ზღარბი.

წინა №—ში მოთავსებულ კროსვორდზე:—ახალი წელი; გამოცანებზე:—1. წიგნი, ელექტროენერგია.

1475



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცანით ეს ცხოველები!

(პასუხი იხილეთ გარეკანის მე-3 გვერდზე)

140/3
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიანური

1949 №2

ჭიონელი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 2 თებერვალი 1949

გამომცემლობა
„ კომუნისტი"
წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ოქროსფერ სხივებს აფრქვევს,
თებერვალის რეკავს ზარი,
და ბრწყინდება ათასფერად
საქართველოს მთა და ბარი.

ნეტარების ქარი არხევს
ყვავილების ცისარტყელას.
მთის კალთებზე სიცოცხლის და
გამარჯვების შუქი ელავს.

განა ასე იყო წინათ,
განა ასე ძგერდა გული?
თებერვალმა მოგვიტანა
ეს—ამდენი სიხარული!

ვასაგანგ გორგანელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი

სიმღერა საბჭოთა არმიაზე

ვეწაფებით ლაღი გულით
მოჩეხჩუხე ცოდნის წყაროს,
მისი დიდი ნაკადული
ყველებად გვზრდის, და ვხარობთ.
თუნდ გამძაფრდეს, ვერ დაგვიშრობს
მას უდაბნოს ცხელი ქარი,
მტრის საჩეხად არ გახდება
ჩვენი სკოლის ფართო კარი.
სწავლისათვის, შრომისათვის
სამშობლოში გვიდგას დარი:
ჩვენ გუშაგად არმია გვყავს—
გმირი ხალხის გმირი ჯარი.

თუჯს ქალაქი უხვად ადნობს,
ზრდის სოფელი მინდვრის დოვლათს,
ძალას მატებს დაზგა ხარატს,
მწყემსს—ნახირის ზრდა და მოვლა;
მეზაღეს და ვაზის მეწობელს—
ბალ-ვენახით ქვეყნის მორთვა...
ვერ ჩააქრობს მათ მზეს მწუხრი—
სვავის ფრთები, მტრების შფოთვა.
შრომისათვის, სწავლისათვის
სამშობლოში გვიდგას დარი:
ჩვენ გუშაგად არმია გვყავს—
გმირი ხალხის გმირი ჯარი.

ყველას მკერდი შეულეწა,
ვინც კი სამტროდ ფეხი დასძრა;
არ დაინდობს, თუ კვლავ ვინმე
გაჩაღებს ომის ხანძარს.
ძლიერების შუქი ადგას
ჩვენი ხალხის შრომის მადლად;
ის ყოველთვის გაიმარჯვებს—
სტალინი ჰყავს მთავარსარდლად.

Тбилисский Филиал
Библиотека
Института Истории Партии при ЦК ВКП

გიორგი კაპანაძე

საქართველოს

პიონერული წითელი დროშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5 თებერვალი...

ეს დღე დაუვიწყარია თბილისელი პიონერებისათვის. რუსთაველის გამზირზე თოვლიანი დღის მუყდროება პიონერთა დაფდაფების ხმაურმა დაალვია. ბწყობრი ნაბიჯით მიეშურებოდნენ პიონერთა რაზმეულები დედაქალაქის ყოველი კუთხიდან თავიანთი დროშებით ლ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისაკენ.

პიონერთა საქალაქო საზეიმო შეკრება სრულ 4 საათზე დაიწყო. შეკრება გახსნა თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლის პიონერმა ლევან კაველაძემ. დედაქალაქის 400 პიონერი მზად იყო შეკრებისათვის. რაზმეულების მედროშეებმა ადგილი დაიკავეს სცენაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ზოდელავამ თავის სიტყვაში ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ზოდელავა აბარებს პიონერულ წითელ დროშას სკ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანს სკოლის დარგში ამხ. ო. ქინქლაძეს.

გაზრდა გვარდია" მოგვითხრობს, თუ როგორ აღმართეს კრასნოდონელმა გმირებმა წითელი დროშები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავად კრასნოდონში. ეს ამბავი ელვისებურად მოედო დონეცის აუზის ქალაქებს და სოფლებს.

ომის სასტიკ ხანძარში სოფელ პოკროვსკში პიონერებმა მტრის ზურგში ფარული რაზმი შექმნეს. რაზმს ჰქონდა პიონერთა წითელი დროშა. პიონერები ზიანს აყენებდნენ მტერს. როდესაც საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელებისაგან სოფელი განთავისუფლეს, პიონერები წითელი დროშით შეეგებნენ მათ.

* * *

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ზოდელავამ მოუწოდა დედაქალაქის პიონერებს მტკიცედ დაიცვან წითელი დროშის სახელოვანი ტრადიციები.

პიონერ კაველაძის მიმართვის შემდეგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელებმა დარაბაზში შემოიტანეს წითელი დროშა.

ამხ. ი. ზოდელავამ დროშა საზეიმოდ გადაეცა ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანს სკოლის დარგში ამხ. ო. ქინქლაძეს. იგი ეამბორა დროშას და შემდეგ პიონერთა შეკრებას წარჩინებულ სწავლისა და შრომისაკენ მოუწოდა.

შეკრებას მიესალმნენ დამსახურებული მასწავლებელი ელისაბედ სამსდაშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი ალექსეევი, პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, პიონერები ლ. დემიდოვა, ვ. მუნჯიშვილი და გ. ლორია.

პიონერმა გ. ლორიამ თავის სიტყვაში აღნიშნა: „ეს დღე ჩვენი მჩქეფარე პიონერული ცხოვრების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ თარიღად დარჩება. პირობას ვიძლევით წითელი დროშის წინაშე, რომ კარგად ვისწავლოთ, რათა გავამართლოთ დიდი ბელადის თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი პაველს-ძე ბერიას სიტყვები: „ძოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლაა“.

„კარგად გვახსოვს, ძია სტალინის სიტყვები: „შენება რომ შესძლო, საჭიროა ცოდნა... ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო“... და ჩვენც ვისწავლით იმისათვის, რომ გავხდეთ საშშობლისათვის ღირსეული ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები!“

შეკრებამ დასასრულ შეასრულა საბჭოთა საქართველოს ჰიმნი.

საქართველოს პიონერთა მოწინავე რაზმი — თბილისის პიონერთა საქალაქო ორგანიზაცია თვალისჩინებივით გაუფრთხილდება პიონერულ წითელ დროშას, რომელზედაც ოქროს ასოებით აწერია პიონერთა საბრძოლო დევიზი: „ლენინისტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“

ალჩილ ყანჩელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობლოვ. ჩემ/ლაშარ

ვარლამ ქერული

ქართლო, ვენახების შარიშურითა
ლიახვს უთხარი ხოტბა გორისა.
კახეთო, სავსევ ღვინით, პურითა
გშვენის ზურმუხტი ციცგომბორისა.

ახალ მესხეთში დარგულო ვაზო,
ვარძიის გვერდით ამტევნებულო,
მინდა სიმღერა შემოგთავაზო,
დასაბამიდან ლხენით ქებულო.

მინდა დაგხატო კოლხეთის მიწავ,
რა რიგ აყვავდი, გადასხვაფერდი.
სადაც ტბორებით რიონი იწვა,
ზღვად გადაშლილა ჩაის ხავერდი.

ხარობ აჭარავ ნარინჯიანო,
ხეზე ოქროა თუ ლიმონები!
ლაჟვარდიანო, მარად მზიანო,
თავზე გეფრქვევა სხივთა კონები.

გააქვთ გუგუნი რაჭაში ტყეებს,
მღერის სვანეთი მაღალმთიანი,
სიმშვენიერით თვალებს ატყვევებს
ქედები მწვანე გუმბათიანი.

გული გაგვითბე ეშხით, ალერსით
იმერეთო და ტურფა გურიავ.
ჩვენი მხარეა უნეტარესი,
ჩვენი ქვეყანა მზის სადგურია.

შენ, სილამაზედ შობილო რიცავ,
შენც, მერხეულავ — კალმახის კერავ,
ისე შეამკეთ სამშობლოს მიწა,
ზვირთებსაც ხიბლავთ ნაპირის ცქერა

იმედით ვუმზერთ მომავალ დრო-ჟამს
ომში გმირობით ვძლიეთ წყვდიადი,
და მიჰყვებიან სტალინის დროშას
ხალხი, სიმართლე და განთიადი.

ვარ ბედნიერი

მე გაზაფხულის ჰაერი მათრობს
ვარდის სურნელით შეზავებული,
მკერდზე მზე სხივებს მაფენს და
მათოვს,
გინდ ვიყო ჩრდილში შეფარებული.
ვარ მომავალი გმირ-წინაპართა —
ჭირში თუ ლხინში მუდამ ქებულთა.
მეც მათი სულის საზრდომ გამზარდა,
ვდგავარ რიგებში გამარჯვებულთა!

სპარტაკ მხეიძე
ქუთაისის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომკავშირელის უმაგალითო გმირობა

ნიკ. ბოგდანოვი

დიდი რუსეთის ერთ-ერთ უხვწყლიან მდინარე უნჟასთან მდებარეობს უტეი ტყით გარშემორტყმული ქალაქი მაკარიევი. აქ, ტყის მცველის ოჯახში, იზრდებოდა თავქეიფა, ონავარი ბიჭუნა — იური სმირნოვი.

მისი გამბედობა ხშირად განცვიფრებას იწვევდა: მას შეეძლო ზურგზექცევით მჯდომს უბელო ცხენით ეჯირითა, უშიშრად შემდგარიყო ყინულის ნატეხზე და ისე გაეცურა მდინარე, ბობოქარი ყინულთსვლის დროს.

იურიმ შრომითი რეზერვების სკოლა დაამთავრა. ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა შეანიშნავად დაეუფლა ელექტროშედუღების საქმეს და შორეულ გზას გაუდგა — ქალაქ გორკის ერთ-ერთ ქარხანაში გაგზავნეს სამუშაოდ.

... დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. სტალინის ქალაქის — სტალინგრადის გმირული დაცვისას მამაცთა სიკვდილით დაეცა ტყის მცველი ვასილ სმირნოვი — იურის მამა.

მალე თვით იური ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

* * *

ჯეულში იური სმირნოვი ყველაზე ახალგაზრდა — 19 წლის ჯარისკაცი იყო. იგი ყველას უყვარდა ენერგიული, მხიარული, დაუზარებელი, დისციპლინის მტკიცე დამცველი.

როცა კომორგმა შმირევმა გაიგო, რომ სმირნოვი კომკავშირელი არ იყო, მივიდა მასთან, ესაუბრა და უთხრა: იქნებ აქვს სურვილი კომკავშირში შევიდეს?

იურიმ მორცხვად უპასუხა:

— ჯერ ბრძოლაში არ ვყოფილვარ... გამოვცადი თავს, როგორი მებრძოლი ჯარისკაცი ვარ და მაშინ შემოვიტან განცხადებას.

საბრძოლო გამოცდის დღეც მალე დადგა. ძველქვნეტი სუსხი იყო. ბატალიონი იერიშზე გადავიდა. თვითეულ ჯარისკაცს კარგად ახსოვდა ბატალიონის შეთაურის რჩევა-დარიგება:

„იერიშის დროს არ შეჩერდე. იარე წინ, წინ, — მაშინ ყუმბარაც აგცდება, ნაღმიც აგცდება, გერმანელთა სანგარსაც მიაღწევ! იქ კი უკვე მამაცობაზეა საქმე — ვინც ძაღაცია, იგი დაიმარჯვებს!“

ყველას ახსოვდა ეს, მაგრამ, როცა აყეფდეს გერმანელთა ექვსლულიანი ნაღმსატყორცხები, ირგვლივ ჯოჯოხეთური ცეცხლი დაინთო, ბევრი დაიბნა — ბუჩქებში ჩაყუნეს ჯარისკაცები.

— წინ, წინ! — შესძახა ამ დროს სმირნოვმა — ან ტყეულებრალოდ დავიღუპები.

წინ გაიქრა იური, მაგრამ ნაღმის ნამსხვრევი მარცხენა მხრიდან მოხვდა პირში და კბილები ჩაუმტვრია. სმირნოვმა ჩაიჩიქა. სისხლმა წითლად შეღება თოვლი, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ ჯარისკაცები მას მესვეტეროდნენ, მაზარის სახელოთი დაიფარა ჭრილობა და კვლავ წინ წავიდა. ახალგაზრდა მებრძოლის მამაცობით გამხნევებულმა ჯარისკაცებმა სწრაფი წინსვლით უკან მოიტოვეს საშინი ადგილი და მალე ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს მტერს.

სმირნოვი ჰოსპიტალში გაგზავნეს. იქ მის მეზობლად აღმოჩნდა ათეულის მეთაური მიხეილ სტეფანოვი.

— შენც აქა ხარ, მეგობარო?—სიყვარულით მიმართა მან იურის.—კარგად მიდიოდი. სწორად მოიქეცი. მოქმედებდი ისე, როგორც წესია. ბევრი მებრძოლი გადაარჩინე დაღუპვას.

ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ ნაწილში დაბრუნებისას სმირნოვმა მონახა შმირევი და განუცხადა:

— შემომაქვს განცხადება კომკავშირში მიღების შესახებ.

უშიშარი, უდრეკი ნებისყოფის მქონე, სამშობლისთვის თავდადებული ჭაბუკი სახელოვანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის წევრი გახდა.

* * *

გენერალ გალიცკის გვარდიელები სპეციალურ წრთვნას გადიოდნენ, რათა შემდგომ წარმატებით გაერღვიათ გერმანელთა მძლავრი სამაგრეები ორშას ჩრდილოეთით. იურიც აქ იყო. მკერდზე უკიაფებდა გვარდიული ნიშანი, ხოლო გულში აღბეჭდილი ჰქონდა სა-

ზეიმო გვარდიული ფიცის წმიდათაწმიდა იტყვები.

ეიერშის დაწყების წინ სმირნოვმა ყური პოპკრა, რომ აგროვებდნენ მებრძოლებს სატანკო დესანტისათვის. საპპოთა ტანკებსა და დესანტს მოულოდნელი თავდასხმით ჯერ უნდა გაენადგურებინათ გერმანელთა შტაბები, რადიოდანადგარები და შემდეგ გაჭრილიყვნენ მტრის ზურგში.

ყველას სურდა დესანტში მონაწილეობა. მათ რიცხვში იერიც იყო. მაგრამ პირველად უარი უთხრეს მას.

ძლიერ ანალაზრდა იყო სმირნოვი, ბრძოლა კი ძმიმე და სისხლისმღვრელი იქნებოდა. ალბათ ამიტომ გადაწყვეტა ანეულის მეთაურმა ზელენიუკმა ლატოვებინა იერი მპარავის ოცეულში.

— ამხანაგო მეთაურო! აქ რომ პაგა კორჩაგინი ყოფილიყო ხომ მოისურვებდა ამ დესანტში მონაწილეობას? — გაბედულად წამოიძახა სმირნოვმა.

ზელენიუკი ნიკოლოზ ოსტროფსკის თანამემამულე იყო და მოდამ თან დაჰქონდა რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ეს წიგნი მან მისცა იერის წასაკითხად. გაახსენდა რა ეს, კმაყოფილებით გაიღიმა და ნება დართო ანალაგზრდა ჯარისაცს მონაწილეობა მიეღო სატანკო დესანტში.

სმირნოვს ისე გაეხარდა, როგორც უხარია ბავშვობისას, როცა უფროსები რაღაცით საჩეჩოდ წაიყვანდნენ. სწრაფად [illegible] ვისი მეგობარი მიხეილ სტეფანეს[illegible] ხრა:

— ყოველ შემთხვევისათვის გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს, მიშა!

* * *

... ეს იყო ძრიოხანე ბრძოლა კუპრიეთ ლამეში. ჩვენი ტანკები ბრუტუნით გადადიოდნენ მტრის ტრანშეებზე, ახვევდნენ ძელძიუერ სიმაგრეებს, ყლეტდნენ ძოულოდნელი თავდასხმით დაფეთებულ ფაშისტებს. გათენებისას ტანკები ბრძოლით გავიდნენ მოსკოვ-მინსკის მაგისტრალზე.

საპორო ბომენტში ზელენიუკმა გასცა ბრძანება:

— ჩამოდით ტანკებიდან!

ყველამ თავი მოიყარა მეთაურთან, არ სჩანდა მხოლოდ სმირნოვი.

* * *

რა შეემთხვა იერი სმირნოვს? სად დაიკარგა იმ საბინელ ღამეს?

მტრის ტყვიამ იგი დასცრა და ტანკიდან გადმოაგდო. „ნუთუ ყველაფერი გათავდა?“ — გაეელვა თავში იერის და გრძნობა დაჰკარგა. როცა გონს მოვიდა, ირგვლივ გერმანელები დაინახა, იგი ტყვედ იყო — დაჭრილი, უძლეური, ეიარალო...

იერი შტაბის ბანსანგარში მიიყვანეს. გერმანელთათვის ამ კრიტიკულ მომენტში სატანკო დესანტის მონაწილე საპპოთა ჯარისაცი ძვირფასი მონაძიე იყო: მას შეეძლო ეთქვა ტანკების რაოდენობა, მათი სელის ძალთოლება, მტრის დაზვერვის გამოცდილი ოფიცრისათვის კი ეს დეტალებიც საკმარისი იქნებოდა გამოეცნო ჩვენი საბრძოლო ოპერაციის მდგომარეობა.

ფერმანელები შეუდგნენ დაკითხვას. მაგრამ კომკავშირელი სმირნოვი სდუმდა — მან ხომ ერთგულების ფიცი მოსცა დედასამშობლოს!

გაშიგდნენ კაცუპამია ფაშისტები. მათ სურდათ ერთი საათით მინც ეზეიმათ რუს ჯარისაცზე გამარჯვება, მაგრამ ამაოდ. სდუმდა სმირნოვი — სტალინური გვარდიის სახელოვანი მებრძოლი.

აი, იგი ფიცრებისაგან გაკეთებულ ჯვარზე ლურსმნებით გაკრეს, სხეულს დანებით ეესერავენ... მაინც არაფერს ამბობს... მტერმა არ უნდა გაიგოს სამხედრო აიდეალებმა!

მომაკვდავი საპპოთა გვარდიელი მაგიდაზე ხედავს თავის კომკავშირელ ბილეთს, რომლის ყდაზე გამოსახულია დიდი ლენინის სილუეტი — ეს მეტ სიმტკიცეს მატებს მას,

ახალი ენერგიით აღსავსე, და სულთმობრძავი უთანასწორო ბრძოლას განაგრძობს...

ჯალათებმა საწადელს ვერ მიაღწიეს — არ ბოიხარა იური სმირნოვი ძათ წინაშე. ახლოდებოდა შეტევაზე გადასული საბჭოთა ჯარების გუგუნი. დაქცევის წინ ფაშისტებმა ჯვარზე გაკრული იურის ორი დიდი ლურსმანი ჩააკედეს შუბლში.

სწორედ ეს შემაძრწუნებელი სურათი იხილეს საბჭოთა არმიის მებრძოლებმა 1944 წლის 25 ივნისს განთიადისას, როცა გაარღვიეს მტრის თავდაცვა ორშას ჩრდილოეთით და შეიჭრნენ გერმანელთა 78-ე მოიერიში დივიზიის ერთ-ერთ საშტაბო ბანსანგარში.

სასტიკი და მრისხანე იყო იური სმირნოვის ამხანაგების იერიში. ფაშისტებისადმი უსაზღვრო სიძულვილით აღსავსე საბჭოთა ჯარისკაცებმა ხელჩართულ ბრძოლაში მტრის არტილერისტები და [illegible] ძლგარი ქვეითი ნაწილი.

* * *

გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვანი და მამაცი შვილები.

კომკავშირელ იური სმირნოვს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მისი სახელი მარადუკვნობი დიდების შარავანდედით შეიმოსა.

გადმოკეთებული ლ. ხუმერიკისა

კ. მესხი

ნახ. გ. ჩირინაშვილისა.

ნარკვევი

1. პირველი გაკვეთილი

ფართო, ნათელ საკლასო ოთახში კაპიტან-ლეიტენანტი შაგინიანი შევიდა. მას ჟურნალი ეჭირა. ახალიღებულ, ძოძავალ მეზღვაურებს თავი გააცნო და სიის ამოკითხვას შეუდგა. გურამმა გაიგო, რომ მის გვერდით ზის რუსეთიდან ევაკუირებული ბიჭი — ფელიქს ლიუბოშიცი. ხოლო წინა მერხზე თბილისელი ალექსი ხაჰაპურიძე და რუსი ვიტალი დემიდოვი. გაკვეთილის დაწყებამდე კაპიტან-ლეიტენანტი მოკლედ ესაუბრა თავის ნორჩ მსმენელებს მეზღვაურის მეტად საპატიო პროფესიაზე. უამბო მათ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვან ტრადიციებზე, ილაპარაკა მის შესანიშნავ ადამიანებზე, რომლებმაც უაღრესად დიდი ღვაწლი დადეს სამშობლოს. გურამმა პირველად გაიგო, თუ ვინ იყვნენ ნახიმოვი, უშაკოვი...

— თქვენც ასეთივე სახელოვანი ადამიანები უნდა გამოხვიდეთ. ამას შეძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ მუდამ საქმით, გმირობით დაამტკიცებთ დიადი სოციალისტური სახელმწიფოსადმი სიყვარულს! — მიმართა თავის შესავალი სიტყვის დასასრულს პატარა მსმენელებს ასეულის მეთაურმა. გაკვეთილის შემდეგ ბიჭუნებმა დერეფანში გაინავარდეს. აქ გაიცანეს ერთმანეთი. ფელიქსი რატომღაც დაღვრემილიყო. გურამი, ალექსი და ვიტალი ცნობისმოყვარეობით გარს შემოეხვივნენ დაღონებულ ამხანაგს.

— რად ხარ, ძმაო, მოწყენილი? — ჰკითხეს მას. ფელიქსი უფრო მოიღუშა. მისი თაფლისფერი თვალები ცრემლმა გაანწყინა.

— გვიამბე, რა გაწუხებს, ფელიქს! — არ შეშებოდა ალექსი.

— გიამბობთ, ოღონდ აქ არა, ოთახში, საღამოს. ახლა კი, აბა, კლასში, ხომ გესმით ზარი! — ნაძალადევი მხნეობით შესძახა ფელიქსმა ბიჭებს, პატარა ხელებით თვალები შეიშრო და კლასისაკენ გასწია. ყველანი მას მიჰყვნენ.

2. ერთ ზმარ ქვეშ

უკვე ღამეა.

აი, ნახმოველთა საწოლი ოთახი, ბიჭუნები დღიური შრომისა და ყველა განწესების შესრულების შემდეგ ძილსა და მოსვენებას ეძლევიან, მაგრამ არ სძინავს ოთხ მეგობარს.

— მე გუშინ ცუდი ამბავი გავიგე, — დაიწყო ფელიქსმა, როდესაც ამხანაგებმა მას რამდენჯერმე სთხოვეს ეამბნა დაღვრემილობის მიზეზი.

— მაინც რა ამბავი? ერთხმად წამოიძახეს თეთრ, გაქათქათებულ ლოგინებში ჩაწოლილმა ვიტალიმ და ალექსიმ. გურამიც წამომჯდარიყო ლოგინზე და ყურებდაცქვეტილი შეჰყურებდა ფელიქსს.

— მამა დაჭრილა დესანტის გადასხმის დროს... იგი აქ ერთ-ერთ ჰოსპიტალში წევს... მაგრამ ქალაქს მე არ ვიცნობ, ვინ-ღა მომანახვინებს?

— ნუ დარდობ, ფელიქს, მოვნახავთ, ჩვენ აქ არა ვართ? — გაამხნევა გურამმა.

— შენ სტირი? ბრიყვო! იქნება ახლა კარგადაც არის. შენ ხომ მომავალი ოფიცერი ხარ, ტირილი როგორ გეკადრება!

ფელიქსი ვიტალიმ და ალექსიმაც ანუგეშეს, ამხანაგს თბილი სიტყვა უთხრეს, დაამწყნარეს.

ღილით ამხანაგები ადრე წამოიშალნენ, ლოგინები მიალაგეს, ვარჯიშისა და ტუალეტის შემდეგ მწყობრში ჩამდგარნი სასაუზმოდ გაემართნენ. მეცადინეობაზე დიდხანს არ ჩანდნენ გურამი და ალექსი. სპატიო მიზეზის გამო დაუთხოვნია ისინი უფროსს. ღღის ბოლოს მოვიდნენ სასწავლებელში, მარტო კი არა — მათ თან ახლდათ დედები.

— აი, დედა, ამ ბიჭზე გეუბნებოდით. — ალექსიმ კლასისაკენ მიმავალ ფელიქსზე მიუთითა.—ფელიქს, მოდი, ფელიქს,—გასძახა მერე ალექსიმ ამხანაგს.

ფელიქსმა მხეცრული სალამი მისცა უცნობ ქალებს და ამხანაგებს მიუბრუნდა.

—რა იყო?

— შენ და ჩვენც დღეს გაკვეთილებიდან თავისუფალი ვართ. ახლა კი ჩვენთან უნდა წამოხვიდე. ჩქარა ჩაიცვი, გელოდებიან!

მსუბუქი მანქანა დიდი შენობის წინ გაჩერდა. ორთავე მხარეს გახსნილი კარებიდან გადმოვიდნენ ოთხი ნახმოველი და ორი ქალი. ისინი ქვის კიბეს მიჰყვნენ. ფართო და სინათლიან ვესტიბიულში დადგმულ ... მგზნებ ჩამოსხდნენ. აქ დადიოდნენ ... ლათიანი ქალები და კაცები, მოპყავდათ დაჭრილები. მთელს შენობაში მედიკამენტების სურნელება ტრიალებდა.

— ეს ალბათ ჰოსპიტალია, — გაიფიქრა ფელიქსმა.

სულ მალე სკამებზე ჩამომსხდარ ნახმოველებთან და გურამისა და ალექსის დედებთან მაღალი ქალი შეჩერდა.

— თქვენ გინდათ ავადმყოფ ლიუბომიცის ნახვა? — სთქვა მან.

— დიახ, უპასუხა გურამმა.

ფელიქსი მიხვდა რაშიც იყო საქმე. პატარა მკერდში გულმა დაიწყო ძგერა.

— ფელიქს, შვილო! — გაისმა ძახილი, როდესაც ნახმოველები პალატაში შევიდნენ.

ფელიქსმა იცნო მამის ხმა, მისკენ გაემურა... მამა-შვილი დიდხანს იყვნენ გადახვეულნი.

— აი, ესენი ჩემი ამხანაგები არიან. გაიცანით, — უთხრა ფელიქსმა მამას. გურამი, ვიტალი და ალექსი მივიდნენ დაჭრილთან, ხელი ჩამოართვეს, პალატაში ალექსისა და გურამის დედებიც შევიდნენ და ფელიქსის მამას საჩუქრები გადასცეს.

— ფელიქს, შვილო! — გაისმა ძახილი, დამავალეთ. ეგრძნობ, რომ ჩემი ბიჭიკი თქვენს შვილებთან მშობლების სიშორეს ვერ გიგებს.

— ძალიან დამეგობრდნენ, სულ ერთად არიან. — უთხრა ფელიქსის მამას გურამის დედამ და გამომშვიდობების დროს დასძინა:

— ფელიქსის დარდი ნუ გექნებათ, იგი უეცილებლად გასახელებთ.

3. ხუთი ფლის შემდეგ

ფართო დარბაზში მუსიკის გრიალი ისმის. ელექტრონის შუქზე კურსდამთავრებული ნახმოველების ლამაზი მუნდირები ბზინავს. მხიარულება სუფევს ირგვლივ. მოელვარე პარკეტზე სრიალებენ მოცეკვავეთა წყვილები.

უცბად ტაშის ქუხილი გაისმა. სცენაზე დიდი ტალინის ფერწერული პორტრეტის ქვეშ ნახმოველებმა სასწავლებლის უფროსი შენიშნეს. კურსდამთავრებულ ნახმოველებს მან მოკლე სიტყვით მიმართა.

— თქვენ ყველანი ბედნიერები ხართ, თქვენ წინ გადაშლილია სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობის ფართო გზა. ყოველმა თქვენთაგანმა დაძაბული შრომისა და სწავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის მეტადგად უფლება მოიპოვეთ განაგრძოთ სწავლა უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში და გახდეთ საბჭოთა ოფიცერი-მეზღვაურები, რომელთაც ვერ შეაშინებს ვერავითარი სიძნელე, ვერავითარი ძალა!

ნახიმოველები ტაშით შეხვდნენ უფროსის სიტყვებს, როდესაც მან გადათვალა ოთხი განუყრელი მეგობრის — ვიტალი დემიდოვის, გურამ კვაჭაძის, ალექსი ხაჭაპურიძისა და ფელიქს ლიუბოშიცის გვარები, რომლებმაც სასწავლებელი ოქროს მედალზე დაამთავრეს და სურვილი გამოთქვეს სწავლა გაგრძელონ ლენინგრადში.

სასწავლებლის უფროსმა ოთხივე ახალგაზრდა მიიხმო. ოთხივეს შუბლზე აკოცა და სიხარულის ცრემლები ვერ შეიმაგრა.

გამოსაშვებ საღამოზე ოთხივე მეგობარმა აღუთქვა სასწავლებლის უფროსს, აღმზრდელებსა და ამხანაგებს, რომ ისინი, როგორც ეს კომკავშირელს შეშვენის,—უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სკოლაშიაც ხუთებზე ისწავლიან.



4. თბილისი—ლენინგრადი

— მკაცრი, მაგრამ თავისებურად მიმზიდველი და ლამაზია სამხედრო-საზღვაო სასასახური. იგი მოითხოვს ხასიათის სიმტკიცეს, გამბედაობას. ამაში მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი სამამულო ომში, როდესაც ბალტიის ფლოტში ემსახურობდი, — ეუბნებოდა მატარებელში კაპიტან-ლეიტენანტი შაგინიანი მის მიერ გამოზრდილ ოთხ ახალგაზრდას: გურამს, ფელიქსს, ვიტალის და ალექსის, რომლებიც მას ლენინგრადში მიჰყავდა.

აი ვაგზალიც. ოთხი მეგობარი ნახიმოველი და მათი აღმზრდელი კაპიტან-ლეიტენანტი შაგინიანი მატარებლიდან გადმოვიდნენ. მათ წინ მთელი გრანდიოზულობით გადაიშალა გმირი ქალაქი, რევოლუციის აკვანი—ლენინგრადი.

აი, აქ მრავალი ბრძოლის მოწმე გმირ ქალაქში გაგრძელებენ სწავლას კომკავშირელი მეგობრები, რომლებიც უგამოცდოდ ჩაირიცხნენ უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, როგორც ოქროს მედალოსნები.

ალექსი ხაჭაპურიძე ფრუნზის სახელობის სამხედრო სასწავლებელში სამწყობრო-საზღვაო სპეციალობას დაეუფლება, ფელიქს ლიუბოშიცი ისწავლის ინჟინერ-ელექტრომექანიკოსობას, ვიტალი და გურამი ისევ ერთად იმეცადინებენ გემთსაშენ ფაკულტეტზე.

ასეთია მათი ბრწყინვალე მომავალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოთარ ჭელიძე

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

თუ ყოფილხართ ლაითურში,
იკითხავდით ალბათ ქვაზე:
— რად დევს მინდვრის შუაგულში? —
ის ქვა, როგორც ძველის ნიში
ნაჭაობარს ალამაზებს.

არ გეგონოთ, მოგითხრობდეთ
ამბავს უცხოს ან მოგონილს,
ქვისქვეშ მამა ასვენია
ლაითურელ აგრონომის.
ხის ფარდულთან, მთვარიაშში,
დაესხდებოდით ღამღამობით
და ეყვებოდით ქვეყნის ამბებს, —
მოვისმინე ღამით მაშინ
აგრონომის ნაამბობი.

აგრონომმა სავლემ სევდით
გაიხსენა ფაცხა თვისი,
სადაც მისი გულსაკლავი
ოხვრა თითქოს ახლაც ისმის.

* * *

ოხრავს ბავშვი:—ნენა, ვაი! —
სიცხით ტუჩებამშშრალი,
გულით უნდა ენა მაინც
გაიგრილოს წყაროს წყალით.
ჭირისუფალ ქალწულივით
გვერდით უდგას სველი სურა,
მაინც სტანჯავს ბავშვს წყურვილი,
ნატვრა ვეღარ შეისრულა.
წყალს შესვამს და — ნენა წყალი! —
დაიგმინებს მაინც ამას.
— რად გამიჩნდა ეს საწყალი! —
ოხვრით იტყვის სავლეს მამა,
მამა, შვილზე შესაბრალი,
ხელს ჩაიქნევს, გარეედ გავა.
არვინ ცხოვრობს ახლო-მახლო,
კერა ბოლავს მარტო, ობლად.
ერთი ქალეკა სამოსახლო
შესჩვეოდა მარტოობას.
აწყდებიან თხები ფარეხს
გაჰყვირიან დაკინებით:
— მწყესნის მამავ, შეგვიწყნარე,
სამი დღეა ვარო მშიერები.
ჩვენი მწყემსი მოგვირჩინე,
მოგვისმიხე ლოცვა საწყალთ,
ან სხვა ვინმე მოგვიჩინე,
საბალახოდ რომ წაგვასხას!
დგას მოხუცი რეტდასხმული,
დგას ფიქრებში თავჩარგული,
ცეებისგან ფერწასული,
უბედობით დაჩაგრული,
უბედობით დაჩაგრული.
ექიმს ვერ გაეკარება,
ლამის ყოფა მოუთავოს,
ბედშავს, მეფის ბეგარებმა.
დგას მოხუცი, დგას და ფიქრობს,
რაღაც რწმენა, ათბობს შობელს, —
— იქნებ მწარე განსაცდელი
თავისთავად ჩამოგვშორდეს!
— იქნებ მართლა თავისთავად
დასთმოს ღმერთმა, რაც ინება,
იქნებ ბიჭმა, მამისთვალმა,
შესძლოს წუთით დაძინება.
ცოლი ჭირმა გამითავა,
ვაჟიშვილსაც ჰკლავს ცეება,
ვაი, ჩემს მტერს ამისთანა
ვაგლახი და გაჭირვება!
უბედობა დამემყარა.
დამანარცხა ბედმა მიწას! —
და ისმენდა ღამე ოხვრას
შეჭირვებულ გლეხკაცისას.

გუბისპირას ქანობდნენ
კოღობალას ბოლოები
და ცეების საგალობელს
ზუზუნებდნენ კოღოები.

უცებ, თითქოს ცამ და მიწამ
უწყინესო კაცს გოდება, —
ბნელში ჭოტის ხმა გაისმა,
გლეხიც უფრო დაღონდება.

წამოსწიეს უცებ წელი
ლაქაშებმა ჭაობიდან,
მკერდყვითელი და ფრთა ჭრელი
წყალთან ჭოტი ჩამოფრინდა.
ვიშისა და გლოვის ნიშნად
დაიკნავლა კატის დარად.
გააფითრა კაცი შიშმა,
ერუანტელმა აიტანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრუმორწმუნეს ცოტა ჰყოფნის,
ეშმაკის და ღმერთის სჯერა,
სჯერა თითქოს ავადმყოფის
მოახლოვდა ბედისწერა.
შეეცვალა სახის ფერი,
ოხვრა ძლივსღა დასრულა,
ჭრელი ჭოტი უნებელი
მიიჩნია მან ავსულად.

უკიდ გლეხკაცს ბალღურ ცრემლით
წამწამები დეთრთვილნენ.
ქვას დასტაცა გახუმ ხელი,
დაუმიზნა „მავნე ფრინველს“.
დაუმიზნა და ესროლა
ქვა შურდულის თანაწორი.
ჩიტს კი არა, ღამის მოხედა
სამიზნისკენ ქვა ნასროლი.
კვლავ აკიოლდა ჭრელი ჭოტი,
ჭაობისკენ გადინაცვლა.
— ჩამომშორდი, ჩამომცილდი! —
უკან გაჰყვა კაცის ლანძღვა.

გამოუდგა კაცი ფრინველს,
„უფალს“ შველას შესთხოვს მამა.
ჭაობისკენ გადიფრინის
ფრთოსანმა და ფეხოსანმა.
გლეხკაცი გაგულისდა,
არც აცხელა, არც აკივა,
მესამეჯერ დაუმიზნა,
მესამეჯერ დააცილა.
ბოლოს როცა დაიქანცა
და წაავო კაცმა ბრძოლა,
ერთხელ კიდევ აიტაცა
წყალში მდგარმა ქვა სასროლად.

განა მართლა სასწაულმა
იცის ამ დროს წამოსწრება?
კაცი ჭობს ვერ გაექცა,
ჭობს ვეღარ გამოსცილდა.
ტანი ფშორში ჩაემარხა,
თვალს უწვავდა ფშორის სუნი,
დარჩა გახუს მკლავი მაღლა

ქვის სასროლად მომიზნული.
გახუს ძალა აღარ ერჩის,
გახუმ მძიმედ ჩაისუნთქა,
ჭრელი ჭოტი ლაქაშებში
კვლავ აკივლდა თავისუფლად.

გახუ ფსკერში ჩაიძირა,
— ვაკა, გახუ, დაღუპულო! —
მყრალ ჭაობში ჩაიძინა
გლეხმა კაცმა საუკუნოდ.

ბაღშვი მკერდზე იხდის საბანს,
ყურის მგდები არსად არი,
საფეთქლებზე სიცხისაგან
ორთქლავს სველი თავსაფარი.

* * *

აგრონომმა სავლემ ასე
გაიხსენა ფაცხა თვისი,
სადაც მისი გულსაკლავი
ოხვრა თითქოს ახლაც ისმის.

ყოფილ ფშორის ნაპირებთან
ღღეს ათასი ჩაის ბეჩჩი
რტოებს იყრის და იზრდება
ნაკაობარ ლაითურში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრა ჩხენკელი

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

სურათი ახლო წარსულიდან

სოფელ მწვერვალის დიდ მოედანზე დიდი ფუსფუსი იყო. ახალგაზრდები მუშა ფუტკრებივით მოდებოდნენ იქაურობას. ზოგი სცენას აკეთებდა, ზოგი დეკორაციებს ხატავდა, ზოგი უანრებს კიდებდა და ზოგიც აფიშას წერდა. აგერ სცენა უკვე გაუკეთებიათ და ზევიდან ფიცრებით ხურავენ.

თემის კომკავშირის ინიციატივით საღამოწარმოდგენა ეწყობოდა.

— ეს ფიცრები სილოჯანს წაავრთვი, სახლის შესაკეთებლად რომ ჰქონდა ამდენი წელიწადია ლაფაროში დაწყობილი.

— როგორ, ხომ არ იუარა?!

— არა, ცოტა კი შეყოყმანდა, მაგრამ მერე თავისი ხელით გადმოიწყო, საქვეყნო საქმისთვის სულს არ დავიშურებო, დაატანა თან.

— რა უჭირს რა, ნალი კი არ მოცვდება, ახლა მოვახმართ და მერე ისევ დავუბრუნებთ უკან, თანაც ერთ დღეს მოვეხმარებით სახლის შესაკეთებლად, თორემ თვითონ მარტო ვერ შეაკეთებს, ღარიბი კაცის სამსახური სად დაგვიკარგება. ასე არ არის ვახტანგ?—ეუხრა თემურმა ვახტანგს, და შემდეგ კოკოს მიუბრუნდა:

— რა ქენი, კოკო, მოიტანე ჩოხა-ახალუხი?!

— მოვიტანე!

— ქამარ-ხანჯალი?

— ქამარ-ხანჯალიც!

— აბა, კარგად ყოფილა საქმე! ბიჭი შენ ყოფილხარ, ქალხოსრო რომ მოგირეკულებია!

— უარს როგორ გავაბედვინებდი, კიდეც რომ სდომოდა,—ჩაილაპარაკა კოკომ ამაყად.

— შეხედეთ, რა ლამაზ დეკორაციებს ხატავს მაკო!—ჩაერია ლაპარაკში გივი.

— აბა, კოკოს ტყუპისცალი ცუდად გაიკეთებს რამეს?! — ჩაილაპარაკა თემის რევკომის თავმჯდომარემ თედორემ, რომელიც ეუცერივ წამოადგა თავს მოფუსფუსე ახალგაზრდებს. — თქვენ ის მითხარით, როგორ გაქვთ პიესის საქმე, მოთამაშეები ყველა გყავთ?

— კი გვყავს, მაგრამ...—უპასუხა თემურმა და მხრები აიჩეჩა.

— მაგრამ რაღა არის?!

— ქალი არ გვყავს მთავარი როლისთვის.

— კაი მასალა გკლებიათ!

— არა, კი გვყავს, მაგრამ...

— მე მაინც ვერ გავიგე, გყავთ თუ არა გყავთ?!

— გვყავს, მაგრამ არყოლას უდრის! ძაბა ავირჩიეთ, ყაისარის ქალიშვილი, მაგრამ...

— თანახმა არაა?!

— თანახმა როგორ არ არის, კიდევაც უხარია, განცხადებაც კი შემოიტანა კომკავშირში შემოსასვლელად, მაგრამ ყაისარის ხასიათი ხომ იცი, თუ გაუგო, სცენიდან ჩამოათრევს და ყველაფერს ჩაგვიფუშავს...—უთხრა დადარდიანებულმა თემურმა თედორეს.

— ჰო, მაგი კი არის ცოტა სოფიტრენელი.. მაგრამ... მოიცა... მოიცა მე მოვაგვარებ მაგ საქმეს, არა უშავს, თქვენ განაგრძეთ საქმე.

— დაამშვიდა თედორემ ახალგაზრდები და წასვლა დაუპირა.

— მართლა, ამხანაგო თედორე?!—შეეკითხნენ ახალგაზრდები და, რაკი დარწმუნდნენ შეპირების სერიოზულობაში, სიხარულისაგან ტაში შემოჰკრეს.

ოთარმა ფერად ქაღალდზე წითელ-ყვითელი საღებავებით დაწერილი აფიშა მოარბენინა.

— აბა, წაიკითხეთ!—დაიძახა მან და ზეწრისოდენა აფიშა გულზე აიფარა.

თემურმა აფიშა შეათვალიერა და ხმამაღლა ჩაიკითხა:

„1921 წლის 12 აგვისტოს. საღამოს მწვერვალის დიდ მოედანზე წარმოდგენილი იქნება სამმოქმედებიანი პიესა... გადმოკეთებული უცნობის მიერ. პიესაში მონაწილეობას მიიღებენ მწვერვალის ახალგაზრდები—როგორც კაჟები, ისე ქალები. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება სეირნობა, იქნება ფოსტა, აუქციონი და სხვა გასართობი. მოსიარულეებს მიერთმეკათ ვახშამი და გაზიანი წყალი უფასოდ. წარმოდგენაზე დასწრება შეუძლია ყველას, ვისაც ექნება სურვილი და ვინც შეიძენს ბილეთს.

საღამოს მომწყობი კომისია".

— კარგია. ახლა წაიღე და სამკითხველოს წინ გააკარი,—უთხრა თოქურმა ოთარს და ძხარზე ხელი დაარტყა კმაყოფილების ნიშნად.

* * *

სოფელ მწვერვალის ცხოვრებაში პირველი შეძთხვევა იყო წარმოდგენის დადგმა და ყველა აღტაცებული იყო ამ მოულოდნელი ამბით.

ხალხი დიდი სიხარულით მოელოდა კვირის გათენებას, გარდა ბაცირე გამონაკლისისა, რომელმაც „ფულის ძახე" შეარქვა ამ წამოწყებას.

ახალგაზრდები დიდი ხალისით აწყობდნენ წარმოდგენას, მაგრამ დამშვიდებული მანინ არ იყვნენ. მართალია, თედორე დაპირდა — ძაბას საკითხს მე მოვაგვარებო, მაგრამ მაინც ეშინოდათ. ვინ იცის, უცაბ რომ გამოძვრეს ყაისარი, შეხტეს სცენაზე და ეცეს თავის ქალიშვილს, მაშინ... მაშინ, ხომ ჩაშლებათ ყველაფერი და მოეკრებათ თავი კომკავშირელებს!

სოფელ მწვერვალის მოედანზე რომ ასეთი ფუსფუსი იყო, სწორედ ამ დროს ყაისარ გელაძე ყანიდან ბრუნდებოდა შინ. დილით მიუგდო სიმინდებს წყალი და მთელი დღე შიგ ტრიალებდა, რომ არავის წაერთმია ძლევსძლევობით ნაშოვნი წყალი. ბევრი ეცადნენ მეზობლები, მაგრამ ყაისარი არც ისე უსუსურია, სილოვანმა და თეოფილემ რომ დასჯაბნონ. მაგათ თავიანთი ცოლ-შვილისათვის ვერ მოუელიათ, თავის ნებაზე რომ ჰყავთ გაშვებული—ზოგი კრებაზე გარბის და ზოგი „კომსომოლში" ეწერება. ყაისარს ამას ვერ გაუბედავს ცოლ-შვილი! ერთი ჰყავს შვილი, მაგრამ სოფლის თვალია. ძამის გამგონე და მორჩილი. მისი ძაბა ფეხს ვერ გადადგამს ჭიშკრის გადალმა მამის უკითხავად.—აბა, როგორ უნდა!—ფიქრობდა ყაისარი.

ეზოში შემოსულ ყაისარს ფიქრი შეაწყვეტია სახლიდან გამოსულმა ხმაურმა. ვიღაც თითქოს საშინელი ხმით ქვითინებდა ოდაში. ყაისარმა თოხი ეზოში დაგდო დაბალ ბეზე აირბინა.

მეხი რომ დასცემოდა ყაისარს, ეგრეთვე, როდესაც ფანჯრიდან შეიხედა, ბაბაია ძაბა დაინახა: ძაბას თმები გასწეწოდა, ხელები გაეშვირა სივრცეში და ქვითინებდა.

— ბატონო, შემიბრალე, ნუ დამღუპავ, შვილს ნუ წამართმევ,—ევედრებოდა იგი ტირილით ვიღაცას. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ის ვიღაცა ოთახში არ ჩანდა და ძაბა გიჟივით თავის თავს ესაუბრებოდა.

— ვაი შენს თავს, ყაისარა გელაძე, რა მოგსვლია?! ავადაა, ბაბაია!—დაიყვირა ყაისარმა და კარები შეაღო.

— დაწყნარდი, ბაბაია, დაწყნარდი, ნუ გეშინია, შენი ჭირიმე. შვილო,—ამშვიდებდა ყაისარი და გულში იკრავდა გაფითრებულ ქალიშვილს. ძაბა კი ენაჩავარდნილი იდგა და მთელი ტანით კანკალებდა.

ალბათ დიდხანს იქნებოდა მამა-შვილი ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში, ეფროსინე რომ არ გაჩენილიყო იქ და არ აეხსნა საქმის ვითარება.

— რა იყო, ყაისარ, რომ მოჰკალი ე ციცე შიშით, აწი ხომ არ გამოდგება მაგი ადამიანად!

— მოვკალი კი არა და, მაგას რაღაც დიდი უბედურება ჭირს, ქალო; ერთი დაგენახა რას შერებოდა!

— რას შერებოდა! წარმოდგენას შვებოდა, სხვა რას იზამდა!—უთხრა დაყვავებით ეფროსინემ ქმარს.

— წარმოდგენას? რას ამბობ, ქალო, გაგიჟდი თუ! რა უნდა ჩვენს შვილს წარმოდგე-



ნაზე! როდის გვქონია ჩვენ წარმოდგენა?!...
—შეუტია გაცეცხლებულმა ყაისარმა ცოლს. ეფროსინე არ დაიბნა.

— რაც ჩვენ არ გვიქნია, იმას ჩვენი შვილები არ იზამენ თუ! ერთ დროს ბაბუაჩემიც კაცი იყო, მარა, ახლა მისი ძვლებიც არ არის ქვეყანაზე. მოკვდა ის რაც იყო. ახალი დრო მოდის, განათლება მოდის,—უპასუხა რიხიანად ეფროსინემ ქმარს.

ყაისარი თავისას არ იშლიდა.

* * *

შეიძლება ეს არასასიამოვნო ლაპარაკი ისევ განახლებულიყო ცოლ-ქმარს შორის, რომ ძეორე დღეს ყაისარი რევკომში არ დაებარებინა თედორეს.

— იცით, ამხანაგო ყაისარ, რისთვის შეგაწუხეთ? — უთხრა სალამისა და მოკითხვის შემდეგ თედორეს.

— მიბრძანეთ, ბატონო!

— ერთი ძალიან დიდი საათხოვარი საქმე გვაქვს და...

— თუ კი შეიძლება!

— შეუძლებელი რა არის ამ ქვეყნად, მაგრამ ძალიან დიდი საპასუხისმგებლო და საიდუმლო კი არის, თქვენზე სანდო არავინ ჭეგულება... აი, კონკერტი.—თედორემ დალუქული კონვერტი ამოიღო და ყაისარს გადასცა. — უნდა მიუტანო ალისტრახო ჭინკარაძეს და პასუხიც წამოიღეთ.

დალუქული კონვერტის დანახვაზე ყაისარს სიამოვნების ელფერმა გადაურბინა სახეზე. „მენდობიან, სასარგებლო და გამოსადეგი კაცი ვარ ქვეყნისათვის“, გაიფიქრა მან და კონვერტი ჩამოართვა.

— ბატონი ბრძანდებით, როდისთვის გინდათ პასუხი?—შეეკითხა ყაისარი.

—კარგი იქნება, თუ ხვალისთვის მოგვეტანთ, მხოლოდ დღესვე უნდა წახვიდეთ.

ყაისარს შინაც არ გაუვლია, ისე დაადგა გზას. „მენდობიან“, დაუტარუნდა ისევ ფიქრი ყაისარი და ფეხს აუჩქარა სიხარულისგან ძენდობიან, მაძასადამე სიამედო და სასარგებლო კაცი ვყოფილვარ! ახდა რისთვის ამ უნდა მენდონ, ქუჩდი არა ვარ და წეწკი, ვმოქმობ და ჩემი აღალი შრომით ვარჩენ ჩემ ოჯახს...

ოჯახის გახსენებაზე ყაისარს თითქოს რაღაცამ უკბინა გულზე, გუშინდელი ამბავი მაინც ნინჯად ჰქონდა ჩარჩენილი. მაგრამ თედორეს დავალებით წახალისებულმა ისე გადაიარა სამი სოფელი, რომ დაღლა არ უგრძნია.

* * *

არ გაუმართლდა იმედი თედორეს—ბევრი კი ეპატიჟა ყაისარს ალისტრახო იმ დამეს დარჩენილიყო, მაგრამ იუარა ყაისარმა და მალე შინისაკენ გაძოსწია.

თავის სოფელში რომ დაბრუნდა ყაისარი, უკვე კარგად დაბნელებული იყო. გაუკვირდა რომ არავინ შეხვდა გზაზე, რომ სოფელი დაცარიელებულიყო. თავის ეზო და სახლიც ჩაბნელებული დახვდა ყაისარს. გოიცებული და შეშფოთებული გამობრუნდა იგი და ქუჩას გახედა. პატარა ბიჭი სტეენით მიდიოდა შარაზე.

— ბიძია, ვისი ხარ შენ?—მიაძახა ყაისარმა ბავშვს.

— გალმიელი ვარ, ჭინკარაძე.

— სად მიხვალ ახლა?

— მოედანზე, ბიძია, წარმოდგენაა,—უპასუხა ბავშვმა და ნაბიჯს აუჩქარა.

— წარმოდგენაა?! — ჩაიბუტბუტა ყაისარმა.—ჰმ, წარმოდგენა! მომერია ცოლ-შვილი და ესაა! მაჯობა დედაკაცმა... აბა, დამიდექით მაქ, თუ თქვენს ნებაზე გაგიშვათ! — წამოიყვირა ახლა ყაისარმა და შურდულივით დაეშვა მოედნისაკენ.

შეიძლება ამ მუქარიდან ბევრი რამ მოეყვანა სისრულეში ყაისარს, რომ მოედანზე საოცარი სურათი არ გამლილიყო მის თვალწინ. მთელი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. მეზობელ სოფლებიდანაც აქ მოეყარათ თავი. სკამები რომ არ ეყოთ, ფეხზე იყვნენ გაჩერებული. მოედანზე ქაღალდის ჭრელი ფარნებით იყო განთბუული. პირდაპირ კი დიდი ლამპებით გაშუქებული სცენა მოსჩანდა. სცენის სიღრმეში—ზღვის ფონი. ზღვაში გემი იდგა, რომელზედაც ხელფეხშეკრული ადამიანები იყვნენ დახატული. სცენის წინაპლანზე ბაზრობა იყო გამართული და ნამდვილი ადამიანები ჩანდნენ. ტყვეებში ერთი ჭრეულო სილამაზის ქალი გამოირჩეოდა, რომელსაც რვა-ცხრა წლის ბიჭი ჰყავდა

ქალთაზე შემოკრული. ბაზარზე უცხო ქვეყნიდან მოსული ვაჭრები ტრიალდნენ.

— იცი, ეს ქალი და ეს ბავშვი საიდან არიან?—ეუბნებოდა გამყიდველი მუშტარს ქალის შესახებ,—გურჯისტანიდან მყავს საგანგებოდ შენთვის ჩამოყვანილი, შიხ, რა ლამაზები არიან, მთვარეს არ ჰგვანან?

— ბავშვი მე არ მინდა, სადაც გინდა წაიყვანე, ქალში კი რაც გინდა მთხოვე,—უპასუხებდა ქალის სილამაზით მოხიბლული ვაჭარი და გასაყიდი საქონელივით სინჯავდა ახალგაზრდა ქალს.

ქალი ცხარე ცრემლით ტიროდა, მისი ცრემლები ხუჭუჭებს უსველებდა შეშფოთებულ ბავშვს. ყაისარი გაქვავებულივით უცქერდა ამ სურათს. მთელი მისი ყურადღება იმ დედა-შვილისაკენ იყო, რომელთაც ყიდნენ უცხო ქვეყანაში. რამდენი ამის მსგავსი რამ გაუგონია ყაისარს თავის ბავშვობისას ძველთაგან ნაამბობი. მოგონების ძაფი გაიხსნა და ბაბუა ხახულიეს ნაამბობი დაუდგა თვალწინ ამ წუთში. თვიითონ ხახულიე ტყვედნამყოფი იყო და ძალიან უყვარდა თავისი თავგადასავლის მოყოლა.

„ ასე იყო, აბა, ასე თარეშობდნენ ჩვენს ქვეყანაში, ასე აწიოკებდნენ ჩვენს ოჯახებს, წუწკები!"—აბურდღუნდა ყაისარი. ქალისა და ბავშვის საცოდაობით ბოღმა მოაწვა ყელში, სუნთქვა შეეკრა...

ამ დროს სცენაზე ერთი ალიაქოთი შეიქნა. მუშტარი და გამყიდველი მორიგდნენ. დედა ერთმა ვაჭარმა წაიყვანა, შვილი—მეორემ. ბავშვი დედისაკენ იწევს, ხელფეხშეკრული დედის კიდილი ცას ერთვის.

ყაისარი წონასწორობიდან გამოვიდა... როგორ მოითმინოს ეს...

— ჰაი, თქვე წუწკებო, გამიშვით!— ... რიალა მან, მაგრამ სწორედ ამ დროს გამაყრუებელმა ტაშმა შთანთქა ყოველივე ... რი.

ფარდა ჩამოეშვა, მოქმედება დამთავრდა. ყაისარი გაშეშდა. „სიზმარი იყო, თუ ცხადი?!"... გაიფიქრა მან. „ცხადი, რა თქმა უნდა, რადგან ამდენი ხალხი ტაშს უკრავს".

— ვინ იყო, კაცო, ის ქალი, ასე რომ გაგიჟა ხალხი თავისი კარგი თამაშით?!—შეეკითხა ყაისარის გვერდით ერთი მაყურებელი მეორეს.

— ვერ იცანი, ყაისარა გელაძის ციცე, ძაბაიე?!—უპასუხა მეორემ.

* * *

ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წელიწადი გავიდა, მაგრამ ეს ამბავი ყაისარს მანნც გუშინდელ დღესავით ახსოვს. მართალია, ბოდიში არავისთან მოუხდია ამ ამბის შესახებ, მაგრამ გულში კი მუდამ ასე ფიქრობდა:—არა, რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება, რომ ი ციცას ჩემთვის თვალები არ აეხილა და ქვეყანა არ დაენახვებინა!..

მას შემდეგ ყაისარი ერთხელაც არ დაჰკლებია სოფლის წარმოდგენებს და დღესაც, თუმცა მოხუცია, მაგრამ, როგორც კი გაიგებს სოფელ მწვერვალის კლუბში წარმოდგენა იმართება, მოხსენება ან ლექცია არისო, ყველაზე ადრე მიდის და პირველ ადგილს იკავებს. თუმცა პირველი ადგილი ისედაც ეკუთვნის—ჯერ ერთი იმისათვის, რომ იგი ცხობილი სტახანოველი მყნობელია მთელ რაიონში და მეორეც ყაისარი მაშაა ძაბასი, იმ ძაბასი, რომელმაც სამამულო ომის წლებში იკისრა კოლმეურნეობის გაძღოლა და დღემდე ღირსეულად ასრულებს ამ მოვალეობას.



ყველაფერი თავის დროზე

გაგვახარებს თოვლის მოსვლა —
ფიფქთა ცვენა სწავლის გმირებს,
დაგვაღონებს, თუ კი თოვა
გადაღებას დააპირებს...
ცივი ზამთრის თეთრი თოვლი
ზოგჯერ ისე გავგიტაცებს,
რომ ავიკლებთ მთებს და მთებზე
დავაყენებთ თოვლის კაცებს...

ასე ვამხელთ იმ სიხარულს,
რაც ბუნებას ჩვენთვის მოაქვს
და არასდროს არ ვივიწყებთ,
რომ ყველაფერს თავის დრო აქვს!
ყველაფერი თავის დროზე
და ადგილზე ვისაც ახსოვს,
მან შრომის და სწავლის შემდეგ
კიდეც უნდა ითამაშოს!

კოჩრობა აროსია



რესპუბლიკა აყვავების გზით

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV კონფერენციის ისტორიაში ჩაბარდა ბინ შეიტანა წინა — XIII კონფერენციიდან განვლილი თითქმის 9 წლის მეშვიდის შედეგები.

ამა. გადაჭედილი ვინმეთან თავლი ჩვენს მზიერ რესპუბლიკის, დამდეგი საქართველოს რა. კარ! ნათელ, რომელი ეკონომიკიდან არ მოსულან ფეოდალიზმში, კონფერენციაზე ფეოდალიზმი — ეფიმერზეს, ალეკ.-ალეკ ბარად ზეკანეში ბაკურიანელი ინტერნეტიდან და ალეკიდან, განსაკუთრებულ კოლმეურეობიდან, ნასოფლიანი ქარხნიდან და თავდასხმიანი ბორკიანის ხელიდან, ამაც მოიანდიდან და ლაღი კანონიდან... კონფერენციაზე მოიყვანენ ჩვენი განსაკუთრებული, ავ-ვაკეთელი საკოლმეურნეო სოფლებისა და ინდუსტრიული ქალაქების წარმომადგენლები, აქ ოვენენ მეცნიერებისა და ლიტერატურის ბოლშევიკი მოღვაწენი, საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელი მეშაკები.

ეველ ინანი — დელეგატები — მოიყვანენ დელეგაციაში, პარტიის კონფერენციაზე, რათა შეეკითხონენ განვლილი პერიოდის მანძილზე კეთილი მეშაობა, დაესახონ მომავალი მეშაობის ლინანდებანი. ბევრი მოგვინი სიტყვით გამოვიდა და კონფერენციის ეკრანი ამ რაკინანა ორ ქალაქის მიღწევების შესახებ, რომლის პარტიულმა ორგანიზაციამ დელეგატად წარგზავნა. დელეგატთა გამოსვლები ინანეულან რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლისა და ინდუსტრიული ქალაქების, აგრეთვე კულტურისა და მეცნიერების ოვალსანინი წარმომადგენლისა ნათელ ნაკლის.

რესპუბლიკაში 9 წლის მანძილზე კეთილი მეშაობის ღრმა ანალიზი და მომავალი განვითარების საშუალების ხასიათი ინიციანა დაკვანანა. თავის შესანიშნავ მოხსენებაში ამხანაგმა კანგიდ ჩარეკიანმა.

არ ეთქვა რესპუბლიკის ხასალი მეურნეობისა და კულტურის არც ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც ამხანაგ ჩარეკიანი არ შეხებოდა.

საბალნო მეურნეობების დიდი აღმავლობა

ომმა დიდი ნგრევა გამოიწვია, მაგრამ საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის და ბრძენი ხელმძღვანელობით, ჩვენ რა ომისშემდეგ მეფეობამ შრომაში, სწრაფი ტემპით წარმოა წინ ჩვენი ქვეყნის საბალნო მეურნეობა. თავდაცვე კმაყოფილ ნრძოლი სსრ კავშირის საბალნო მეურნეობის აღდგენის და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისთვის. დიდი შედეგებია. ოთხიც ბარტი 1945 წლის მაგალითი ავიღოთ: საბჭოთა კავშირში მრეველობის ეველი დარგის გადაჭარბებით შესრულდა ეგეგმა, ხალი საერთო პროდუქციის გეგმა ხუთწლიანის პირველ ხან წელიწადში 102 პროცენტით შესრულდა.

დიდი აღმავლობა ხასიათდება საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ინდუსტრიული მეცნელობა, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმე, სახალხო მეურნეობის ეველა დარგი.

ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის ამ უძლეველი შრომის ფერხულში ჩაბმულია მზიური საქართველოც.

ჯერ კიდევ 1946 წლის დასაწყის რესპუბლიკამ მრეველობის ინტენსიფიკაციის გარეკეში, ხალი ერთი წლის შემდეგ ჩვენმა მრეველობამ ხელად ამაზე მეტი პროდუქცია მოგვცა, ანუ ამაზე ეკვანდეთ. 1948 წელს კი ამან 15.5 პროცენტით გადაჭარბა 1947 წლის პროდუქციას.

ასე, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ე. ი. მიელი წელიწადნახევრით ადრე, საქართველოს მრეველობა წარმოების დონის ძველ შესრულებს თავის ხუთწლედს.

საქართველო ალე დიდი მარცვლეული გამოიეენეს შეგ ლეთანებსა და მ.ნეკნებს. ასევე ხუთწლედის ბოლის ჩვენ, რესპუბლიკის ეენა ასევი ეოეანტური წარმოება, რა ორიგინალ რესთავის მეტალურგიული ქარხანა. რესთავი თანდანან ანალის ჩვენთვის. მაგა ტეხნიკურა რამდენიმე წლის წინათ ხანაა ეკლი ოო. ფიქრ ეკ ანალი სოციალისტური ქალაქი შენდება. სადაც ალე რამდენიმე ათეული ათასი კაცი ცხოვრობს — მეშენი, მიმაწოდებლები, ინჟინერ ტექნიკოსები, მშენებელია შუალეი. ეს აქვეა ერთ-ერთი ეენაანანი ქალაქი საქართველოში.

რა მოგვეცემ ნელიწადში რესთავი ხუთწლედის ბოლის? — 640 ათას ტონა მეტალურგიულ ეკრანს, 480 ათას ტონა თუჯს, 655 ათას ტონა ფოლადს, 250 ათას ტონა მილებს, 150 ათას ტონაზე მეტ სხვადასხვა ნაკეთებს.

მიდიეთ ეენაზე, ეკოთანის ანალის, შენდება ნავთობისეული ქარხანა. რას მოგვეცემ ეს ხუთწლედის ბოლის?—1950 წელს გამოშვებულ ეენაი იქნა 15.000 ავტომობილი.

სწრაფად ეთანაფენა რესპუბლიკაში ეენაშენობის, ბრეზენტის, ნაგთის, სიფეენი მრეველობანი, ენერგეტიკის დარგი.

საკოლმეურნეო სოფლის გარეშენაული გაგარეგანი

საბჭოთა საქართველის სოფელს რა თავლწარმტაცი, რა ბედნიერი და ლამაზი იყო. რომელი კეთილ სოფელი ეანდა, — საკოლმეურნეო ცხოვრებამ ალეკის ან ალეკეენანის ან ალეკეენანის ან ეანდაფის

ეა, ჩანს და ეიტერესოანია ბალეზეანანდეთი, ალეკ ხენილის ბალეანი დაინთალეული ქარხანა, ეენრნენია და ეპანი ბედნიერი ეანდა... ეეველან, ეეველან ბრეკეს ანალი, საკოლმეურნეო, ბედნიერი და ბედნიერი ცხოვრება.

ამხანაგ ეანდან ჩარეკიანი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ საქართველის სოფლის მეურნეობამ დარსებულან ჩაბარა ომანობის დროის ეანიეენი; ამ ეანიეენელის წელებში საბოლოო.საბეურნეო პროდუქტების წარმოება კი არ შემცირდა, არამედ ძნიშვნელოვნად ეანდა და ომამდელ 1940 წელთან შედარებით. 1947 წელს საქართველის კოლმეურნეობებში სარა მიღებულ 50 ათას ცენტნერით ნეტი მარცვლეული მოიეეს, ვიდრე 1940 წელს. ასობით კოლმეურეობა მიღებულნენ ეანდა. ბევრი მოგვინ შემოსავალი "კი მიღებულ მანეთ დიდად აღემატება. ეეთია კოლექტიური შრომის ძალ.

კიდევ უფრო ეანაზდება ჩვენი სოფლის მეურნეობა ომამდელ წელებში. მაგალითად, ჩვენ ქვეყნის ფართობი 1955 წლისათვის 10.000 ჰექტარი აქვნა, ნაცვლად 45.000 ჰექტარისა, რაც ადეს ეკავენ. ხალი ეიტრეტენის (ლამბინი, ბანდარანი, ფიორთალი და სხვ.) ფართობი 22.820 ჰექტარიდან ეანაზდება 40.000 ჰექტარამდე 1955 წელს.

რესპუბლიკის მშრომელები საქართველის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ასევე ენერგიულ სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. მიმდინარეობენ ძიძანოთის კიდევ უფრო ფართოდ ეანდა ეანდეენ ეანდეენ საკოლმეურნეო დოეანი.

ზეაღლაფლა. კულტურული ცხოვრება

ადალი ადეა ბალეზეანი ხალხის ეანიეენდეენა. ერთიანად და უფრო ზეტადეა ეანდა. ბეზა.ბიბლიოთეკა შრომის ხელეანი 1940 წელთან შედარებით.

ჩვენი ქალაქები ხელ უფრო და უფრო ეანიეენენენენ ხდებიან. ეა, ნახეთ რა ფერეენენა ჩვენი ინანეანი ლაბინი და თვალწარმტაცი ეენი ზეანანის ქალაქები: ბათუმი, ხა. ხენი, ფოთი; კიდევ უფრო ფერეენენენ ჩვენი ხალაანი და ხასანი ქალაქი — საქართველის ეენრა, ინდუსტრიული ცენტრი ინანეანის შემდეგ. ეანანდეა, ეანეანენენ ჩვენი ინანეანი ცენტრები.

ეს ეანანდენენი სოციალისტური ქალაქები თავიანთი კომფორტული მეურნეობებით, ანალი საცხოვრებელი ბინებით, ეანანენენის ფაბრიკა და კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, კლუბებით, ბიბლიოთეკებით, პარკებით და ბალეანი მშრომელთა კეთილდღეობის ხასიათზე ფენენ.

პარტიის და მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობითაა ეანენენენენი ხასალი ეანეენენის საქმე, ხალხთა ხელი.

— საქართველის პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ანალი, უფრო ბალეანი ხელეენენენ ეანეენენ ხალხთა ხელის — ბოლანენ ეთანის კომუნისტური აღზრდის ბალეანი — ანალის — მეშაობა, — ხალეა თავის მოხსენებაში ამხანაგ ე. ნ. ჩარეკიანმა.

ამეანენ საქართველოში ეენეენ 4.812 ზოგადეანანანანენენენენენ ეენენ 700 ათასზე მეტი ეანენენენ. უმაღლეს სასწავლებლებში 25.000 ხალეანენ ეენენენ. ამ სასწავლებლებმა რა. წლის განმავლობაში 27.500 სპეციალისტი გამოიეენეს.

ამხანაგ ეანდან ჩარეკიანი შემეენ ღრმად აშენენ ეანეენენენ ეანეენენენ და ხელეენენენ, ეანენ. ეანენ მეშაობის, აგრეთვე კოლეენენენენენ პარტიული ხელმძღვანელობის ხაეანენ.

დასასრულ მოხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველის ბოლშევიკები მეფენ ეენენ და აქვნენ ამხანაგ ეანენენ ეანენენ ეანენენ ბერიას ბინის მანძილზე დაეანენენ მეშაობის ხელეანენ ტრადიციათა ერთიანი მიგანენენენ.

ხალი, რაც ამხანაგ ე. ნ. ჩარეკიანი დაეანენა და გამარეენენ ეანენენენ ბოლშევიკების უძლეველ პარტიის, ჩვენს ხალეანენ ბინაა და ბინენენენ ამხანაგ ხელეანენ, ბალეი ეანენ. ეანენ ეანენ ეანენ, ეანენ, ხანგრძლივი ტაში ეანენენ ეანენ.

სახიფათო თოთვასავნ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. კრ. ლებანიძისა.

ჰ. მორსკოი

მოთხრობა

ღამით ძლიერ ცუდად მეძინა.

ახირებული სიზმრები მაწუხებდნენ, უფრო მეტად—უკანასკნელი კვირეგბისა და თვეების მოგონებები; მესიზმრებოდა სასიზღარი ხროვა ახალგაზრდა და ხნიერი ვირთხებისა, რომელნიც ჭყვირილითა და თათების ფართხუნით დარბოდნენ ვეებერთელა შენობის სასურსათო საწყობში, სადაც მე ვმუშაობდი.

სტახანოველთა ბრიგადები დაუღალავ შრომას ეწეოდნენ, რომ მიეღოთ, შეენახათ და შერე მაღაზიებში გაეგზავნათ ქალაქის მოსახლეობისათვის საკონდიტრო და გასტრონომიული ნაწარმი. ეს სასიზღარი ნადირები კი ყოველ ფეხის გადადგმაზე ანადგურებდნენ მთელ კოლექტივის ნამუშევარს.

ყველას თვალწინ სჩამდნენ ლორს, შეეცალოთ ყველს, ფაქიზნდნენ ძვირფას კრაკოვის ძეხვებს, ხრაედნენ შოკოლადს, კამფეტებს, ძღებოდნენ კარაქით, ათხრეგდნენ შაქარს და თოვლივით თეთრ პორის ფქვილს. ეტანებოდნენ სადურგლო წებოსაც კი.



გამძღარი კუდიანი მხეცები ჭამის შემდეგ ბინდსავდნენ კბილებს. ეს იყო ძალი აუცილებელი ამ საყვარელი საქმიანობა. ხრავდნენ ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდათ: ყუთებს, ქაღალდს, ტომრებს, თოკებს... ამათ წინააღმდეგ ვეშეოდით შეუბრალებელ ბრძოლას. ვხოცავდით, ვახრეობდით, ბელ ბრძოლას. ვხოცავდით, ვახრეობდით, გასასვლელებში ვუდგამდით მისატყუებელ საუმეულებს, რომელიაც ვურეკვდით საწამლავს. მხეცებს ვუგებდით ხაფანგებს და მალავდა. მხეცებს ეუგებდიან ხაფანგებს და მალავდა. მაგრამ ისინი იმდენად წიმდახედულნ ხეებს, მაგრამ ისინი იმდენად წიმდახედულნ ხეებს რა საწამლავის მოქმედებას თავიანთ მოძმეებზე, ადარ ეკარბოდნენ მათთვის გამზადებულ საუზმეს. ხაფანგებს და ძახეებს სრულიად ადარაფრად არ აგდებდნენ. ხანდახან გვეჩვენებოდა, რომ ეს არსებანი დაგვცინოდნენ კიდეც. არ ვიცოდით, რა საწინააღმდეგო საშუალებისთვის მიგვემართნა.

საწყობში მტაცებლებისაგან მოყენებული ზარალი დიდად საგრძნობი გახდა. მიუხედავად მონდომებისა, ჩვენს კოლექტივს ცუდი მაჩვენებლები ჰქონდა. ამის გარდა, საწყობში ადგილი ჰქონდა უსუფთაობასა და სუნს. შესაძლებელი იყო ეს უსუფთაობა გადასულიყო სურსათზე, რაც ქალაქის მოსახლეობას დაუზარალებდა. ეერასოდეს ვერ წარმოიდგინა, რომ ამ პატარა მხეცებს შეეძლოთ ამდენი ზარალის მოყენება და საქმიანი ხალხის ასე შეწუხება.

ვბორგავდი სიზმარში, როგორც ავადმყოფობით შეწუხებული.

ვხედავდი, როგორ დარბოდნენ ჩემ წინ მსვილი მუქანი ვირთხები, როგორც ნასუქი ღორები. ერთი ჯადარა დედავირთხა ახლოს მოვარდა და მუქარით დამიკიჟა დალესილი კბილები.

მე ჯიბიდან ამოვიღე დამბაჩა და დავახალე ურცხეს, მაგრამ ასცდა. მან კი, მაჩვენა რა ცხვირი, წყნარად გამშორდა, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს. გამომეღვიძა. გული ძალზე მიცემდა, ფიქრი სიზმრადნახულს ირგვლივ არ მასვენებდა. ტანზე ჩაცმა დავიწყე, სულ ბში ფიქრში ვიყავ, რა მომეგონებინა ამ ურცხეი მხეცების მოსასპობად.

როცა სახლიდან სამსახურში მივდიოდი, ბნელ დერეფანში წაკაწკაწდი ჩვენს ყუარა კატას—ფოფას. ის ხრუტუნით მოძეღერსა ფეხებზე და გარეთ გასვლას მთხოვდა.

ძოწლოდსელად ახალი გეგმა დამებადა: დავსტაცე ხელი ფოფას და ავიყვანე ბინაში.

ხუთი წუთის შემდეგ ტრამვაი მე და ფოფას სამსახურისაკენ ძიგეკროლებდა. გზაში ჩემს ცოლ-ძველზე ვფიქრობდი და თავს დაძახავდენ ვგრძნობდი—ვიცოდი, რომ ფოფას ასეთი ძოწლოდსელი გაკრობა მათ ძეაწუხებდა.

ტრამვაიში უხერხულობას ვგრძნობდი, რადგან ჩემი პორტფელი ძგზავრების ყურადღებას იყრობდა. ფოფას სპრალო კანავილით გაკვეიგებული ძგზავრები ეკვით შემოძეკქეროდნენ. ეეწუხებული ფოფა კი კანავილა უძატედა და პორტფელს ბიგნიდან კლასკეებით ფხაკნიდა. ფრთხილად დავარტაი ხელი პორთფელა, რომ ფოფა გამეჩერებინა, მაგრამ პირიკით, მან კანავილს უძატა.

ბეეეცადე, როგორძე დამეწყნარებინა ფოფა და პორტფელი მივიკარ რაც შეიძლება ახლოს, დარწმუნებულმა, რომ გაჩერდებოდა. სამწუხაროდ ფოფამ ისეთი საშიხელი ხმით დაიკნავლა, რომ ძგზავრებს სიცილი ეუტყდათ.

ძოცხვენოდა ჩემი საქციელის, მაგრამ ჩემს გეზებაში თავს ვიმართლებდი იმით, რომ საერთო საქმისთვის საჭირო იყო ასე მოვქეცულიყავ.

როგორც იქნა, მივაღწიე გაჩერებამდე, გადმოვედი ვაგონიდან და ჩემი გაბერილი პორტფელით გავეშურე სამსახურისაკენ.

კატის მაყვანამ საერთო მხიარულება გამოიწვია ჩემს თანამშრომლებში.

ძწონავმა ათთვალ-ჩაათვალიერა რა ჩემი გაცეცებული კატა, გადასწყვიტა, რომ მას ვირთხები უსათუოდ დახრავდნენ, რადგან კატა ერთი იყო, ისინი კი უამრავი.

— ეს, ვირთხებთან ერთად, თვითონ მოიპარავს სურსათს,—დაუმატა დაძლაგებელმა.

— რიელი რიცხვიდან ჩაჯრაცხოთ სამუშაოზე და რომელი თანრიგიდან გამოვუწეროთ ხელფასი?—იხუმრა მოანგარიშემ.

მე ხუმრობის ხასიათზე სულაც არ ვიყავი.

საჩქაროდ გავეცი განკარგულება, საკონელი დაელაგებინათ ისე, რომ მის ირგვლივ ყოფილიყო თავისუფალი ადგილი, კატას რომ შეძლებოდა გავლა.

ამ ამბით გაცეცებული ფოფა შეხტა ძაღლა კასრზე და შეუდგა თავისი თავის წესრიგში მოყვანას,—დაიწყო თათებით პირის წმენდა და გვერდების ტლეკვა, რომ მგზავრობის დროს აბერძგნილი ბეწვი შეესწორებინა. შემდეგ დაჯდა და დაიწყო ცხვირით სუნთქვა.

— ვირთხების სუნი ეცა!—გვითხრა ერთმა მტვირთავმა.

ფოფა ფრთხილად გადმოხტა კასრიდან და გამოიქცა ჩვენთან კანტორაში.

— ადამიანებს ეტმასნება, ვირთხების ეშინია,—თქვა მწონავმა.

ვაკმაეთ, ეათამაშეთ, მოვეფერეთ ფოფას და ისევ შევუშვით საწყობში.

იმ დღეს არაფერი არ მომხდარა, თითქოს არც კატა იყო საწყობში და არც ვირთხები.

ღამით ფოფა დავტოვეთ მარტო, დავუდგინთ საკმელი და წყალი. ჩვეულებრივ დავკეტეთ საწყობი.

გზაში ვცდილობდი არ მეფიქრა ჩემს ცოლსა და შვილზე, მაგრამ მაინც მესმოდა ჩემი შვილის—ალოს შემფოთებული ხმა:

— იცი? ჩვენი ფოფა დაიკარგა!

მეორე დილით სამსახურში თანამშრომლები ჩვეულებრივზე ადრე გამოვცხადდით. ყველას ინტერესებდა, თუ რა მოხდა ღამით საწყობში. უხდა გამოვტყდე, რომ ყველაზე უფრო ჩემი კატის ბედი ძალელვებდა.

შეეედით თუ არა საწყობში, იქვე გასასვლელებში დავინახეთ რამდენიმე დაგლეჯილ-დაფლეთილი ვირთხა. ყველას ღიმილმა გადაჰკრა სახეზე.

— პირველი გამარჯვება!.. პირველი წარმატება!—წამოძახა მოანგარიშემ. თანაც მისთვის ჩვეულებრივი ოხუნჯობით დაუმატა:—საჭირო იქნება ერთი თანრიგით მეტი ხელფასის გამოწერა!

ჩვენი ვირი კატა კი არსად ჩანდა. ბევრი ეუძახეთ, მაგრამ კატა მაინც არ გამოჩნდა.

ფოფა სადღაც გაქრა.

ერთი საათის შემდეგ, როცა კანტორაში მაგიდასთან ვიჯექ, ვიგრძენ, ფეხებთან რაღაც რბილი მეალერსებოდა. ეს იყო ჩემი კა-

ტა—ფოფა. მოვინდომე ხელში ამეყვანა, მაგრამ ის სწრაფად გაბმორდა და წავიდა ნახევრად ღია კარებისაკენ. იქ, მეორე ოთახში, უცნობი ხვადი კატა იდგა. ის იყო დიდი, მოყვითალო ფერის, ვეებერთელა გაბურძგვნილი თავით, თვალებდაჭაჭული და ყურებდაფლეთილი, თავზე და ტანზე ალაგ-ალაგ დასაკბენი ანრდა. ერთი სიტყვით, ის იყო უპატრონო მაწანწალა-მოხეტიალე კატა. იდგა ამაყად და თავმომწონედ.

ამჟამა იყო, რომ ხვადი, ჩვენი კატის კაბელზე ღამით ჩამომძვრალიყო სახურავიდან და გათენებამდე ერთად ენადირათ ვირთხებზე.

ამის შემდეგ დილდილობით ვნახულობდი ღამხრჩვალ ვირთხებს. მაგრამ გათავხედებული მტაცებლები არ დრკებოდნენ და ისევ განაგრძობდნენ თავდასხმას სურსათზე. ისინი არამც თუ თავს იცავდნენ, არამედ ესხმოდნენ ჩვენს ერთგულ დარაჯებს. ერთ დილით ჩვენი ხვადი კატა ვნახეთ დასისხლიანებული. ჩანდა რომ ის დაჭრილიყო ვირთხებთან შეტაკების დროს.

კატების ბრძოლა ვირთხებთან თანდათან ძლიერდებოდა. ვირთხების ფრონტი სუსტდებოდა. დაბოკლი ვირთხების რაოდენობა მეტად გაიზარდა. სურსათი კი დღითი-დღე თოქმის უვნებელი რჩებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფოფას გაუჩნდა ოთხი კუტი. ფოფა ძალიან კარგი დედა იყო. უყლიდა შვილებს, აუფთავებდა, აკვლევდა და მაინც ახერხებდა თავის მეგობარ ხვადთან ერთად ვირთხებზე ნადირობას. ზაფხულში კნუტები წამოიზარდნენ და მშობლებს გვერდში ამოუდგნენ. მხოლოდ სპრძოლოდ აირჩიეს თაგვების ფრონტი, შემოდგომაზე კი ვირთხების ფრონტს შეუტიეს.

ვირთხებმა ვერ გაუძლეს და დამარცხდნენ. ათი რიცხვი ძალიან შემეცირდა [illegible] სულ განადგურდა. არსაიდან [illegible] თი ქყვირილი და სირბილის ხმა, გადარჩენილნიკ სადღაც გაქრნენ.

საწყობში სრული სიწყნარე და სისუფთავე დამკვიდრდა, სურსათის გაფუჭება-გატაცება შეწყდა. კოლექტივი გამარჯვებას ზეიმობდა.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ფოფა დასახლდა საწყობში. ახლა აქ ცხოვრობდა კატების მთელი ოჯახი—შთამომავლობა მოყვითალო ხვადი კატისა. ხვადი ითვლებოდა არა მარტო ბაბუად, არამედ მის მამადაც.

წლის ბოლოს საწყობს ეწვია შემმოწმებელი კომისია. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ საწყობს სურსათის მარაგის დანაკლისი არ ჰქონდა; აქტში კომისიამ აღნიშნა: კოლექტივმა ფხიზელი შრომით სახელმწიფოს დაუზოგა, თუ ნაღდ ფულზე ვიანგარიშებთ, ძალზე დიდი თანხა.

საქმე ამით არ დამთავრებულა.

ახალი წლის წინა დღეებში ჩვენ ყველამ მივიღეთ ფულადი ჯილდო. ამ თანხით მე ვიყიდე მშვენიერი პიანინო. ეს იყო საჩუქარი ჩვენი ფოფასაგან.

საჩუქარი დროული იყო. კოლა საახალწლოდ შევიდა მუსიკალურ სასწავლებელში და მისთვის საჭირო იყო მუსიკალური ინსტრუმენტი.

ჩვენმა ოჯახმა ამ საჩუქრით მეტად გაიხარა.

მე გადავაღებინე ფოტოგრაფიული სურათი მონადირე კატებისა და ჩამოვკიდე პიანინოსთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამგორში ერთი ყვავილი

დავით გაჩეჩილაძე

ერთი ობოლი ყვავილი
სამგორის ველზე ჰკნებოდა,
შუქივით გამოყვანილი
ოქროს გვირგვინი სწყდებოდა.
ჩიტს მოეტანა ჩიორას
აქ თურმე მისი მარცვალი,
გულამოსკვნილი ჩიოდა
ცხელ უდაბნოში საწყალი.
ვაჰმე, რომ ვეღარ გავშლილვარ,
წვიმა არ მოდის ანკარა...
მიშველეთ, მეც ხომ ბავშვი ვარ,
ვკვდები ნაზი და პატარა.
სწყევლიდა თავის გაჩენას,
თან ღრუბელს ცაში ეძებდა,
და ჰა, მის გადასარჩენად
ხალხი მოგროვდა ველზედა:
რიერაგზე ბუკი აყვირდა,
უდაბნო გაანალისა,
და ნელ ჩუხჩუხით არხიდან
წყალი ეწვია ყვავილსა.
ყვავილი ფოთლებს გადმოშლის,
ისევ სიცოცხლით დამტკბარა.
ასე გადარჩა სამგორში
ერთი ყვავილი პატარა.

ჩვენი მიხო

ნიკოლოზ ჩაჩავა

ავტობუსი მიიჩქარის
მიჰყავს, მოჰყავს ბევრი მგზავრი.
შიგ ჩამჯდარა ჩვენი მიხო,
ისე, თითქოს დიდი იყოს.
ეჩქარება, სული მისდის,
გაიაროს უნდა ხიდი.
რომ აქ სწრაფად ჩამოვიდეს,
მიაშუროს სკოლის ეზოს.
მიხოს უცდის ოთარ, რეზო,
მთელი კლასი უცდის მიხოს,
მიხოც მათთან უნდა იყოს,
რომ წავიდეს ერთად ყველა,
ნახონ ცირკის საქანელა,
დიდი სპილო, ზღვის ლომებიც,
რომ იჭერენ ბურთებს ტუჩით.
მისმა კარის მეზობელმა
თვითონ ნახა თურმე გუშინ.
ავტობუსი მიიჩქარის,
მიჰყავს, მოჰყავს, ბევრი მგზავრი.
შიგ ჩამჯდარა ჩვენი მიხოც,
ისე, თითქოს დიდი იყოს.
ავტობუსი საყვირს უკრავს,
მოვდივარო, აძლევს ნიშანს.
გზას აძლევენ. გზას უცლიან,
გზაში ყველა წესრიგს იცავს.
მხოლოდ ვიღაც მოხუცებულს,
არევია გზა და კვალი,
აქეთ-იქეთ ხეტიალობს,
საცოდავი შიშობს. წვალობს,
შუა ქუჩაში ითხოვს შველას.
მოუწოდებს ყველას, ყველას.
ეს მოხუცი, ფიქრობს მიხო,
უსინათლო უნდა იყოს.
ვერც წინ მიდის, ველარც უკან,
ავტობუსი საყვირს უკრავს.
გაჩერდება მერე უცებ,
ჩამოხტება ჩვენი მიხო
ისე, თითქოს დიდი იყოს.
გაიქცევა. სტაცებს ხელებს
და სწორ გზაზე დააყენებს.
—აქეთ წამო, აქეთ, ბები,
თქვენ სახლამდე წამოგყვებით.
ვერა ხედავთ მზეს და მიწას,
რომ აწყდებით ხეს და ფიცარს?
—ველარაფერს ველარ ვხედავ,
გაეზარდე. შვილო, დედას.
გააცილა მიხომ ბები,
მეტს არაფერს მოგიყვებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თებერდის სახელმწიფო ნაკრძალი

თებერდის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, ქლუხორის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მდინარე თებერდის სათავეში.

ნაკრძალის ფართობი 70 ათას ჰექტარს უდრის. იგი უდიდესია საქართველოს ნაკრძალთა შორის. საკმარისია აღინიშნოს, რომ თებერდის ნაკრძალის ფართობი ქლუხორის რაიონის ფართობის თითქმის ერთ მეხუთედს შეადგენს.

თებერდის ნაკრძალი ცოცხალი, ბუნებრივი მუზეუმია. მის მთავარ ამოცანას შეადგენს მცენარეული საფარისა და გარეული ცხოველების აღრიცხვა და დაცვა, აგრეთვე ახალი სახის სასარგებლო ცხოველების მოშენება და ტურიზმის შემდგომი გაფართოება.

სამამულო ომის პირიდან გერმანელებმა დიდი ზიანი მიაყენეს ნაკრძალს. გაჩეხეს ტყე, დაანგრიეს დაწესებულებანი და მთელი რიგი საწარმოები, ბანაგდგურეს იშვიათი ცხოველები. გერმანელ ოკუპანტთა მიერ ნაკრძალისადმი მიყენებული ზარალი 3 მილიონ მანეთზე მეტს აღწევს.

სამამულო ომის შემდეგ დაიწყო ერთის მხრივ აღდგენითი სამუშაოები და მეორეს მხრივ გაიმალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. კურორტ თებერდას ტერიტორიაზე შექმნილია სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, ნაკრძალის ფაუნისა და ფლორის ამსახველი მუზეუმი, კაბინეტები და ლაბორატორიები.

ნაკრძალის მთავარი სიმდიდრეა მისი წიაღისეული. მინერალური წყლები, მდინარეები, ტყეები და მდელოები, გარეული ცხოველები.

წიაღისეული სიმდიდრეები ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი. აღმოჩენილია მთელი რიგი სამრეწველო მნიშვნელობის სასარგებლო ან იშვიათი ლითონები — მოლიბდენი, სპილენძი, დარიშხანი, ოქრო. ყურაღღების ღირსია მარმარილო, რომელიც სამამულო ომამდე მიტროს მშენებლობაზე იგზავნებოდა. კურორტ თებერდის მომავალი მშენებლობისათვის გამოყენებული იქნება ადგილობრივი მაღალხარისხოვანი მარმარილო.

მინერალური წყლებიდან აღსანიშნავია გორალი-ყოლის ნარზანის ტიპის წყლები. თვით სახელწოდება „გორალი-ყოლი“ ნიშნავს „მეავე წყლის ხეობას“, მართლაც აქ რამდენიმე წყარო, თუმცა წყალს მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სასმელად, ხოლო მისი ჩამოსმა და გამოზიდვა ჯერ არ სწარმოებს.

მდინარეების ქსელი ძირითადად თებერდითაა წარმოდგენილი, რომელიც ორი პატარა მდინარის — ამანაუზისა და გონაჩხირის შეერთებით იქმნება. მდინარეები მდიდარია თევზით, გარდა ამისა ისინი გამოყენებულია ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელსადგურებისათვის.

მთელი ფართობის ერთი მეექვსედი უჭირავს მდელოებს, რომლებიც ნაკრძალის ცხოველთა სამყაროსათვის ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენენ.

ნაკრძალის მთავარი სიმდიდრეა ტყეები.

ტყეების საერთო ფართობი ათი ათას ჰექტარზე მეტია. ძირითადი გავრცელებული ჯიშებია სოჭი, ფიჭვი და არყი, რომელთაც, ერთად აღებულს მთელი ტყის ფართობის 80 პროცენტი უჭირავთ. დანარჩენი ჯიშებიდან აღსანიშნავია მცირე რაოდენობით ნაძვი, წიფელი, მუხა და ცაცხვი. ხეტყის დამზადება სწარმოებს უმნიშვნელო რაოდენობით — სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, ძირითადად კი ტყე დაცულია, როგორც საკვები ბაზა და თავშესაფარი გარეული ცხოველებისათვის და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ადგილი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელსაც ნაკრძალი ისახავს, არა მარტო არსებულ გარეულ ცხოველთა შესწავლაა, არამედ ახალი ცხოველების გამრავლება და მოშინაბა.

ნაკრძალში მრავლადაა ჯიხვი, ფოცხვერი, ტყის კვერნა. გარეული ღორი, ბეღელა, ყურდღელი, მრავალი სახის ქვიწარმავალი და ფრინველი. მეცხრამეტე საუკუნის დასასროულს ნაკრძალის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ყოფილა კავკასიის ეთიოპშობილი ირემი და ზუბრი, თუმცა დღეს ისინი სრულიად გადაშენებულან. ადგილობრივი მთელი რიგი გეოგრაფიული სახელწოდებებიც ამტკიცებს ამას. ასე მაგალითად, ცნობილი ტურისტული ბაზის „ღომბაის“ სახელწოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ჩერქეზულ ენაზე ნიშნავს „ზუბრს“, ხოლო მწვერვალ „დომმაი-ულგენს“ სახელი კი — „მოკლულ ზუბრს“. ნაკრძალის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ხეობას „ბუ-ულგენი“ ეწოდება, რაც „მოკლულ ირემს“ ნიშნავს. ყველაფერი ეს იმის დამადასტურებელია, რომ აქ უწინ დიდი რაოდენობით ყოფილა გავრცელებული კავკასიის ირემი და ზუბრი.

თებერდის სახელმწიფო ნაკრძალში ათ წელეწადზე მეტია წარმატებით სწარმოებს სასარგებლო ცხოველების — ალტაის ციყვის, ენოტისებური ძაღლისა და ხალიანი ირემის მოშენება, რომელთაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ომის პერიოდში გერმანელთა დროებითი ოკუპაციის დროს დიდი რაოდენობით იქნა განადგურებული არა მარტო მკვიდრი გარეული ცხოველები, არამედ ახალმოყვანილი ცხოველებიც.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან თებერდის ნაკრძალში შემოყვანილ იქნა ფსურის ენოტისებური ძაღლი (1933-1935 წ.), ალტაის ციყვი (1937 წ.) და ხალიანი ირემი (1938 წ.).

ენოტისებური ძაღლი შემოყვანილ იქნა უსურიიდან (შორეული აღმოსავლეთი), ციყვი კი — ალტაის მხრიდან. მათ ჩვენი ქვეყნის ბეწვეულის დამზადებაში პირველი ადგილი უკავიათ. ენოტისებური ძაღლი ნელა მრავლდება, სამაგიეროდ ალტაის ციყვი, რომელმაც მეორე სამშობლო ჰპოვა თებერდის ნაკრძალში, დიდად გამრავლდა. ეგი ნაკრძალის ფარგლებს გასცდა და უკვე სამრეწველო მნიშვნელობა მოიპოვა. რამდენიმე წლის შემდეგ მთელს ამიერკავკასიას ექნება ციყვის ქურქის დამზადების საკუთარი ბაზა და ცნობილი იქნება უკვე არა ალტაის ციყვის, არამედ თებერდის ციყვის სახელწოდებით. 1947 წლის ბოლოსათვის თებერდის ნაკრძალის სამეცნიერო დაწესებულების ცნობით ციყვის რაოდენობა მარტო ნაკრძალის ტერიტორიაზე 12 ათასზე მეტს აღწევდა.

ძვირფასი და სასარგებლო ცხოველია ხალიანი ირემი. მისი სამშობლო შორეული აღმოსავლეთია. 1938 წ. სიხოტე-ალინის საბჭოთა მეურნეობიდან მოყვანილ იქნა 54 ირემი, რომლებიც კარგად შეეგუენ თებერდის ნაკრძალის ბუნებას და სწრაფად იწყეს გამრავლება. ხალიანი ირემის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მისი რქებისაგან მზადდება ძვირფასი სამკურნალო ნივთიერება — „პანტოკრინი“. პანტი — ეს ჯერ კიდევ ძეალგაუმაგრებელი, რქაა, რომელიც ერთგვარ ნივთიერებას შეიცავს. ხოლო ამ უკანასკნელიდან კი პანტოკრინი მზადდება. პანტი — მხოლოდ მამალ ირემს აქვს, გაზაფხულზე იგი რქებს იცილებს და ხელახლა ეზრდება.

დასასრულ, ნაკრძალის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ მის ტერიტორიაზე მდებარეობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი და საუკეთესო კურორტი თებერდა, რომელიც ყოველწლიურად ათასობით დამსვენებლებსა და ტურისტებს იზიდავს.

დოც. გ. ზარდალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია სიხარულიძე

ეზოში იდგა კაკლის ხე
უზარმაზარი ტანად,
კენწერო მაღლა მიჰქონდა,
თითქოს ცად ასატანად;
გრძელი, მსხვილ-მსხვილი ტოტები
შორს ჰქონდა გადაწვდილი,
ირგვლივ მიდამოს ჰფარავდა
ზაფხულში მისი ჩრდილი,
ნაყოფი საღი იცოდა—
კაკალი სავსე, მსხვილი!
იქვე მახლობლად კაკლის ხეს
შუაში შესცქერდა თხილი.
ერთხელ, როდესაც ნიავმა
ჩამოუკროლა ქშენით,
თხილმა ფოთლები შესძრა და
კაკლის ხეს უთხრა წყენით:
„ნეტავი შენა, კაკლის ხევ,
მაღლა ხარ ატყორცნილი,
ბზის სხივებს ეალერსები,
ძირს გაგიშლია ჩრდილი,
სხვაგან რომ სიცხის ბუღი დგას,
შენს ქვეშ ქრის სიო გრილი,
ყველას იზიდავს შენს ჩრდილში
მოსვენება და ძილი;
მე რა ვარ, ჩემს ძირს ვერ ჰფარავს
ჩემივ ფოთლების ჩრდილი;
კაცს სიმაღლეს ვიზრდები,
თუნდ გავძლო ასი წელი,
ჩემი ტოტების სამტვრეად
ყველას უწვდება ხელი;
სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენაც ხომ
თქვენი ჯიში ვართ, თხილი,
ვერ გამიგია, რადა ხარ
ასე დიდი და მსხვილი!“
კაკლის ხემ უთხრა: „ჰო, მესმის,
რაზედაც მოსთქვამ, სტირი,
ერთი მითხარი, მიწაში
რა სილრმეზე გაქვს ძირი?“
თხილმა მიუგო: „მიწაში
ძირით მე ზემო ვ ვჯდები,
განგანზე გამაქვს ფესვები,
მის სიღრმეს ვერიდები!?
მაშინ კაკლის ხემ მიუგო:
„ახლა მეც მიგდე ყური,
თუ კი ხარ ჭეშმარიტების
გაგების მონაწყური:
ხე როცა ფესვით მიწის გულს
ვერ ეკვრის, ღრმად ვერ სწვდება,
იგი, მერწმუნე, ეერასდროს
დიდი ვერ გაიზრდება!“
უთხრა, დადუმდა კაკლის ხე,
თხილმა ძირს თავი დახარა...
მას შემდეგ კაკლის ხისათვის
შეუჩივლია აღარა!

ბავშვების საყვარული კომპოზიტორი

თამარ შავერზაშვილი ნიჭიერი და ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის კომპოზიტორია. მისი მუსიკა შთაგონებულია მზიური საქართველოს მომხიბლავი სილამაზითა და ქართული ხალხური სიმღერების დამთრობელი ჰანგებით.

თამარ შავერზაშვილი დაიბადა 1891 წლის 14 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, მუსიკალურ ოჯახში. კომპოზიტორის მამას — ანტონს ბავშვობიდანვე ჰყვარებია მუსიკა.

რვა წლისა იყო თამარი, როცა მან მუსიკის სწავლა დაიწყო.

1910 წელს თამარ შავერზაშვილი შედის თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პროფ. აისბერგის კლასში. აქ მან მაშინვე მიიქცია მასწავლებლის ყურადღება, როგორც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ბავშვმა. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თამარი შევიდა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა იმავე პროფესორის ხელმძღვანელობით. კონსერვატორია თამარ შავერზაშვილმა წარმატებით დაამთავრა 1923 წელს და იმავე პერიოდიდან დაიწყო მისი ფართო შემოქმედებითი ცხოვრება.

ახალგაზრდა კომპოზიტორმა საზოგადოებრივი ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ 1919 წელს, როცა მის მიერ დაწერილი პირველი ოჯახური ნაწარმოები „ლერწამი ხარ“ (სიტყვები ი. გრიშაშვილისა) შეასრულა ვანო სარაჯიშვილმა პოეტ იოსებ გრიშაშვილის საღამოზე.

1935 წელს თამარი ამთავრებს ეროვნულ კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტს და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში. 1938 წლიდან დღემდე კი იგი ეწევა პედაგოგიურ მუშაობას იმავე კონსერვატორიაში.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც კომპოზიტორი თ. შავერზაშვილი მოღვაწეობს საერთოდ მუსიკის ასპარეზზე, მაგრამ მის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბავშვო მუსიკალურ შემოქმედებას, რაც მან ოცდახუთი წლის წინათ დაიწყო.

1923 წელს ეკონ. „ნაკადულის“ რედაქტორის, ნინო ნაკაშიძის დავალებით თამარ შავერზაშვილმა დასწერა სიმღერა „მინდორში“ (ბოტ გიორგი ქუჩიშვილის ლექსის ტექსტზე). ამის შემდეგ მან არაჩვეულებრივი ინტერესიერებითა და გატაცებით ვაგრძელა მუსიკის ამ უფაქიზეს სფეროში მუშაობა.

თამარ შავერზაშვილს აქვს საბავშვო მუსიკალური ნაწარმოებები: სიმღერები, გამოცანები, ეტიუდები, მუსიკალური სურათები, ინსტრუმენტული პიესები და სხვ.

კომპოზიტორის ამ ნაწარმოებებში ჩაქსოვილია ჩვენი დიდი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ჩვენი ხალხის, ჩვენი ბავშვების ერთგულებისა და მადლიერების გრძნობა იმ უდიდეს ადამიანისადმი, რომელმაც შეგვიქმნა ბედნიერი აწმყო და გაგვინათა მომავალი,—ბრძენი სტალინისადმი.

დიდ ინტერესს იწვევს კომპოზიტორის მიერ ახლახან დამთავრებული საბავშვო ოპერა „იაენანა“ (ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით „იაენანამ რა ჰქნა?“). ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობის შედეგად თ. შავერზაშვილმა შექმნა უდაოდ საინტერესო, ფართო სიუჟეტიანი ნაწარმოები, რომელიც ოვალსაჩინო ადგილს დაიკავებს ქართულ საოპერო ხელოვნებაში. იგი არის შინაარსით ღრმა, უაღრესად პატრიოტული, ოპტიმისტური, ქართული ხალხური მელოდიებითა და ინტონაციებით მდიდარი, დრამატულად მძაფრი და დინამიკური ნაწარმოები. ოპერა რეალისტური სტილითაა დაწერილი. მისი მუსიკა ნათელი და გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ თემას ეხება და ამბავი ხდება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ეს ოპერა, მასში გამოხატული პატრიოტიზმით, ჰუმანიზმით და კეთილშობილი ადამიანური მგრძნობიარებით, ხელს შეუწყობს საბჭოთა ახალგაზრდობის იდეურ-მორალურ აღზრდას.

როდესაც ოპერა სცენაზე დაიდგმება, — ეს იქნება ქართული საბავშვო მუსიკის ნაღდვილი ზეიმი.

თ ა ხ ვ ი

შორეულ წარსულში, როცა ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილს უდაბური, გაუვალი ტყეები ფარავდა, ცხოვრობდა უამრავი ბეწვიანი ნადირი, მათ შორის თახვიც.

თახვები შემონახულა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც, ყველაზე ბევრია ჩრდილოეთ-ამერიკასა და კანადაში.

თახვი გარეგნულად ტლანქი, უშნო ცხოველია. სიარულის დროს მიწას მუცლით ეხება. თავი შედარებით პატარა აქვს, კისერი კი —მოკლე. თახვის სხეული ძოუვანილობით სოლს გავს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თახვისათვის წყალში ყვინთვის დროს.

კიდურებიც თავისებური აქვს. წინა კიდურებზე ხუთ-ხუთი თითია ოდხავი საცურავი აკერთ. ეს აპკი თახვს ჭამის დროსაც ეხმარება; უკანა კიდურების ყველა თითზე საცურავი აპკი აქვს განვითარებული. თახვს მუცლის მხარეზე კანის ნოჭები ცხირი გამოეკოფა. წინა კიდურებით ის ცხიმს სხეულს გადასცემს, უკანა კიდურების გახსნილი ბრჭყალებით ბეწვს ივარცხნის და იპოხავს.

თახვის კუდი ბრტყელია, ქირში ბალნიანი და მრგვალი, შემდეგ კი თანდათანობით ფართოვდება და ნიჩაბს ემსგავსება. კუდი თახვს საქმის მაგვირობას უწევს და სისწრაფეს ჰმატებს ცურვის დროს. თახვის ყურის ნიკარე პატარაა, ცურვის დროს იკეცება და ამრიგად, წყალი არ ჩაუღის ყურში. კბილებიც, როგორც მღრღნელ ცხოველს, კარგად აქვს განვითარებული. თახვი 28-40 კილოგრამამდე იწონის.

თახვი ხით იკვებება. ხის ტოტებით კი თახვები ქოხებსა და ჯაგბირებს აკეთებენ. საპრეალი კბილებით ისინი უზარმაზარ ხეებს ხრავენ. თუ ხე დიდია, მაშინ ორი თახვი ერთად ხრავს მას. ერთი მეცნიერი აგვიწერს ასეთ შემთხვევას: სამი თახვი დიდხანს ხრავდა. როცა ხე საკმაოდ შეღრღნილი იყო, ერთი მათგანი წყალში შეცურდა და ხის კენწეროს აკვირდებოდა. ხემ დახრა იწყო, მაშინ თახვმა წყალზე კუდის ტაკაცუნით ორი ამხანაგს ეს ნიშანი მისცა. მყისვე ის ორიც წყალში გადაეშვა.

ხის წაქცევის შემდეგ თახვები ტოტებს გადაღრღნიან თანასწორად, თითო მეტრის სიგრძით. შემდეგ გვერდით უბიძგებენ და ჩაუშვებენ წყალში, წყლის დინების მიმართულებით, სადაც თახვებს მშენებლობა აქვთ გაჩაღებული.

ქოხებს თახვები აშენებენ დაბალ და ფაჯობებულ ნაპირებზე, ხვრელებს კი მაღალ ნაპირებზე.

ხვრელები გრძელი — 12-15 მეტრის სიგრძის საკალ გზებს წარმოადგენენ და ზოგიერთი ისეთი განიერია, რომ ადამიანსაც შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს. ქოხს აშენებენ ტოტების გადაწვენით, შლამის, ქვიშის, ფესვებისა და სხვა მასალის შერევის გზით. ქოხი მაგარია, ზამთარში, როცა მისი კედლები იყინება, არც დათეს და არც მგელს არ შეუძლია მისი შერყევა. გვხვდება 2-3-სართულიანი ქოხიც. ქოხებში თახვები ხშირად დიდხანს — 35 წელსაც კი ცხოვრობენ და შენობას ყოველწლიურად შეაკეთებენ ხოლმე.

მაისში ან ივნისში დედალი თახვი ბადეს 4-6 შვილს, თვალებახელულსა და განვითარებულს. პირველ ხანებში დედა შვილებს რძით ასაზრდოებს. მაგრამ 6 კვირის შემდეგ, დედის რძესთან ერთად, შვილს საზრდოდ ემატება ნედლი ქერქი, ფოთლები, ჭაობის მცენარეთა ფესვები. ორი კვირის შემდეგ ახალგაზრდა თახვები კარგად ყვინთავენ წყალში. თახვები მშობლებთან რჩებიან შემდგომ გაზაფხულამდე, მერე კი დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან.

თახვის ტყაევი ძვირად ფასობს. მისგან მზადდება ქალების ძვირფასი ტანსაცმელი, მატყლისაგან კი ამზადებენ ქუდებსა და სხვა ნივთებს.

გარდა ბეწვისა და ტყაევისა თახვი იძლევა ეკრეთწოდებულ „თახვის ჭავლს“ (ცხიმოვანი ნივთიერება), რომელსაც უხსოვარი დროიდან ხმარობენ მედიცინაში.

თახვის ხორცი ზოგიერთ ქვეყანაში საჭმელადაც იხმარება. ამერიკაში ახლაც დიდი მოთხოვნილება აქვს თახვის ხორცს. განსაკუთრებით გემრიელად თვლიან მის კუდს.

ამ ძვირფასი ცხოველის მოსაშენებლად ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მოწყობილია ნაკრძალი.

ა. არაბიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოლოგების უხიერავი დამხმარენი

ნავთობის მოპოვება ადვილი არ არის, იგი მიმალულია ღრმად, დედამიწის წიაღში. ცამოცდილმა გეოლოგებმა იციან ნიადაგის გამოცნობა, სადაც იმყოფება ნავთობი; ისინი ისევე კარგად ერკვევიან ნავთობის საბადოს წინასწარ ნიშნებში, როგორც გამოცდილი მონადირე ნადირის კვალში.

ნავთობის საბადოების მისაკვლევად ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი არის ნიადაგის ზედაფენაში წვადი გაზის აღმოჩენა. რაც გეოლოგი ამ გაზს აღმოაჩენს, ის დარწმუნებულია გამარჯვებაში, — ნავთობი უსათუოდ ახლოა.

ნავთობი და წვადი გაზი ერთმანეთის გაუყრელი არიან. გაზი თავის სიმსუბუქის გამო მოისწრაფის მიწის ზედაპირისაკენ, მოძ-ვრება „დამსცდარ ნიადაგში და უერთდება ჰაერს. გეოლოგები ამ ადგილს ჰაერის ქამიერ ანალიზს ახდენენ. სასურველი შედეგის მიღების შემდეგ იწყებენ მიწის გაბურღვას ნავთობის საბადოს მისაკვლევად. მაგრამ ხშირად წვად გაზს დედამიწის სქელ ფენებში გამოსვლა უძნელდება და ნიადაგის ზედაპირზე ჰაერს იმდენად ცოტა გაზი უერთდება, რომ ჰაერის ანალიზი სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

ამ შემთხვევაში გეოლოგებმა გამოსაყენა სხვა მხრივ იკოვეს, მათ მიიშველეს ბიოლოგები. მაგრამ ბიოლოგები ეძებენ არა ნავთობს, არამედ ბაქტერიებს ახალ სახეს.

მათ აღმოაჩინეს და შეისწავლეს ახალი სახის ბაქტერიები და აღმოჩნდა, რომ ეს ბაქტერიები იკვებებიან იმ წვადი გაზით, რომლითაც გეოლოგები ნავთობს პოულობენ.

ეს ბაქტერიები წვადი გაზის შემცველ ნიადაგში ცხოვრობენ, თუნდაც ასეთი გაზი სულ მცირე როდენობითაც მოიძებნებოდეს მასში.

იმის გასაგებად, არის თუ არა მიწის წიაღში ნავთობი, ამისათვის ნიადაგის მცირე ნაჭერს თავსებენ მიკროსკოპის ქვეშ; თუ ნიადაგში აღმოჩნდნენ ზემო აღნიშნული ბაქტერიები, მათ უსათუოდ საკვებად აქვთ წვადი გაზი, და თუ არის გაზი, მაშასადამე, ნიადაგის ქვეშ, წიაღში ნავთობიც იქნება.

ნიადაგის გასინჯვის ეს წესი შემოწმებულია და მიღებულია ნავთობის საბადოების აღმოსაჩენად.

მზის მანქანა

მოწმენდილ დღეებში მზე დიდძალ სხივებს აფრქვევს დედამიწას, განსაკუთრებით სამხრეთში.

სწავლულებს, გამომგონებლებს აზრი დაებადათ, მზის სითბო გამოეყენებინათ სანალნო მეურნეობაში. აზრი რომ საქმედ ექ-ციათ, მათ გადადგეს ნაბიჯიც. გამოიანგარიშეს, რომ მარტო უზბეკეთში მზის სითბოს მეოხებით შეიძლება იმდენი ელექტრო-ენერგიის მიღება, რამდენის მოცემა არ შეუძლია ასეულ დნეპროჰესს.

მზის სითბოსაგან რომ ელექტრონი მივიღოთ, ყოველივე უნდა მოეწყოს ისე, როგორც ჩვეულებრივ ელექტროსადგურებში. მხოლოდ ორთქლის ქვაბი უნდა გახურდეს არა ნახშირით ან ტორფით, არამედ მზის სხივებით. მაგრამ სწორედ აქ არის დაბრკოლება: რამდენიც არ უნდა ვთბოთ წყლიანი ქვაბი მზეზე, წყალი არ ადუღდება.

გამომგონებლებმა თავისი არ დაიშალეს. მათ აიღეს რამდენიმე ასეული სარკე და ამ სარკეებიდან აერეკლილი მზის სხივები (მზის თინათინი) მიმართეს ერთი ადგილისაკენ. სხივების თავშეყრის ადგილზე მიიღეს ისეთი სითბო, რომ არათუ წყალი აიდუღდა, არამედ ლითონიც კი დადნა.

ამ ხერხით საბჭოთა ინჟინრებმა გააკეთეს მზის მანქანა. გარეგნულად იგი ჰგავს დიდ ფიალას, მასში ჩაწყობილია სარკეები. ზემოდ ფიალაზე დამაგრებულია ქვაბი წყლით. სარკეები მიმართულია ქვაბისაკენ. ერთი მილით ქვაბში წყალი ჩადის, მეორე მილით ორთქლი გამოდის. ორთქლი კი გამოიყენება ხსვადასხვა მანქანების ასამოძრავებლად და ელექტროენერგიის მისაღებად.

მზის მანქანას შეუძლია იმუშაოს მთელი დღე, — განსაკუთრებული გადამწევი მექანიზმის საშუალებით მის ფიალას ყოველთვის მიბრუნებული აქვს პირი მზისაკენ.

ასეთი მანქანა საბჭოთა კავშირში აშენებული სამი: ერთი მოსკოვში და ორი შუა აზიაში. ესენი პირველი სანიმუშო მანქანებია. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ასი და ათასი ასეთი მანქანა გადაკეცავს მზის სითბოს ელექტროენერგიად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა სიცოცხლე პლანეტა მარსზე

ცაზე პლანეტა მარსი, თავისი მოწითალო ფერით, ადვილი შესამჩნევია.

მეცნიერებს საკმაოდ შესწავლილი აქვთ ეს პლანეტა.

მარსის განივი (დიამეტრი) დედამიწის განივის ნახევარზე ცოტა მეტია (6,8 ათასი კილომეტრი). მარსის დღე-ღამე ცოტათი განსხვავდება დედამიწის დღე-ღამისაგან, — ის 24 საათსა და 37 წუთს შეიცავს. მარსის ღერძის დახრილობა (65°) ასევე ედრება დედამიწის ღერძის დახრილობას. ამის მიხედვით იცვლება მარსზე წლის დროები, როგორც დედამიწაზე. მხოლოდ მარსზე წელიწადის ხანგრძლივობა, დედამიწის წელიწადთან შედარებით, ორჯერ მეტია.

მარსზე არის ატმოსფერო, მაგრამ უფრო თხელი, ვიდრე დედამიწაზე. წვიმები მარსზე იშვიათად იცის, ელმატტ მკაცრია, ისე, როგორც ჩვენს მაღალმთიან ადგილებში. დღით მარსის ეკვატორის ნაწილში ტემპერატურა 20-25° სითბოს აღწევს, ღამით ძლიერი ყინვებია.

პლანეტა მარსი ყოველთვის იწვევდა მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს.

მარსისა და დედამიწის ზედაპირის რამდენიმე მსგავსების გამო მკვლევარები დიდი ხანია ფიქრობენ, რომ მარსზე არის სიცოცხლე.

ასტრონომმა ლოველმა მარსზე შენიშნული მუქი ზოლები (ლაქები) ჩასთვალა არხებად, რომელთა ნაპირებზე არის მცენარეულობა. ეს არხები თითქოს გაყვანილია გონივრულად პლანეტის ბინადართა მიერ.

ზაფხულში მცენარეულობა ცოცხლდება და მუქი ლაქებიც უფრო შესამჩნევია, ზამთარში კი თითქმის არ სჩანს.

ამიტომ მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ დაკვირვების დროს მხედველობა გვატყუებს და მარსზე შენიშნული ლაქები არხები გვგონია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დასტურდება მარსზე მცენარეულობის არსებობა. საბჭოთა მეცნიერი ფასენკოვი ფიქრობს, რომ მარსზე შენიშნული მუქი ლაქები არის მწვანე მცენარეების სინთეზის ინარეკლი.

მარსზე მცენარეულობის სიცოცხლის არსებობა თითქმის დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მარსზე ცხოველთა სამყაროს არსებობის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით.

სტალინიტი

სტალინიტი ახალი ხარისხის მინაა, რომელიც საბჭოთა ინჟინრებმა გამოიგონეს. ამ ახალ მინას ეს სახელი მისი გამძლეობის გამო დაერქვა. იგი ჩაქუჩის დარტყმის დროს ფოლადივით წკრიალებს.

სტალინიტის სიმაგრის საჩვენებლად გამომგონებლები ასეთ ცდას ახდენენ: სტალინიტის ბრტყელ ფურცელს ბოლოებით თავსებენ ორ სკამზე ხიდის მსგავსად, და ამ გამჭვირვალე ხიდის შუაზე დგება 5 კაცი. ამ სიმძიმისაგან მინა მხოლოდ ოდნავ იღუნება.

სტალინიტი განკუთვნილია ავტომობილებისათვის.

რატომაა საჭირო ავტომობილებისათვის მაგარი მინა? აი, წარმოიდგინეთ სულ უბრალო ავარია, მსუბუქი დაჯახება. მინები უკვე იმსხვრევა, აზიანებს როგორც მძღოლს, ისე მგზავრებს. სტალინიტი კი საშიში არ არის, რადგან იგი ადვილად არ იმტვრევა, და თუ ძლიერი დარტყმის გამო მაინც დაიმტვრა, მისი ნამსხვრევები, ზღვის კენჭებს რომ წაგავს,—საშიში არ არის, მას მჭრელი ნაპირი არ აქვს.

სტალინიტს ისეთივე მასალისაგან ამზადებენ, როგორითაც ფანჯრის მინებს, ხოლო სითბოს საშუალებით გადაამუშავებენ ისეთ ნივთიერებად, რომელსაც საკვირველი სიმაგრე და თვისებები ახასიათებს. არც ერთ ქვეყანაში არ მზადდება ასეთი მაგარი მინა.

მაგალითად, ამერიკული ფირმა „პაკარდი“ მთელს ქვეყანას აცნობდა თავისი „უჩვეულო სიმაგრის“ საავტომობილო მინების შესახებ, მაგრამ შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ამერიკული მინა სტალინიტთან შედარებით სუსტია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მტაცებლები

ცხოვრობდა ჩვენი ხალხი მშვიდად. იზრდებოდნენ საბჭოთა ბავშვები ლაღად, სწავლობდნენ, ეუფლებოდნენ მეცნიერებას. ბედნიერ შრომასა და ბედნიერ ცხოვრებაში ბედიერდნენ დღეები.

მაგრამ, აი თავს დაგვესხა ჰიტლერული გერმანია. დაიწყო ომი. ეს იყო დიდი უბედურება. იგი ფაშისტებმა მოგვახვიეს თავს.

დაირღვა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება. ომმა ივანე კოროლენკოს ოჯახსაც დაატეხა უბედურება. ცხოვრობდა ივანე უკრაინაში, მირგოროდის რაიონში. ბევრ თქვენგანს უთუოდ გაუგონია მირგოროდი —დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავია იქ.

და აი, ფაშისტებმა მილიონობით სხვა საბჭოთა ადამიანებთან ერთად გაუბედურეს მირგოროდელი ივანე კოროლენკოც. ჰყავდა მას ოჯახი — ცოლი და სამი პატარა ბავშვი. ესესელებმა სხვებთან ერთად გერმანიაში გარეკეს კოროლენკოს ოჯახიც. ეშელონ ტყვეებით — მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანებით — ბერლინში დაიცალა; იქ, სადღაც ქალაქიდან მომშორებით, საკონცენტრაციო ბანაკში მოამწყვდიეს ისინი.

ღილას, მზის ამოსვლამდე გაჰყავდათ კატორღულ სამუშაოზე და მზის ჩასვლისას მოჰყავდათ ჯოჯოხეთურ ბანაკში დაუძლურებული, დასუსტებული, საშინლად დაქანცული, ომით გაუბედურებული ადამიანები.

დამშეული იყო პატარა გალია კოროლენკოც — ივანეს შეოთანა გოგონა. იგი ფაშისტურ ბანაკში მომწყვდეულ ბევრ სხვა ბავშვთან ერთად სანაგვეებში ეძებდა პურის ნამცეცებს, მწვანილის ნაფაქვენებს. აი, რა ზომამდე მიიყვანეს უმწეო ბავშვები ორფეხა მტაცებელმა მხეცებმა!

ავად გახდა გალია. იგი ლაზარეთში მოათავსეს. მაგრამ ბევრად უკეთესობა არც იქ ეტყობოდა მდგომარეობას. აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ ფაშისტური ტყვეობის მსხვერპლნი.

მშობლები მალულად აკითხავდნენ ლაზარეთში ავადმყოფ გალიას. მაგრამ, აი, ერთ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ძნელი და საშინელი დაბომბვა მოხდა. ყუმბარები ირგვლივ სკდებოდა.

ის დღე იყო და ის, — მას შემდეგ აღარც ძმასა, აღარც დედას არ მიუკითხავს გალიასთვის, — ალბათ ყუმბარების მსხვერპლნი გახდნენ ისინი!

ასე დარჩა პატარა საბჭოთა გოგონა ობლად, მარტოდმარტო, უცხო ქვეყანაში მშობლიურ ალერსს მოკლებული.

დამთავრდა ომი. დამარცხებული და განადგურებულ იქნა გერმანიის ფაშიზმი — კაცობრიობის ეს უბოროტესი მტერი. მოსალოდნელი იყო, რომ გალია კოროლენკო ახლა მაინც თავისუფლად ამოისუნთქავდა. მაგრამ ასე როდი მოხდა! ის ადგილი, სადაც გალია იმყოფებოდა, ბერლინის ინგლისურ სოკუპაციო ზონაში მოექცა. და გალია კოროლენკო ომის დამთავრების შემდეგაც განგრძნობდა უმწეო ტყვეობას. ვინ ასწერს, რამდენი ტანჯვა გამოუვლია გალია კოროლენკოს ინგლისელ ოკუპანტთა ტყვეობაში — ისინი ხომ თავიანთი სიმხეცით არ განსხვავდებიან ფაშისტ-ესესელებისაგან.

...ერთერთ დაერდომილთა სახლში იპოვეს გალია კოროლენკო საბჭოთა ოფიცრებმა.

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ სოფელში ხანძარი გაჩნდა. მრავალი სახლი დაიწვა. ცეცხლი მოედო იმ სახლის სახურავს, რომელზედაც ბუდე ჰქონდა ყარყატს. დედაყარყატს უნდოდა ბარტყების გადარჩენა, მათი შორს გადაყვანა, მაგრამ შვილები მისი ღონისათვის მეტად მძიმეები აღმოჩნდნენ.

სულ ახლოს მოიწევდა ალი. აი, წაეკიდა ბუდესაც. მაშინ დედაყარყატი ფრთებით გადაეფაფრა ცეცხლმოდებულ ბუდეს და დაიწვა თავის საყვარელ შვილებთან ერთად.

თარგმანი გერმანულიდან **თ. ᲒᲔᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**
(ფასანაურის საშუალო სკოლის მოსწავლე)

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ

	გვ.
Ი. ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ პორტრეტი	1
გ. ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ — სიმღერა სიბერეზე (ლექსი)	1
ა. ᲧᲐᲜᲩᲘᲚᲘ — პოეტური ზეიმი (წერილი)	2
ვ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ — სამშობლოს, ჩემო ლამაზო (ლექსი)	4
ნიკ. ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘ — კოტეგაშვილის უმაგალითო გმირობა (ნარკვევიდან „იური სმირნოვი“, გადმოკ. ლ. ᲮᲝᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘᲡ მიერ)	5
კ. ᲛᲔᲡᲮᲘ — ნახიმოველები (ნარკვევი)	7
ო. ᲗᲔᲚᲔᲫᲔ — ნაჭაობარი (ლექსი)	10
ა. ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ — წარმოდგენა (მოთხრობა)	12
კ. ᲐᲠᲐᲡᲚᲘᲐ — ყველაფერი თავის დროზე (ლექსი)	15
რესპუბლიკა აკვადების გზით	16
Ვ. ᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ—საჩუქარი ფოფასაგან (მოთხრობა)	18
დ. ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ — სამგორში ცრემლი ყვავილი (ლექსი)	21
ნ. ᲩᲐᲩᲐᲕᲐ — ჩვენი მიზნ (ლექსი)	21
ᲘᲠ. ᲭᲐᲠᲗᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ბავშვების საყვარელი კომპოზიტორი (წერილი)	22
ი. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ — კაკლის ხე და თხილი (ლექსი)	23
გ. ᲩᲐᲠᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — თემურლის სასტალმუნიფო ნაკრძალი (ნარკვევი)	24
ა. ᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ — თაბაკი (წერილი)	26
ცნობები მეცნიერებიდან	27
Ჭ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ — მტაცებლები (ნარკვევი)	29
Ე. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ — პატარა მათხოვარი (მოთხრობა)	30
გასართობი გარეკანის	მე-3 გვ.
თ. ᲨᲐᲕᲘᲠᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ — იავნანა (პესიკა) გარეკანის	მე-4 გვ.

გარეკანის მხატვრობა შესრულებულია მხატვარ პროფ. **დ. ᲙᲐᲙᲐᲫᲘᲡ** მიერ.

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **Გ. ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ**

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ **Გ. ᲗᲝᲠᲓᲣᲐ** — ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲒᲠᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **Ა. ᲒᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲐ: **Ე. ᲐᲒᲚᲐᲫᲔ, Დ. ᲒᲕᲠᲘᲪᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲒᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲗᲐᲒᲜᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘ, Მ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ო. ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ, Ზ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14. ᲢᲔᲚ. 3-81-85

ᲣᲔ 00997 ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 7000 ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲕᲒ. № 31 ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲕᲒ. № 193

Ლ. ᲰᲐ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ „ᲮᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲙᲘᲡᲐᲗ“ ᲝᲡᲢᲔᲗ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

ტემპერატურა და სითბო

ამხანაგს ორმ ჭეშმარიტი შეიძლება თუ არა, ერთ და იმავე დროს, ერთსა და იგივე ადამიანს კიდეც ცივდეს და კიდეც თბილოდეს, ავრეთვე ერთი და იგივე წყალი თბილად იყოს და ცივი, ეფანურად მოეწყვნება, გიუკერიდება და შეეძლებლადაც ჩანელის.

თქვენ კი ეს შეგიძლიათ ასე განმარტოთ: როდესაც ადამიანი ცივ ამიოდში გარედან ვესტანიულნა შემოდის, ის სითბოს გრძნობს და ამბობს, რომ ვესტანიულნა თბილი, ხოლო იმავე ვესტანიულნა რომ გვიჩდეს თბილი ოთახიდან, იგი იტყვის, რომ ოქ ცივა.

ფად ამოიკეცებინოთ და ჩაკაფოფინოთ მესამე ჭიქაში (ის. ნახატი), სადაც თბილი წყალია ჩასხმული და ეკითხოთ, როგორ შეიგრძნო. თქვენი მოსაუბრე უჩასხეულობს იგრძნობს, რადგან არ იცის, რა თქვას — ცივი თუ ცხელი. ვინაიდან ერთი თითით, რომელიც ცხელ წყალში ჰქონდა, ცივად ეჩვენება, ხოლო იგივე წყალი მეორე თითით—ცხელად.

მაშასადამე, ცივსა და ცხელს ჩვენი შეგრძნების გარჯნილია ეამოუშვებთ, რასაც შეცდომაში შეეყვანინთ. ბუნებაში არ არსებობს ცივი ან ცხელები, გარდა თბილისა.

მაშასადამე, ერთსა და იგივე ადგილს კიდეც ცივა და კიდეც თბილა, ე. ი. წარმოდგენა სითბოზე მიმართებითია და რაც აღრე თბილად გვეჩვენებოდა, იგივე ცივად მოგეჩვენების და წინააღმდეგიც. ამის დასამტკიცებლად კიდევ ერთი მარტივი ცდაც შეიძლება:

ავიღოთ სამი ჭიქა. ერთ ჭიქაში ცივი წყალი ჩავასხოთ, მეორეში — თბილი, მესამეში — ცხელი. ჩავაყოფინოთ მოკამთეს ერთი საჩვენებელი თითი ცივ წყალში, მეორე — ცხელში და გავიჩერებინოთ რამდენიმე ხანს. შემდეგ თითები ერთდროულად სუფ-

ზოები მიტანე თბილია და ზოგი ნაცლებად, ანუ, როგორც ამ უფროვებენ, ზოგის ტემპერატურა დაბალია, ზოგისა მაღალი, ისე როგორც ზამთრის ტემპერატურა დაბალია, ხოლო ზაფხულისა მაღალი. ღამის გამთენიაზე დედამიწას ეზისგან სითბო მოსდგას და თანდა. მისი ტემპერატურა მაღალ იუოვს, ღამით კი სითბოს კარგავს და მისი ტემპერატურა დაბალ იუოფს. მაშასადამე, ტემპერატურა ყოფილა სხეულის თბობა-ლობის ხარისხი, ხოლო სითბო ის მიზეზი, რომელიც სხეულს გათბობას იუოვებს.

მ. ეედეეანიშვილი.

გამოცანები

1.

უთვალო და უხელფეხო
არის ერთი რამე,
ჩაბარებულ ბინას იცავს—
დღე არის თუ ღამე.

2.

წყალში ვისური თევლებიანს,
ამოვიყვანე—ფრთებიანს:

ალ. საჩინოელი

1.

ხე ვარ, ხის კოლოფში ვწევარ.

2.

ერთი ჯუჯა ხის შვილი ვარ,
ხან ხეში ვარ, ხან თიხაში,
ხან ტყაში და ხან ჭიქაში.

3.

მინდვრიდან წამოვიყვანეს,
გამფურცქნეს და ვამატყავეს,
ქვით მოვბეგეს, წყლით მოვსრისეს,
ცეცხლის ალზე ამოვარეს,
იქიდან რომ ამოვიყვანეს,
მერე სულ მთლად გამათავეს.

ბეორგი ფარეთელი

Тбилисский Филиал
Библиотека
Ин-ТЛ ЛИТ. В. И. (Б)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ა ვ ნ ა ნ ა

თამარ შავერზაშვილის ახალი ოპერის პირველი მოქმედებიდან

Maestoso.

Coro a 2 voci.

Piano.

1. ვა-შა, ვა-შა და-ბა-ღუ-ბის დღესვეზე-ი-მობთ ჩვე - - ნა,
ხუ - თი ხუ - ლი შე-გის-რულდ და ჩვენც მცი-რე ძღვე - - ნად,
ხუ - თი მგრე-დი მო-გიყ-ვა-ნეთ ხუ-თივ სათ-ნო შე - ნებრ. ხუ-თივ სათ-ნო შე - ნებრ.

D.C.

2 გვირგვინს გადგამთ, ყვავილებით მოგრთაცთ, დაგამშვენებთ!
ხუთი წელი მეგისრულდა, და ჩვენც მცირე ძღვენად
ხუთი მტრედი მოგიყვანეთ, ხუთივ სათნო შენებრ. 2-ჯერ.